




ევროკავშირი
საქართველოსთვის

The European Union for Georgia



Empowered lives.
Resilient nations.



2016 წლის
საპარლამენტო არჩევნების
მედიამონიტორინგის
შედეგები

**2016 წლის
საპარლამენტო არჩევნების
მედიამონიტორინგის
შედეგები**

www.mediamonitor.ge



ევროკავშირი
საქართველოსთვის

The European Union for Georgia



*Empowered lives.
Resilient nations.*

გამოცემულია ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გამოუქების კვლევა“ პროექტის ფარგლებში.

წინამდებარე გამოცემაში მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) თვალსაზრისს.

Published with assistance from the European Union and the United Nations Development Programme (UNDP) in Georgia under the project “Study and Research on Election Media Coverage for 2016 Parliamentary Elections in Georgia”.

The contents of this publication are those of the authors and do not necessarily represent the views of the European Union and UNDP.

Copyright © EU/UNDP Georgia 2016

All right reserved

Manufactured in Georgia

© EU/UNDP Georgia 2016

საავტორო უფლებები დაცულია

გამოცემულია საქართველოში

სარჩევი

შესავალი.....	4
მეთოდოლოგია და ანალიზი	4
სატელევიზიო არხების მონიტორინგი.....	5
- მთავარი საინფორმაციო გამოშვებები.....	5
- ტოქშოუების მონიტორინგი.....	19
რადიოარხების მონიტორინგი	33
ბეჭდური მედიის მონიტორინგი.....	46
ონლაინ მედიის მონიტორინგი.....	55
დანართი 1 - მონიტორინგის სუბიექტები:.....	74

შესავალი

2016 წელს საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების ფართომასშტაბიანი მედიამონიტორინგი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით განხორციელდა. კვლევა ნაწილია პროექტისა „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“, რომლის ერთ-ერთი მიზანია არჩევნების პერიოდში პროფესიონალური, მიუკერძოებელი და დაბალანსებული მედიაგაშუქების ხელშეწყობა მონიტორინგის გზით. ქართული ტელე, რადიო, ბეჭდური და ონლაინ მედიასაშუალებების რაოდენობრივ და თვისებრივ მონიტორინგს ახორციელებდნენ ავტორიტეტული სლოვაკური ორგანიზაცია „მემო 98“-ის მიერ გაწვრთნილი ქართული სამოქალაქო ორგანიზაციები:

1. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია - სატელევიზიო არხების მონიტორინგი
2. ინტერნიუსი-საქართველო - რადიოსაშუალებების მონიტორინგი
3. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი (CDI) - ბეჭდური მედიის მონიტორინგი
4. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი (CDI) - ონლაინ მედიის მონიტორინგი

მეთოდოლოგია და ანალიზი

მონიტორინგის პროცესში ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ მსოფლიოს 35-ზე მეტ ქვეყანაში აპრობირებული მეთოდოლოგიით, რომელიც შედგება კვლევის ორი ძირითადი ნაწილისგან – რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზისგან. რაოდენობრივ კომპონენტში შედის: სუბიექტებისთვის დათმობილი რო/ფართობი, პირდაპირი და ირიბი საუბარი და გაშუქების ტონი. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტები კი არის: ბალანსი, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, კადრებით და მუსიკით მანიპულირება, ჟურნალისტის/სტატიის ენა და სხვა. დეტალური ინფორმაცია მონიტორინგის მეთოდოლოგიის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე www.mediamonitor.ge.

დაკვირვება ხდებოდა კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტების გაშუქებაზე, რომელთა ჩამონათვალი თან ერთვის წარმოდგენილ ანგარიშებს (დანართი 1).

მონიტორინგის შუალედური და საბოლოო ანგარიშები შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე www.mediamonitor.ge. ვებგვერდზე აგრეთვე შეგიძლიათ ისარგებლოთ მონაცემთა ონლაინ ანალიზის სისტემით, რომელიც საშუალებას გაძლევთ თავად აირჩიოთ მონიტორინგის პერიოდი და გარკვეული სუბიექტი და იხილოთ მათი გაშუქების ტენდენციები. აგრეთვე შეაძაროთ ისინი მონიტორინგის სხვა სუბიექტებს.

სატელევიზიო არხების მონიტორინგი

მთავარი საინფორმაციო გამოშვებები

20 მაისი - 2 ნოემბერი, 2016

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით „საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“ განახორციელა 11 სატელევიზიო არხის მთავარი საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში. მონიტორინგი დაიწყო 2016 წლის 20 მაისს და დასრულდა 2 ნოემბერს. დაკვირვება ხდებოდა შემდეგ სატელევიზიო არხებზე: საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხი, რუსთავი 2, იმედი, მაესტრო, GDS, ტაბულა, კავკასია, ტვ პირველი, ობიექტივი, აჭარის ტელევიზია, ტელეარხი 25.

ძირითადი მიგნებები

- მონიტორინგისთვის შერჩეული 11 სატელევიზიო არხიდან 9-ზე ეთერის ყველაზე დიდი ნაწილი საქართველოს მთავრობის საქმიანობის გაშუქებას დაეთმო.
- პოლიტიკური პარტიების გაშუქების სიხშირით 10 არხზე „ნაციონალური მოძრაობა“ ლიდერობდა, მომდევნო იყო „ქართული ოცნება“. გამონაკლისს წარმოადგენდა ტელეკომპანია „ობიექტივი“, სადაც პარტიებს შორის ყველაზე მეტი დრო ბლოკს „პატრიოტთა ალიანსი“ დაეთმო.
- სამონიტორინგო პერიოდის განმავლობაში მთავრობა ყველაზე დადებითად “GDS“-ზე გაშუქდა. მის ეთერში მთავრობისათვის დათმობილი დროის 24% დადებითი იყო. ყველაზე მეტი უარყოფითი გაშუქება მთავრობას „რუსთავი 2“-ზე ჰქონდა - დათმობილი დროის 66%.
- „ნაციონალური მოძრაობა“ ყველაზე დადებითად „რუსთავი 2“-ის ეთერში ჩანდა, სადაც მისთვის დათმობილი დროის 5% პოზიტიური იყო, ყველაზე უარყოფითად კი “GDS“-ის ეთერში - დათმობილი დროის 53%.
- „ქართული ოცნება“ ყველაზე დადებითად “GDS“-ზე გაშუქდა, დათმობილი დროის 7%-ით. ყველაზე უარყოფითად კი - „რუსთავის 2“-ზე, დათმობილი დროის 46%-ით.
- 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, ტელევიზიები მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გაცილებით ეთიკურად და დაბალანსებულად აშუქებდნენ საარჩევნო სუბიექტებს.
- 2012 წლის საარჩევნო პერიოდთან შედარებით ტელევიზიების ეთერში ნაკლებად, შეიძლება ითქვას, იშვიათად, ხდებოდა სიძულვილის ენის და შეუსაბამო ტერმინოლოგიის გამოყენება თუ ტირაჟირება, თუმცა ეს პრობლემა მაინც შეიმჩნეოდა.
- ტელევიზიების მთავარ გამოწვევას საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების მოძიება და მათი მრავალმხრივი და ამომწურავი გაშუქება წარმოადგენდა. მთელი სამონიტორინგო პერიოდის განმავლობაში, ტელევიზიები უმეტესად პოლიტიკოსთა დღის წესრიგის აღწერითა და მათ მიერ წამოწეული თემების გაშუქებით იყვნენ დაკავებული. გამონაკლისი იყო „რუსთავი 2“, რომლის საინფორმაციო გადაცემებში ხშირად ნახავდით ექსკლუზიურ, სიღრმისეულ მედია პროდუქტს.
- უკლებლივ ყველა არხზე დაფიქსირდა მხარეთა შორის გონივრული ბალანსის დარღვევები. იყო შემთხვევები, როცა ახალ ამბავს მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით აშუქებდნენ.

- პრობლემა იყო პოლიტიკოსების მიერ ბრიფინგებსა და პრესკონფერენციებზე გაჟღერებული ინფორმაციების ცალმხრივად და გადაუმოწმებლად გაშვება ეთერში. ეს ხშირ შემთხვევაში დაუბალანსებელი კადრ-სინქრონების ფორმატით ხდებოდა.
- რამდენიმე არხზე საარჩევნო სუბიექტების საქმიანობის გასაშუქებლად შეიქმნა სპეციალური რუბრიკები და გადაიცა ვრცელი სიუჟეტები, თუმცა ეს სიუჟეტები თანამედროვე სტანდარტით ძალიან ვრცელი იყო. ინფორმაცია სუბიექტების საქმიანობის შესახებ ხშირად მექანიკურად, ყოველგვარი საერთო ხაზის გარეშე იყო გაერთიანებული, რაც გადაცემას მაყურებლისთვის უინტერესოს ხდიდა. სუბიექტებისთვის დათმობილი დროის მათემატიკური სიზუსტით გადანაწილება კი ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ეს გადაცემები მედია მონიტორინგისთვის კეთდებოდა და ამომრჩევლის ინტერესზე ნაკლებად იყო მორგებული.
- დროის განაწილებისა და თვისებრივი დაკვირვების შედეგების ანალიზისას იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ კონკრეტულ არხებს ცალკეული სუბიექტების მიმართ განსაკუთრებული სიმპათიები გააჩნდათ. მაგალითად, „ობიექტივი“ აშკარად გამორჩეულად სწყალობდა საარჩევნო ბლოკს „პატრიოტთა ალიანსი“, „რუსთავი 2“-ზე შესამჩნევი იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ სიმპათია და ხელისუფლების მიმართ განსაკუთრებული კრიტიკულობა. „იმედი“, „მაესტრო“ და „GDS“ ზოგჯერ უპირატეს მდგომარეობაში მთავრობას, პრემიერსა და პარტია „ქართულ ოცნებას“ აყენებდნენ და გამორჩეულად აკრიტიკებდნენ „ნაციონალურ მოძრაობას“.


I არხი

სამონიტორინგო პერიოდში მონიტორები დააკვირდნენ “I არხის” მთავარ ყოველდღიურ საინფორმაციო გამომშვებას “მოამბე 20 საათზე” და “კვირის მოამბეს”.

“I არხის” ეთერში ყველაზე მეტი დრო საქართველოს მთავრობას დაეთმო, ყველაზე დადებითად პრემიერ-მინისტრი გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის 14%-ით, ყველაზე უარყოფითად კი - ადგილობრივი ხელისუფლება, დათმობილი დროის 48%-ით.

„I არხი“ ყველა ძირითად საარჩევნო სუბიექტს უთმობდა დროს, თუმცა იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა „ქართული ოცნება“ სხვებზე უპირატეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. მაგალითად, ამ პარტიის თბილისის მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენას 24 წუთიანი პირდაპირი ეთერი დაეთმო. აღსანიშნავია, რომ არც ერთ სხვა სუბიექტს ამ არხის მთავარი საინფორმაციო გამომშვების პირდაპირ ეთერში ამდენი დრო არ დათმობია.

დიაგრამა 1



“I არხი” მეტწილად დაბალანსებულად და მიუკერძოებლად აშუქებდა ახალ ამბებს, თუმცა რამდენჯერმე შეგვხვდა ცალმხრივად და დაუბალანსებლად გაშუქების ფაქტიც. მაგალითად, მხარეთა შორის გონივრული ბალანსის დარღვევის ნიმუში იყო 11 ივლისს „მომბემში“ გასული სიუჟეტი, რომელშიც „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი წევრი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს პარტიის აქტივისტებზე ზეწოლაში ადანაშაულებდა. ამავე სიუჟეტში ხელისუფლების მიმართ ისმოდა ბრალდებები გიორგი ვაშაძის პარტიის „ახალი საქართველო“ და „ლეიბორისტული პარტიის“ წევრების მხრიდანაც. გიორგი ვაშაძე ზეწოლის კონკრეტულ შემთხვევას ასახელებდა, ლეიბორისტების წარმომადგენელი კი ხელისუფლებას ერთ-ერთ კომპანიასთან კორუფციულ გარიგებაში სდებდა ბრალს. სიუჟეტში არ იყო მოყვანილი არანაირი მტკიცებულება და არც ბრალდებებზე მეორე მხარის პასუხი, არ ჩანდა ხელისუფლების წარმომადგენლების პასუხის მოპოვების მცდელობაც. ბალანსი იყო დარღვეული „თავისუფალი დემოკრატების“ რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის “ქართულ ოცნებაში” გადასვლასთან დაკავშირებით მომზადებულ მასალაში, რომელიც 13 სექტემბერს გადაიცა. სიუჟეტში უარყოფითად წარმოჩინდა პარტია „თავისუფალი დემოკრატები“ და მისი ლიდერი, თუმცა არ გასულა საპასუხო კომენტარი და არც ამ კომენტარის მოპოვების მცდელობა ჩანდა.

სხვა ტელევიზიების მსგავსად, “I არხიც” ძირითადად საარჩევნო სუბიექტების მიერ შემოთავაზებული ამბების გაშუქებით შემოიფარგლებოდა და იშვიათად ქმნიდა ექსკლუზიურ პროდუქტს, ნაკლებად ახდენდა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების წამოწევას და მათ სიღრმისეულ, მრავალმხრივ გაშუქებას. იყო შემთხვევები, როცა მნიშვნელოვანი ამბის გაშუქებისას არხი მხოლოდ მთავრობის მიერ გაჟღერებული გზავნილების გახმოვანებით შემოიფარგლა, რის გამოც საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი დეტალები ყურადღების მიღმა დარჩა. მაგალითად, 26 ოქტომბერს, არჩევნების მეორე ტურამდე რამდენიმე დღით ადრე, “მომბემში” გავიდა სიუჟეტი გარდაბანში ახალი თბოელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ. გადაცემაში გაჟღერდა პრემიერის, ენერგეტიკის მინისტრისა და ენერგეტიკის სფეროს რამდენიმე ექსპერტის კომენტარი. თბოელექტროსადგური განხილული იყო როგორც საუკეთესო, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი და ქვეყნისთვის უადრესად დადებითი პროექტი. სიუჟეტში არ იყო მოყვანილი გარემოს დამცველთა პოზიცია, არ იყო განხილული, თუ რა ზიანი შეიძლება მიადგეს გარემოს, რაც სიუჟეტის მნიშვნელოვანი ხარვეზია. მედია, განსაკუთრებით კი საზოგადოებრივი მაუწყებელი, ვალდებულია, საზოგადოებას ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს მისი საცხოვრებელი გარემოს და ამ გარემოში არსებული რისკების შესახებ.

რუსთავი 2


სამონიტორინგო პერიოდში „რუსთავი 2“-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „კურიერი“ (ყოველ სამუშაო დღეს 21 საათზე), „შაბათის კურიერი“ (შაბათს 21 საათზე) და გადაცემას „P.S.“ (ყოველ კვირას 21 საათზე).

“რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი დრო საქართველოს მთავრობას დაეთმო, ყველაზე უარყოფითად ადგილობრივი ხელისუფლება და მთავრობა გაშუქდა მათთვის დათმობილი დროის 68% და 66%-ით. ყველაზე დადებითად კი „ნაციონალური მოძრაობა“ მისთვის დათმობილი დროის 5%-ით.

„რუსთავი 2“ სხვა არხებისგან ხარისხიანი მედია პროდუქტით გამოირჩეოდა. არხზე მრავლად იყო ექსკლუზიური, სიღრმისეული რეპორტაჟები საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სოციალურ, ეკონომიკურ, ადამიანის უფლებების, კორუფციის თუ სხვა თემებზე.

მთელი წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში „რუსთავი 2“ არსებული ხელისუფლების კრიტიკით გამოირჩეოდა. ხელისუფლებისადმი მიძღვნილი სიუჟეტები ზოგჯერ მიკერძოებული და დაუბალანსებელი იყო.

დიაგრამა 2



მაგალითად, საპარლამენტო არჩევნების წინა დღეს, 7 ოქტომბერს თითქმის 17 წუთიანი სიუჟეტი მიეძღვნა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნის ოთხი წლის შეფასებას. მთელი სიუჟეტი გაჯერებული იყო „ქართული ოცნების“ კრიტიკით, რომელიც ხშირ შემთხვევაში დაუსაბუთებელი იყო.

აღნიშნულ სიუჟეტში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ გურჯაანში მოკლული ბავშვის, ბარბარე რაფალიანცის მკვლელობაში დამნაშავედ „ქართული ოცნება“ იყო გამოყვანილი. სიუჟეტში ასევე დადასტურებულ ფაქტად იყო მოყვანილი, რომ ქართული ოცნების ძალოვანმა უწყებებმა ვანო მერაბიშვილი საკნიდან „თავზე ტომარაჩამოცმული გაიყვანეს“, მაშინ, როცა ამ ფაქტის ნამდვილობა არანაირი მტკიცებულებებით არ დადასტურებულა. ამავე სიუჟეტში ჟურნალისტის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტრო ღიად იყო დადანაშაულებული დანაშაულის სტატისტიკის გაყალბებაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური კი - ხელისუფლების ოპონენტების ფარული ჩანაწერების მოპოვება-გავრცელებაში. სიუჟეტის ავტორმა „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ ბრძოლაში „სახელმწიფოს მთელი აპარატი“ დაადანაშაულა. მისივე თქმით, „ხელისუფლების სოციალურმა პოლიტიკამ სასიკვდილოდ გაწირა სოციალურად დაუცველები“. სიუჟეტი საყდრისის საბადოსაც შეეხო: „ოპერატიული იყო მთელი სახელმწიფო აპარატი საყდრისის საბადოს აფეთქების დროს. პირადად ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებით, უძველესი საბადო - თითქმის მთლიანად განადგურდა“.

მთელი სიუჟეტი იყო დაუზუსტებელ ფაქტებზე აგებული. სიუჟეტში იყო კადრებით და აუდიოფიქტებით მანიპულაცია, მმართველი გუნდისა და ბიძინა ივანიშვილის ძველი, საარქივო კომენტარები გამოყენებული იყო მხოლოდ და მხოლოდ მათთვის უარყოფით კონტექსტში.

17-წუთიან სიუჟეტში გაჟღერებული ბრალდებების საპასუხოდ არ ისმოდა „ქართული ოცნების“ კომენტარები და არც ამ კომენტარების მოპოვების მცდელობა ჩანდა. ნიშანდობლივია ის, რომ სიუჟეტი გავიდა არჩევნების წინა ღამეს და „ქართულ ოცნებას“ არ ქონდა შესაძლებლობა, ბრალდებებზე პასუხი არჩევნებამდე გაეცა. აღნიშნული სიუჟეტი სუბიექტურობის, მიკერძოებულობისა და დაუბალანსებლობის თვალსაჩინო მაგალითია.

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს გადაცემა „შაბათის კურიერი“, რომლის წამყვანიც გამოირჩევა მიკერძოებული, ზოგ შემთხვევაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემის სტანდარტისთვის შეუსაბამო ქმედებებით. მაგალითად, 9 ივლისს შაბათის კურიერის ეთერში გიორგი გაბუნიაშვილმა აშშ-ში საქართველოს ელჩის არჩილ გეგეშიძის მიერ, დიპლომატიური წესების დარღვევით, საქართველოში ჯონ ქერის ვიზიტის შესახებ ინფორმაციის წინასწარ გაჟღერებაზე ისაუბრა. ტელეწამყვანმა ამ ინფორმაციასთან ერთად მაყურებელს გააცნო ელჩის ინტერვიუს ფრაგმენტი: „ფაქტია, რომ ვარსებობთ და რომ არა ეს [გეორგიევსკის] ტრაქტატი,

სპარსელებივით მუგუზალივით შავი წარბები და თმები გვექნებოდა. ის, რომ ქართველები გვექვია, ქართული ცნობიერება გვაქვს და გამოგვარჩევნ, როგორც ერს, ეს ჩვენი წინაპრების დამსახურებაა.“ ამ ფრაგმენტის შემდეგ წამყვანმა მაყურებელს შესთავაზა დამონტაჟებული ფოტოები, რომლებშიც ქართველ პოლიტიკოსებს შავი, სქელი წარბები ჰქონდათ მიხატული და აღნიშნა, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი რომ არა, დღეს ასეთი პოლიტიკოსები გვეყოლებოდა. წამყვანმა ფოტოებს სატირულ-იუმორისტული ტექსტები მოაყოლა. ვფიქრობთ, რომ ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ პოლიტიკური შინაარსის გადაცემისათვის მსგავსი ჩანართი მიუღებელია. ამის შესახებ საუბრობს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-14 მუხლის მე-10 პუნქტი, სადაც აღნიშნულია, რომ „აუდიტორიის შეცდომაში შეყვანის თავიდან აცილების მიზნით მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ახალი ამბების გაშუქებისას იუმორის, ირონიის ან სატირის გამოყენებისგან, ან ნათლად განმარტოს მათი მნიშვნელობა.“ ამ შემთხვევაში, წამყვანმა მონოლოგისას სატირის, იუმორისა და სიახლის, ისეთი აღრევა მოახდინა, რომ ვეჭვობთ, გადაცემა ზემოთ აღნიშნული მუხლის რომელიმე მოთხოვნას შეესაბამებოდა.


აღნიშნული მედია პროდუქტის მთავარი პრობლემა იყო ის, რომ გადაცემაში ნაჩვენებ ფოტო მონტაჟს არ გააჩნდა არანაირი ინფორმაციული ღირებულება, პოლიტიკოსების გამოსახვა ხშირი წარბებით მაყურებელს ახალს არაფერს ეუბნებოდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ კურიერის წამყვანის მიერ მაყურებლისთვის შეთავაზებული მონოლოგი ცდება მიუკერძოებელი მედია პროდუქტის სტანდარტს.

იმედი

სამონიტორინგო პერიოდში „იმედის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „ქრონიკა“ (ყოველ სამუშაო დღეს 20 საათზე), „ქრონიკის სტუდია“ (შაბათს 20 საათზე) და „იმედის დრო“ (ყოველ კვირას 20 საათზე)

იმედის ეთერში ყველაზე მეტი დრო მთავრობის გაშუქებას დაეთმო, ყველაზე დადებითად პრემიერ მინისტრი და „ქართული ოცნება“ გაშუქდა, დათმობილი დროის 16% და 14%-ით, ხოლო ყველაზე უარყოფითად - ადგილობრივი ხელისუფლება, დათმობილი დროის 34%-ით.

დიაგრამა 3



იმედის საინფორმაციო გამოშვება მეტწილად მიუკერძოებელი და დაბალანსებული იყო, ერთ-ერთი გამოკვეთილი პრობლემა სიუჟეტებში მოქალაქეებისა და ექსპერტების სიმცირე იყო. იმედი ახალ ამბებს ძირითადად პოლიტიკაზე და პოლიტიკოსების მონაწილეობით აშუქებდა.


როგორც რაოდენობრივი, ისე შინაარსობრივი მაჩვენებლებით გამოიკვეთა „ქართული ოცნების“ მიმართ გარკვეული სიმპათია. მაგალითად, 8 სექტემბერს იმედზე გავიდა სიუჟეტი, რომელიც პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიებს შეეხებოდა. სიუჟეტში თითქმის ყველა ძირითადი პარტიის სიის პირველ ათეულზე იყო საუბარი, თუმცა ჟურნალისტმა დადებით კონტექსტში მხოლოდ „ქართული ოცნების“ შესახებ ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ „ექსპერტების თქმით, დაპირება, რომ სიაში ახალი სახეები იქნებოდა მხოლოდ „ქართულმა ოცნებამ“ შეასრულა“ და მოიყვანა რამდენიმე ექსპერტის კომენტარი, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ სხვა პარტიების სიებში სიახლე არაფერი იყო. აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა, რამდენიმე პარტიამ პირველ ათეულში ამომრჩევლებს ახალი სახეები წარუდგინა, თუმცა ეს ჟურნალისტის ყურადღების მიღმა დარჩა. მისი ტექსტებითა და შერჩეული სინქრონებით „ქართული ოცნება“ ამკარად დადებითად იყო წარმოჩენილი.

მაესტრო

სამონიტორინგო პერიოდში „მაესტროს“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „კონტაქტი რვაზე“ (ყოველ სამუშაო დღეს 20 საათზე).

„მაესტროს“ ეთერში ყველაზე მეტი დრო მთავრობის გაშუქებას დაეთმო. დადებითი გაშუქებით პრემიერ-მინისტრი ლიდერობდა - დათმობილი დროის 30%. პოლიტიკურ პარტიებს შორის ყველაზე მაღალი უარყოფითი გაშუქების მაჩვენებელი „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰქონდა - დათმობილი დროის 48%.


დიაგრამა 4



„ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება მიკერძოებულ და დაუბალანსებელ სიუჟეტებშიც გამოიხატა. მაგალითად, 6 ივნისს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა წამების ფაქტებზე მომზადებული ანგარიშის პრეზენტაცია გამართა. ამ საკითხზე „მაესტროს“ მიერ მომზადებულ სიუჟეტში რესპოდენტები საუბრობდნენ წინა ხელისუფლების დროს ადამიანთა სისტემური წამების შესახებ. ჟურნალისტმა დაასახელა პირები, რომლებიც ანგარიშის მიხედვით იყვნენ დადანაშაულებული. სიუჟეტში პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერ მინისტრი, პარლამენტის წევრი, დევნილთა მინისტრი, სახალხო დამცველი და ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ერთხმად საუბრობდნენ წინა ხელისუფლების დროს ადამიანების მიმართ ჩადენილ სისტემურ დანაშაულებზე. მძიმე ბრალდების მიუხედავად, წინა ხელისუფლების არც ერთი წევრის, ანდა თუნდაც „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელს საპასუხო კომენტარის გაკეთების საშუალება არ მისცემია. სიუჟეტი იყო ცალმხრივი და დაუბალანსებელი.

სამონიტორინგო პერიოდში “GDS”-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას “2030” (ყოველ სამუშაო დღეს 20:30 სთ-ზე).

დიაგრამა 5



ტელეარხის ეთერში ყველაზე მეტად მთავრობა გაშუქდა, ყველაზე მეტი დადებითი ტონი მთავრობის მისამართით ისმოდა - დათმობილი დროის 24%. ყველაზე უარყოფითად „ნაციონალური მოძრაობა“ გაშუქდა, მისთვის დათმობილი დროის ნახევარზე მეტი (53%) უარყოფითი იყო.

GDS-ს ეთერში აშკარა იყო არსებული ხელისუფლებისა და ბიძინა ივანიშვილის მიმართ ლოიალური განწყობა. იყო შემთხვევები, როცა ბიძინა ივანიშვილის მიერ ოპოზიციის მისამართით გაჟღერებული დაუსაბუთებელი ბრალდებები საპასუხო კომენტარების გარეშე გადიოდა ეთერში. ასევე, აშკარა იყო უარყოფითი დამოკიდებულება წინა ხელისუფლებისა და „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ.

მაგალითად, 9 სექტემბერს დაახლოებით სამწუთნახევრიანი სიუჟეტი მიეძღვნა „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის განხილვას, მთელი სიუჟეტის განმავლობაში ჟურნალისტი მხოლოდ იმ საკითხებს უთმობდა დროს, რომლებიც „ოცნებას“ დადებითად წარმოაჩენდა. მაგალითად ის, რომ სიაში ახალი სახეები და შეზღუდული შესაძლებლობის პირი იყო შეყვანილი, რომ მაჟორიტარი კანდიდატები სიის პირველ ორმოცდაათ წევრს შორის არ იყვნენ - ანუ პარტიამ არ დააზღვია მათი პარლამენტში მოხვედრა, რომ აღარ იყვნენ ძველი სახეები (ჯაჭვლიანი, ზვიადაური, თამაზაშვილი) და ა.შ.

სიუჟეტში არც ერთი კრიტიკული მოსაზრება არ გაჟღერებულა და ეს მაშინ, როცა „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის მიმართ სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების მხრიდან საკმაო რაოდენობის შენიშვნები გამოითქვა. პარტიული სიის მხოლოდ დადებით კონტექსტში წარმოჩენა ნაკლებად შეესაბამებოდა ობიექტურ სურათს. მედია საშუალება ვალდებული იყო საზოგადოებისთვის განსხვავებული მოსაზრებები და პოზიციები შეეთავაზებინა.

ზემოთ მოყვანილ გადაცემასთან ერთად ასევე აღსანიშნავია 27 სექტემბრის სიუჟეტიც, სადაც დაუდასტურებელ ფაქტებზე დაყრდნობით „ნაციონალური მოძრაობა უარყოფითად იყო წარმოჩენილი: „რეკოლუციური სცენარი, ხალხის მობილიზება და კარვების გაშლა, სწორედ ამ გეგმაზეა საუბარი იმ აუდიოჩანაწერში, სადაც სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობის წევრები საუბრობენ“ - ასე წარადგინა “2030“-ის წამყვანმა ინტერნეტში გავრცელებული აუდიოჩანაწერი. ჟურნალისტმა მხოლოდ გაკვრით ახსენა, რომ ამ „ჩანაწერის ავთენტურობას“ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური სწავლობდა.

მთელი სიუჟეტის განმავლობაში ჟურნალისტი მტკიცებით ფორმაში, როგორც დადასტურებულ ფაქტს, წარმოაჩენდა აუდიოჩანაწერისა და მასში მონაწილე პირების რეალურობას. ჟურნალისტი არ დაინტერესდა, თუ ვინ გაავრცელა ჩანაწერი, არ მიუთითა, რომ იგი უკანონოდ იყო მოპოვებული და რომ სხვისი საუბრების ჩაწერა დანაშაულია და კანონით ისჯება. სიუჟეტში არ იყო მოყვანილი არც ერთი მიუკერძოებელი პირის, თუნდაც იურისტის შეფასება ამ საუბრის წარმომავლობის კანონიერებისა და მასში მოყვანილი საუბრის შინაარსის თაობაზე, არ იყო აღნიშნული, რომ მსგავსი ჩანაწერების მწარმოებლის და გამავრცელებლის გამოვლენა ხელისუფლების პირდაპირი მოვალეობაა.

სიუჟეტი იყო მიკერძოებული, ამ აუდიოჩანაწერით “ნაციონალური მოძრაობა” და მიხეილ სააკაშვილი უარყოფითად იყო წარმოჩენილი. მხოლოდ იმის გაკვრით აღნიშვნა, რომ უსაფრთხოების სამსახური სწავლობს ჩანაწერის ავთენტურობას არ იყო საკმარისი დამაბალანსებელი ინფორმაცია მაყურებლისთვის და მხოლოდ მოვალეობის მოხდის შთაბეჭდილებას ტოვებდა.


ტაბულა

სამონიტორინგო პერიოდში „ტაბულას“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას “ფოკუსი” (ყოველ სამუშაო დღეს 19 საათზე).

„ტაბულას“ ეთერშიც ყველაზე მეტი დრო მთავრობის გაშუქებას დაეთმო, ყველაზე დადებითად პრემიერი წარმოჩინდა - დათმობილი დროის 8%, უარყოფითად კი მთავრობა - 42%.

„ტაბულას“ ეთერში მოკლე საინფორმაციო გამოშვება გადიოდა, რომელიც ძირითადად კადრ-სინქრონებით იყო აწყობილი და თითქმის არ გვხვდებოდა სიღრმისეული სიუჟეტები. „ტაბულა“ ამბებს ზედაპირულად და ხშირად ერთ წყაროზე დაყრდნობით ამზადებდა.

დიაგრამა 6




„ტაბულას“ ეთერში შესამჩნევი იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ სიმკაპათია და ხელისუფლების ხშირი, ზოგჯერ დაუბალანსებელი კრიტიკა. მაგალითად, 20 მაისის, 10 აგვისტოს, 28 ოქტომბრის კადრ-სინქრონებში, არსებული ხელისუფლება მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის მონათხრობზე დაყრდნობით ისე იყო გაკრიტიკებული, რომ „ქართულ ოცნებას“ საპასუხო კომენტარის საშუალებაც არ მიეცა. მთავრობა

უარყოფითად იყო წარმოჩენილი 20 მაისის და 3 ოქტომბრის საინფორმაციო გამოშვებებშიც, თუმცა არ იყო ხელისუფლების საპასუხო კომენტარი და არც ამ კომენტარის მოპოვების მცდელობა ჩანდა.

კავკასია

სამონიტორინგო პერიოდში „კავკასიის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ, მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „დღე“ (პერიოდულობა - ყოველ სამუშაო დღეს 20:30 წთ-ზე).

დიაგრამა 7




გაშუქების ხანგრძლივობით კავკასიაზე მთავრობა ლიდერობდა, ყველაზე დადებითად პრემიერ მინისტრი წარმოჩინდა (13%), ყველაზე უარყოფითად - „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი, მათთვის დათმობილი დროის 25-25%-ით.

„კავკასიის“ საინფორმაციო გამოშვება ახალი ამბების სიმწირით გამოირჩეოდა. ეთერში ძირითადად პრესკონფერენციებიდან და ბრიფინგებიდან აღებული ინტერვიუს ფრაგმენტები გვხვდებოდა. თითქმის არ იყო სიღმისეული სიუჟეტები და ექსკლუზიური თემები. მთავარი ეთიკური პრობლემა ამბების დაუბალანსებლად, ერთ მხარეზე დაყრდნობით გადმოცემა იყო.

ტელეკომპანია „პირველი“

„პირველის“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას (22 საათზე).

ტელეარხის ეთერში ყველაზე მეტი დრო მთავრობას დაეთმო, ყველაზე დადებითად პრემიერ-მინისტრი გაშუქდა (14%). პოლიტიკურ პარტიებს შორის ყველაზე უარყოფითად „ქართული ოცნება“ წარმოჩინდა მისთვის დათმობილი დროის 26%-ით.



„პირველის“ საინფორმაციო გამოშვება ხანგრძლივობით და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. თითოეულ გამოშვებაში ათეულობით კადრ-სინქრონი გადიოდა სადაც თითქმის ყველა პოლიტიკური სუბიექტის აქტივობა იყო ასახული. თუმცა, ახალი ამბები ძირითადად კონკრეტულ საკითხზე პოლიტიკოსების კომენტარებით შემოიფარგლებოდა, ნაკლები იყო ამომრჩევლის მრავალმხრივი ინფორმირებისკენ მიმართული სიღრმისეული სიუჟეტები.

სხვა არხების მსგავსად, „პირველის“ ძირითად პრობლემად ამბების დაუბალანსებლად, ერთ მხარეზე დაყრდნობით გადმოცემა დაფიქსირდა. მაგალითად, 7 ივნისს, 18 აგვისტოს და 13 ოქტომბერს გასულ კადრ-სინქრონებში არსებული ხელისუფლება იყო გაკრიტიკებული, ისე რომ არ გაჟღერებულა საპასუხო კომენტარი და არც მისი მოპოვების მცდელობა ყოფილა.

ობიექტივი


ობიექტივის ეთერში მონიტორები მთავარ საინფორმაციო გამოშვებას აკვირდებოდნენ, რომელიც ეთერში ყოველ სამუშაო დღეს 19:30 სთ-ზე გადის.

სხვა არხების მსგავსად, „ობიექტივზე“ გაშუქების მოცულობით მთავრობა ლიდერობდა. პარტიებს შორის ყველაზე უარყოფითად „ნაციონალური მოძრაობა“ წარმოჩინდა (43%) ყველაზე დადებითად კი ბლოკი „პატრიოტთა ალიანსი“ (9%).

„ობიექტივი“ სხვა არხებისგან გამოირჩეოდა იმით, რომ თუ ყველა სხვა არხზე ორ პოლიტიკურ პარტიას „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმო ყველაზე მეტი დრო, „ობიექტივზე“ პარტიებს შორის „პატრიოტთა ალიანსი“ ლიდერობდა. ეს ფაქტი შესაძლოა ალიანსსა და „მედიაკავშირ ობიექტივს“ შორის კავშირით აიხსნას. კერძოდ, ობიექტივს და ალიანსს საერთო დამფუძნებელი ყავთ - ირმა ინაშვილი. „პატრიოტთა ალიანსის“ მიმართ განსაკუთრებული სიმპათია „ობიექტივის“ საინფორმაციო გამოშვებებშიც იგრძნობოდა. მაგალითად, 8 სექტემბერს ბიძინა ივანიშვილმა ერთ-ერთ მორიგ რეგიონულ შეხვედრაზე „პატრიოტთა ალიანსს“ მოუწოდა ღიად დაეფიქსირებინა საგარეო კურსი. „ობიექტივის“ მთავარ საინფორმაციო გადაცემაში ეს ინფორმაცია გავიდა ჯამში 8 წამის მოცულობით, რასაც მოყვა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერის დავით თარხან მოურავის ხანგრძლივი, საინფორმაციოს ფორმატისთვის შეუსაბამო 4.5 წუთიანი საპასუხო კომენტარი. 17 ოქტომბრის გამოშვებაშიც, ახალი ამბების ფორმატისთვის შეუსაბამოდ ხანგრძლივი 224 წამიანი (თითქმის 4 წუთიანი) დავით თარხან-მოურავის სინქრონი გაუშვეს, სადაც იგი საარჩევნო ბანერის ფონზე

მიმართავდა მაყურებელს, რომ მის წინააღმდეგ „შავ პიარს“ ჰქონდა ადგილი. ის აკრიტიკებდა “ნაციონალურ მოძრაობასა” და ხელისუფლებას პარტიული რეიტინგების კვლევებთან დაკავშირებით. გადაცემაში არ გასულა არც ერთი საპასუხო კომენტარი, ინფორმაცია დაუბალანსებლად იყო გადმოცემული.

დიაგრამა 9




საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია

მონიტორები აჭარის ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებას („მთავარი ამბები“ 21 საათზე) აკვირდებოდნენ.

აჭარის ტელევიზია მონიტორინგისთვის შერჩეულ 11 არხს შორის ერთადერთი იყო, რომელმაც ყველაზე მეტი დრო „ქართული ოცნების“ გაშუქებას დაუთმო. „აჭარის“ ეთერში ყველაზე დადებითად პრემიერ-მინისტრი წარმოჩინდა მისთვის დათმობილი დროის 28%-ით, ხოლო ყველაზე უარყოფითად - პარტია „ ქართული ოცნება“, დათმობილი დროის 23%-ით.

დიაგრამა 10



აჭარის ტელევიზია მთელი სამონიტორინგო პერიოდის განმავლობაში გამოირჩეოდა დაბალანსებული, მიუკერძოებელი გაშუქებით, თუმცა რამდენიმე პრობლემური მაგალითი აქაც დაფიქსირდა.

მაგალითად, 6 სექტემბერს ერთ-ერთი სიუჟეტი ბათუმის მაჟორიტარობის კანდიდატს არმაზ ახვლედიანს მიემდგნა, სადაც ის დადებითად იყო წარმოჩენილი. ჟურნალისტი მრავლად იყენებდა საქებარ ფრაზებს „წესიერი, თავმდაბალი, პროფესიონალი“ და ა.შ.

სიუჟეტი “ქართული ოცნებას”, აჭარის ადგილობრივ მთავრობასა და მის ხელმძღვანელს, ზურაბ პატარაძეს ადანაშაულებდა არმაზ ახვლედიანის მომხრეების გადაბირებასა და მათზე ზეწოლაში. ახვლედიანმა ხელისუფლების წარმომადგენლები შანტაჟისა და მუქარაშიც დაადანაშაულა და დაასახელა კონკრეტული ფაქტები. მძიმე ბრალდებების მიუხედავად, არ იყო საპასუხო კომენტარები და არც მათი მოპოვების მცდელობა ჩანდა. სიუჟეტში დარღვეული იყო მხარეთა შორის ბალანსი.


28 ივლისს პრეზიდენტის მრჩეველმა, კახა კოჭორიძემ, შინაგან საქმეთა სამინისტრო კანონდარღვევებში დაადანაშაულა. კოჭორიძემ შსს-ს კონკრეტული ბრალდება წაუყენა და დაასახელა ორი ფაქტი, როდესაც, მისი თქმით, სამინისტროს რამდენიმე უწყებამ კანონი დაარღვია. აღნიშნული ინფორმაცია ეთერში გავიდა მხოლოდ ერთ წყაროზე, კახა კოჭორიძეზე დაყრდნობით. არ ყოფილა ინფორმაციის გადამოწმების მცდელობა, შსს-ს წარმომადგენლებს საპასუხო კომენტარი არ გაუკეთებიათ, დარღვეული იყო ბალანსი.

ტელეარხი 25

“ტელეარხი 25”-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „მაცნე“.

ტელეარხმა ყველაზე მეტი დრო დაუთმო ადგილობრივ ხელისუფლებას, რომელსაც საინფორმაციო გამოშვებებში ყველაზე მეტი უარყოფითი გაშუქება ჰქონდა - დათმობილი დროის 39%. ყველაზე დადებითად აჭარის მთავრობა წარმოჩინდა, დათმობილი დროის 12%-ით.

დიაგრამა 11



“ტელეარხი 25” ძირითადად ადგილობრივ, აჭარის ავტონომიაში მიმდინარე ახალ ამბებს აშუქებდა, რაც ალბათ არის იმის მიზეზი, რომ ადგილობრივი ხელისუფლებას გაშუქების ასეთი მაღალი წილი ერგო. არხი მეტწილად ეთიკური პრინციპების შესაბამისად მუშაობდა, თუმცა სხვა არხების მსგავსად, აქაც იყო მხარეთა შორის ბალანსის დარღვევის ფაქტები.

სექტემბერ-ოქტომბერში მომრავლდა მაგალითები, როცა ბალანსი „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ და არსებული ხელისუფლების საზიანოდ ირღვეოდა. მაგალითად, 7 სექტემბერს საინფორმაციო გადაცემაში გავიდა კადრ-სინქრონი სათაურით „პეტრე ზამბახიძე საარჩევნო უბნებზე კანონის დარღვევის ფაქტებზე საუბრობს“, რომელშიც „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა ხელისუფლება ბათუმში საარჩევნო უბნების კომისიების თავმჯდომარეების და მოადგილეების უკანონოდ დანიშვნაში დაადანაშაულა, მისი თქმით ამ პოსტებზე ხელისუფლების ინტერესების გამტარებელი ადამიანები დაინიშნენ. სიუჟეტში არ ჩანდა ხელისუფლების, საარჩევნო ადმინისტრაციის, ან „ქართული ოცნების“ საპასუხო კომენტარი. ამბავი დაუბალანსებლად და მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით იყო გადმოცემული.

24 სექტემბერს გასული კადრ-სინქრონის მიხედვით, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი აჭარის მთავრობის მეთაურს ზურაბ პატარაძეს კორუფციაში ადანაშაულებს, ასახელებს კონკრეტულ ფაქტს სადაც მისი თქმით კორუფციის ეჭვი ჩნდება. სიუჟეტში არ არის მოცემული აჭარის მთავრობის ხელმძღვანელის კომენტარი. მოყვანილია ზოგადი ფრაზა, რომ დღეს მთავრობაში კომენტარი არ გაკეთებულა, რაც ბალანსის დაცვად არ შეიძლება ჩაითვალოს. სიუჟეტიდან არ ჩანს, მიმართეს თუ არა ჟურნალისტებმა მთავრობას კომენტარისთვის კონკრეტულ ბრალდებასთან დაკავშირებით.

დასკვნები და რეკომენდაციები

- ტელევიზიებმა, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში, მეტი ძალისხმევა გამოიჩინონ ექსკლუზიური, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი თემების მოძიებასა და გაშუქებაში. თემები უნდა გაშუქდეს მრავალმხრივად და სიღრმისეულად. სასურველია, რომ მედია თავად ქმნიდეს საკუთარი საინფორმაციო გამოშვების დღის წესრიგს, ნაცვლად არსებული რეალობისა, როცა მედია ძირითადად პოლიტიკოსთა აქტივობების აღწერით შემოიფარგლება.
- ზოგიერთ შემთხვევაში ტელევიზიების საერთო პრობლემად მხარეთა შორის გონივრული ბალანსის დარღვევა და ამბის ერთ წყაროზე დაყრდნობით გაშუქება რჩება. არადა, ჟურნალისტის ერთ-ერთი ვალდებულებაა, ამბავი მიუკერძოებლად, მრავალ წყაროზე დაყრდნობით და დაბალანსებულად გადმოსცეს. მაუწყებელთა ქცევის კოდექსი ადგენს, რომ თანაბრად და ადეკვატურად უნდა მოხდეს განსხვავებული მოსაზრებების ასახვა. საინფორმაციო გამოშვებაში ჟურნალისტი ყველანაირად უნდა ეცადოს, რომ ყველა დაინტერესებული მხარის პოზიცია წარმოადგინოს.
- ბალანსის დარღვევა უმეტესად ე.წ. კადრ-სინქრონებში ხდებოდა. ეს არის მედია პროდუქტი, როცა საინფორმაციოში გადის კონკრეტული სუბიექტის ინტერვიუს ფრაგმენტი-სინქრონი და ამ სუბიექტის კადრების თანხლებით ისმის წამყვანის ხმა, რომელიც კონკრეტულ ამბავს მოგვითხრობს. ხშირ შემთხვევაში, არ არის მოპასუხე მხარის კომენტარი. მედიასაშუალებები კადრ-სინქრონს რატომღაც სრულფასოვან მედია პროდუქტად არ აღიქვამენ, არ ამზადებენ მას იმ სტანდარტით, რა სტანდარტითაც სიუჟეტს ან რეპორტაჟს უდგებიან და ხშირად არღვევენ ბალანსს. არადა, ის ჩვეულებრივი მედიაპროდუქტია, რომელზეც სტანდარტი ვრცელდება. მაყურებლისა და საზოგადოებისთვის არ აქვს მნიშვნელობა, დაუბალანსებელ ინფორმაციას კადრ-სინქრონის სახით მიიღებს თუ სიუჟეტის მეშვეობით. აუცილებელია საპასუხო კომენტარის იმავე პროდუქტში გაშვება, ან იმავე საინფორმაციო გამოშვებაში ცალკე კადრ-სინქრონის მომზადება. უკიდურეს შემთხვევაში, მაყურებელს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, რომ მეორე მხარის კომენტარს მოპოვებისთანავე შესთავაზებენ.
- „დანაშაულის უპასუხოდ დაბრალება“- შეიძლება ასე დავარქვათ თითქმის ყველა ტელევიზიაში დაფიქსირებულ ფაქტს, როცა ერთი საარჩევნო სუბიექტი მეორეს არამხოლოდ აკრიტიკებს, არამედ კონკრეტულ სისხლის სამართლის დანაშაულში სდებს ბრალს. მაგალითად, ამომრჩევლის მოსყიდვა, ამომრჩევლის შანტაჟი, ზეწოლა, დაშინება და სხვ. მსგავს ბრალდებებს ზოგჯერ საპასუხო კომენტარების გარეშე უშვებდნენ ეთერში. მნიშვნელოვანია, რომ მედია განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდოს დანაშაულის დაბრალების შესახებ ინფორმაციის ერთ წყაროზე დაყრდნობით ეთერში გაშვებას. თუ ოპერატიულობის აუცილებლობა არ მოითხოვს, უმჯობესია მედიამ

მსგავსი ამბავი მაყურებელს მხოლოდ „დადანაშაულებული“ სუბიექტის საპასუხო კომენტარის მოპოვების შემდეგ შესთავაზოს. აუცილებლობის შემთხვევაში, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო, ინფორმაცია შესაძლოა გადაიცეს ერთ წყაროზე დაყრდნობით, თუმცა მედია საშუალებამ იქვე უნდა განუმარტოს მაყურებელს, რომ ინფორმაცია გადაუმოწმებელია, ეყრდნობა მხოლოდ ერთ წყაროს, რომ ცდილობს გადამოწმებას და მეორე მხარის კომენტარს მოპოვებისთანავე მიაწოდებს.

- ბალანსის დარღვევისას და ამბის ცალმხრივად გაშუქებისას ჟურნალისტები მაყურებლებს ზოგჯერ არ აწვდიან ინფორმაციას, თუ რატომ არ იყო მეორე მხარის პოზიცია ასახული. ისინი პირად საუბრებში განმარტავენ, რომ ესა თუ ის უწყება კომენტარს არ აკეთებს, პრესსამსახური ტელეფონს არასდროს პასუხობს და ა.შ. ჩვენი რეკომენდაციაა, რომ ჟურნალისტმა ყველა მსგავს შემთხვევაში მაყურებელს განუმარტოს, თუ რატომ ვერ მიიღო საპასუხო კომენტარი და რა მცდელობები ჰქონდა კომენტარის მოსაპოვებლად. ეთიკური ჟურნალისტიკა ავალდებულებს ჟურნალისტს, საზოგადოებას აჩვენოს, რომ მან ყველა გზა სცადა ზუსტი ინფორმაციის მოსაპოვებლად, ამ, თუნდაც უშედეგო, მცდელობის სიუჟეტში ასახვა პროდუქტს უფრო სრულყოფილს და ზუსტს გახდის.
- რამდენიმე ტელევიზიის ეთერში რესპოდენტთა ჰომოფობიური და ქსენოფობიური განცხადებები დაფიქსირდა. იყო შემთხვევები, როცა ამა თუ იმ არხზე რესპოდენტმა დისკრიმინაციული, სიძულვილის ენა და შეუსაბამო ტერმინოლოგია გამოიყენა, მსგავს შემთხვევებში ჟურნალისტს ორი არჩევანი აქვს: თუ დისკრიმინაციის, სიძულვილის ენის ავტორი კერძო პირია, არ მოახდინოს მისი გამონათქვამების ტირაჟირება, ხოლო თუ საჯარო პირია, პოლიტიკოსია, შესაძლებელია მისი გამონათქვამების მაყურებლისთვის ჩვენება, ოღონდ ჟურნალისტმა იქვე უნდა ახსნას, რომ ეს არის მიუღებელი, რომ რედაქცია ემიჯნება მსგავს ქმედებებს და ტირაჟირებას მხოლოდ იმიტომ ახდენს, რომ ავტორი საჯარო პირია. სამწუხაროდ, მედია ჩვენს მიერ დაფიქსირებულ შემთხვევებში ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმალეზე. მედია საშუალება აუცილებლად უნდა გაემიჯნოს ფაქტს, მაყურებელს უნდა განუმარტოს, რომ ეს განცხადება არის ქსენოფობიური, ჰომოფობიური და დაუშვებელი. თანამედროვე ეთიკური სტანდარტები ჟურნალისტს ავალდებულებს გამოხატოს პოზიცია და გააკრიტიკოს არატოლერანტული, ქსენოფობიური განცხადება და მისი ავტორი.

ტოქშოუების მონიტორინგი

20 მაისი - 2 ნოემბერი, 2016

2016 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ განახორციელა მედიის მონიტორინგი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში.

ქარტიის მონიტორები 2016 წლის 1 ივლისიდან 2 ნოემბრის ჩათვლით აკვირდებოდნენ 11 სატელევიზიო არხის საუკეთესო საეთერო დროს (პრაიმ ტაიმში) გასულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქშოუებს. მონიტორინგი ხორციელდებოდა შემდეგ სატელევიზიო არხებზე: საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხი, რუსთავი 2, იმედი, მესტრო, GDS, ტაბულა, კავკასია, პირველი, ობიექტივი, აჭარის ტელევიზია, ტელეარხი 25.

მეთოდოლოგია და ანალიზი

ტოქშოუების საარჩევნო მედიამონიტორინგი მოიცავდა მხოლოდ თვისებრივ კომპონენტს. ქარტიის მონიტორები აკვირდებოდნენ, თუ როგორ ჩანდნენ მონიტორინგის სუბიექტები გადაცემებში. თითოეული ტოქშოუ ფასდებოდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: იყო თუ არა გადაცემის თემა რელევანტურად შერჩეული, რამდენად შეესაბამებოდა მოწვეულ სტუმართა კვალიფიკაცია სადისკუსიო თემას, სტუმრების შერჩევისას ხომ არ ჩანდა მიკერძოება, როგორ მიმდინარეობდა მსჯელობა, რამდენად კარგად მართავდა დისკუსიას წამყვანი, როგორი იყო მისი კითხვები, იყო თუ არა მომზადებული, აძლევდა თუ არა იგი სტუმრებს ცრუ ინფორმაციის გავრცელების საშუალებას, ხომ არ იყო გამოყენებული გადაცემა სიძულვილის ენის გასავრცელებლად და, საერთო ჯამში, იღებდა თუ არა მაყურებელი რაიმე დამატებით ინფორმაციას, რაც მას გაცნობიერებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარებოდა.

ძირითადი მიგნებები

- ტოქშოუების დიდი ნაწილი სადისკუსიო თემად არჩევდა საინფორმაციო გამოშვებებში უკვე ფართოდ განხილულ ამბებს და ვერ ახერხებდა მაყურებლისთვის დამატებითი ინფორმაციის ან ანალიზის შეთავაზებას.
- სექტემბერში გაიზარდა იმ გადაცემების რიცხვი, რომლებშიც პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამებსა და ხედვებს განიხილავდნენ. მიუხედავად ამისა, იშვიათად იმართებოდა საგნობრივი დებატები პოლიტიკურ ლიდერებს შორის.
- ნაცვლად იმისა, რომ წამყვანებს პოლიტიკოსებისათვის კრიტიკული კითხვები დაესვათ და ეჩვენებინათ, თუ რამდენად აქვთ ჩამოყალიბებული ხედვა ამა თუ იმ საკითხზე, ან რამდენად რეალურია მათი დაპირებები, საარჩევნო სუბიექტებს ხშირად ტრიბუნა მათთვის სასურველ თემაზე სასაუბროდ ეთმობოდათ. იშვიათად ისმოდა კონტრარგუმენტები, რომლებიც მაყურებელს დაპირებების რელევანტურობისა და რეალურობის შესახებ წარმოადგენს შეუქმნიდა.

- წამყვანები საარჩევნო სუბიექტებს უმეტესად ზოგად კითხვებს უსვამდნენ (მაგ. თქვენ როგორ შეაფასებთ? რას ფიქრობთ ამ საკითხზე? როგორია საარჩევნო გარემო?) და სხვა პოლიტიკური ჯგუფების განცხადებების შეფასებას სთხოვდნენ, შესაბამისად, რესპონდენტთა პასუხებიც ხშირად ზოგადი იყო.
- რამდენიმე გადაცემაში მონაწილეობდნენ მაჟორიტარული არჩევნების კანდიდატები ცალკეული ოლქებიდან, თუმცა გაურკვეველი დარჩა მათი შერჩევის კრიტერიუმები.
- კითხვის ფორმულირებისას, წამყვანები ზოგჯერ ერთმანეთში ურევდნენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მაჟორიტარი დეპუტატების კომპეტენციებს. იგივე პრობლემა შეინიშნებოდა თავად კანდიდატების მხრიდანაც, რაც საბოლოო ჯამში ამომრჩევლის შეცდომაში შეყვანას უწყობდა ხელს.
- არჩევნების პირველი ტურის წინ ტელეარხები “მაესტრო”, “იმედი” და “GDS” ხშირად ინტერესდებოდნენ “ნაციონალური მოძრაობის” მხრიდან “მოსალოდნელი დესტაბილიზაციით” და დიდ დროს უთმობდნენ ამ საკითხის განხილვას, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა დესტაბილიზაციის დამადასტურებელი რაიმე კონკრეტული ფაქტი.
- ტელეკომპანიის “GDS” გადაცემას “2030” და “მაესტროს” ტოქშოუებს „ქართული ოცნების“ გაცილებით მეტი წარმომადგენელი სტუმრობდა, ვიდრე სხვა პარტიის წევრები.
- „ობიექტივის“ გადაცემა „ღამის სტუდია“ „პატრიოტთა ალიანსის“ ტრიბუნა იყო. ამ პარტიის წარმომადგენლები თითქმის ყველა გადაცემაში მონაწილეობდნენ, წამყვანები კი ხშირად მათ მხარდაჭერას უცხადებდნენ.
- იყო შემთხვევები, როდესაც წამყვანებმა ვერ მოახერხეს დისკუსიის მართვა, სტუმრებმა გამოიყენეს სიმულვილის ენა და ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიაყენეს ერთმანეთს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი

პირველი არხის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ შემდეგ გადაცემებს: „მთავარი“, „ინტერვიუ“ და „რეალური სივრცე“. არჩევნების მოახლოებასთან ერთად შეიცვალა გადაცემების პერიოდულობა და ფორმატი. „მთავარში“ პოლიტიკური პარტიების პრეზენტაციები გაიმართა, „რეალური სივრცე“ მთელი საქართველოს მასშტაბით მაჟორიტარ კანდიდატებს უთმობდა დროს, „ინტერვიუ“ კი მაყურებელს კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების ლიდერებთან პირისპირ ინტერვიუს სთავაზობდა. ეთერში გავიდა პარტიების პირველ ნომრებისა და ქალი ლიდერების პოლიტიკური დებატებიც.

მთავარი

გადაცემა „მთავარი“ მონიტორინგის პირველ პერიოდში მიმდინარე თემებს ძირითადად სტუდიაში მყოფ ერთ სტუმართან ერთად განიხილავდა და ჰქონდა პირისპირ ინტერვიუს სახე. არჩევნების მოახლოებასთან ერთად გადაცემამ ფორმატი შეიცვალა და პარტიების პრეზენტაციები იმართებოდა.

პარტიების სტუმრობისას ნაკლები დრო ეთმობოდა მათი პროგრამების ანალიზს, წამყვანი ხშირად მხოლოდ მიმართულებას აძლევდა საუბარს და არ სვამდა კრიტიკულ კითხვებს. ასევე, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ის ნაკლებად იცნობდა მოწვეული საარჩევნო სუბიექტების გეგმებს. მაგალითად, 7 სექტემბერს, “თავისუფალი დემოკრატების” საარჩევნო ხედვების წარდგენის დროს, წამყვანმა თავადვე აღნიშნა, რომ პარტიის პროგრამა არ წაეკითხა, მაგრამ ნანახი ჰქონდა მათი „კლიპი“ საარჩევნო დაპირებების შესახებ.

ვინაიდან ნაკლებად ისმოდა კონტრკითხვები და წამყვანი მხოლოდ მოდერატორის როლს ასრულებდა, პარტიების წარმომადგენლებს ხშირად ეძლეოდათ მცდარი ინფორმაციის გავრცელების საშუალება. მაგალითად, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ ლიდერმა გოგი თოფაძემ, ჯერ 19 სექტემბერს, შემდეგ კი 3 ოქტომბერს ქვეყანაში მყოფი უცხოელი მრჩევლები დაადანაშაულა მრეწველობის განვითარების ხელის შეშლაში. არც ერთ შემთხვევაში წამყვანმა არ მოსთხოვა პოლიტიკოსს დაეზუსტებინა, თუ კონკრეტულად ვის, ან რას გულისხმობდა და რის საფუძველზე აკეთებდა ასეთ განცხადებებს.

გადაცემა ერთდროულად ბევრ თემას განიხილავდა. კითხვები პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან ხშირად ზედაპირული და შეუსაბამო იყო. მაგალითად, 24 აგვისტოს „სახელმწიფო ხალხისთვის“ ლიდერს პაატა ბურჭულაძეს წამყვანმა ჰკითხა - „გული არ გწყდებათ, როცა უყურებთ, რომ სხვა მღერის და თქვენ დაკავებული ხართ იმით, რომ სიაში ვინ რომელი იქნება?“

გადაცემის წამყვანის მიერ განსახილველი საკითხის ცოდნისა და კრიტიკულობის ნაკლებობის კიდევ ერთი მაგალითია 31 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ წევრის, ეკა ბესელიასთვის დასმული კითხვა, თუ რა ფორმით იმსჯელებს ახალი პარლამენტი „მართლმსაჯულების მესამე ტალღაზე“, რომელიც პარლამენტმა უკვე ორი მოსმენით მიიღო. წამყვანი არ დაინტერესებულა, თუ რატომ შეჩერდა და ჭიანჭურდება ქვეყნისთვის და სასამართლო სისტემისთვის ასე მნიშვნელოვანი რეფორმა მესამე მოსმენის ეტაპზე, როცა ფაქტობრივად, მხოლოდ სარედაქციო ხასიათის ცვლილებები შედის პროექტში. ამის ნაცვლად, რესპონდენტს შესაძლებლობა მიეცა ზოგადად ესაუბრა იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს რეფორმა ქვეყნისათვის.

ინტერვიუ

გადაცემაში რიგითობის მიხედვით იწვევდნენ პოლიტიკური პარტიის ლიდერებს. პირისპირი ინტერვიუ საკმაოდ დინამიკური იყო. საწყისი კითხვის შემდეგ წამყვანი იწყებდა დეტალების განხილვას და პასუხს ითხოვდა პარტიის თუ პოლიტიკოსის მიერ გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებზე. კითხვები იყო კარგად ფორმულირებული, საინტერესო და აქტუალური.

კითხვის დასმის დროს წამყვანს მოჰყავდა არგუმენტები. მას შესწავლილი ჰქონდა პოლიტიკური პარტიის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ქმედება და გაკეთებული განცხადებები, რასაც, საჭიროებისამებრ, კონტრარგუმენტად იშველიებდა კიდევ. იგი ცდილობდა, დასმულ კითხვაზე ცხადი პასუხი მიეღო. როგორც წესი პოლიტიკოსები იშვიათად ტოვებენ კითხვებს უპასუხოდ და ყველა უხერხულ კითხვაზე შეუძლიათ რაიმე პასუხის გაცემა, თუმცა გადაცემის „ინტერვიუ“ წამყვანი უმრავლეს შემთხვევაში არ იღებდა „რადაც პასუხს“ და ცდილობდა მიეღო კონკრეტული ინფორმაცია შემხვედრი კითხვების ლოგიკური ჯაჭვით. იგი არ განიხილავდა მოვლენებს კონტექსტის გარეშე. გადაცემა სწორედ ამის გამო იყო ინფორმაციული. უმწვავესი კამათის მიუხედავად, წამყვანი მუდმივად ინარჩუნებდა საუბრის მშვიდ ტონს და ბოლომდე გაწონასწორებული რჩებოდა.

საანგარიშო პერიოდში ერთადერთი ხარვეზი შესამჩნევი იყო 13 სექტემბერს, როდესაც ეთერში გავიდა ინტერვიუ დავით უსუფაშვილთან. რესპონდენტს არ მიეცა მოსაზრებების ბოლომდე გამოთქმის საშუალება და წამყვანის მიერ უკანონო მოსმენების საკითხზე დასმული შეკითხვა, პასუხის გარეშე დარჩა, რადგან ჟურნალისტმა გადაცემა დაასრულა.

რეალური სივრცე

ფორმატის მიხედვით, გადაცემაში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები პასუხობდნენ სხვადასხვა რეგიონის ამომრჩევლების მიერ დასმულ კითხვებს, სტუმრები წილისყრით იყვნენ შერჩეულნი, რაც ჟურნალისტის მხრიდან მიკერძოებას გამოიწვევდა.

წამყვანი იყო მოდერატორი და, ფორმატიდან გამომდინარე, თითქმის არ სვამდა კითხვებს. სტუმარს სასაუბროდ მიცემული ჰქონდა წუთნახევარი, შესაბამისად, ყველა პოლიტიკურ პარტიას თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდა აზრი გამოეხატა იმ პრობლემებზე, რომლებიც ამომრჩევლებს ყველაზე მეტად აწუხებდა. მოსახლეობის მიერ დასმული კითხვები იყო ძალიან აქტუალური და კრიტიკული.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ, ხშირ შემთხვევაში, კანდიდატებს დრო არ ჰყოფნიდათ. ფორმატი არ ითვალისწინებდა დროს შეკამათებისთვის. ამიტომ მაცურებელს უჭირდა გაერკვია, ვისი პოზიცია იყო უფრო

მართებული. დაპირებების რეალურობის გარკვევის გარეშე ამომრჩეველს გაუჭირდებოდა გააზრებული არჩევანის გაკეთება, რაც ამ გადაცემის მთავარი მიზანი იყო. მაგალითად, 9 სექტემბრის გადაცემაში ყველა კანდიდატი ამბობდა, რომ ჭიათურელ მადაროელებს უნდა მოეხსნას საშემოსავლო გადასახადი, თუმცა როგორ, რის ხარჯზე და რა თანხაზე იყო საუბარი - ამას წამყვანი არ ჩასძიებია.

ზოგჯერ მაჟორიტარ კანდიდატებს უსვამდნენ კითხვებს იმ საკითხების შესახებ, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას განეკუთვნებოდა. მაგალითად, იმავე 9 სექტემბერს კანდიდატებს მოუხდათ საუბარი სოფლებში გზის, წყალგაყვანილობის, კულტურის სახლის, ბიბლიოთეკის და საბავშვო ბაღის პრობლემებზე.

რუსთავი 2

ტელეკომპანიაზე “რუსთავი 2” ხორციელდებოდა გადაცემა „არჩევანის“ მონიტორინგი. 29 აგვისტოდან გადაცემა ფორმატი შეიცვალა და დრო საარჩევნო სუბიექტებს დაუთმო. ცვლილება სახელშიც აისახა და გახდა „არჩევანი 2016“. შეიცვალა გადაცემის პერიოდულობაც, ის ეთერში, ჯერ კვირაში ორჯერ, კენჭისყრის კვირაში კი ყოველდღე გადიოდა. “რუსთავი 2”-ზე ასევე დაკვირვების ქვეშ იყო “მაბათის კურიერის” ის ნაწილი, სადაც წამყვანი სტუმრებთან ერთად განიხილავდა საარჩევნო თემებს.

არჩევანი 2016

გადაცემაში მონაწილეობდნენ კვალიფიციური სუბიექტები. როდესაც მოწვეული სტუმარი უარს აცხადებდა მონაწილეობაზე, წამყვანი ამ ინფორმაციას აწვდიდა აუდიტორიას. საარჩევნო ფორმატში გადასვლამდე, აღნიშნული გადაცემის თემა ყოველთვის აქტუალური იყო, წამყვანი სვამდა რელევანტურ კითხვებს, უწევდა ოპონირებას სტუმრებს და მათ საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალებას აძლევდა. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც რესპონდენტს დიდი დრო დაეთმო ხელისუფლების მიმართ ბრალდებების გამოსათქმელად ისე რომ არც სტუდიაში იმყოფებოდა ვინმე საპასუხოდ არც წამყვანს მოუთხოვია მტკიცებულებები და არ წარმოუჩინია კონტრარგუმენტები და ხელისუფლების პოზიციები, რაც სხვადასხვა მედიასაშუალებებით იყო გავრცელებული. მაგალითად, 5 ივლისს, როდესაც სტუმრები, თბილისის საკრებულოს წევრი, ალექსანდრე ელისაშვილი და „შესყიდვების მონიტორინგის და სწავლების ცენტრის“ დირექტორი გიორგი ბაჯელიძე კონკრეტულ პირებს „ხალხის ფულის მოპარვაში“ სდებდნენ ბრალს, წამყვანს ბრალდების დასაბუთება არ მოუთხოვია.

საარჩევნო ფორმატის „არჩევანში“ კი ჯერ მიმდინარეობდა პარტიის პროგრამის პრეზენტაცია, შემდეგ „რუსთავი 2-ის“ ჟურნალისტები კითხვებს უსვამდნენ პოლიტიკოსებს.

საინტერესო და წინასაარჩევნოდ საჭირო დისკუსიები იმართებოდა რეგიონულ პრობლემებზე მაჟორიტარ კანდიდატებთან. თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც სტუდიაში მოწვეულ სტუმრებს უმთავრესად თვითმმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებულ კითხვებს უსვამდნენ. მაგალითად, 12 სექტემბერს წამყვანი მოწვეული პოლიტიკოსისგან შეეცადა გაეგო, თუ რატომ მოეხსნა ერთ კონკრეტულ პირს სოციალური დახმარება.

პოლიტიკური პარტიების ლიდერების თემატურ დისკუსიას ეთმობოდა გადაცემის ერთი ბლოკი. ეს ნაწილი იყო ყველაზე საინტერესო. მაყურებელი იღებდა მნიშვნელოვან ინფორმაციას განხილულ სფეროში არსებული გამოწვევების შესახებ და საშუალება ჰქონდა შეედარებინა ერთმანეთისთვის პარტიების პოზიციები და პრობლემების გადაწყვეტის გზები.

გადაცემის ბლოკში, სადაც ჟურნალისტები უსვამდნენ კითხვებს პარტიის წარმომადგენლებს, კრიტიკულ კითხვებს უნდა წარმოეჩინათ მათი განვლილი გზა, დაშვებული შეცდომები, რეალური სახე, რაც მოქალაქეებს დაეხმარებოდა ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში. შეიძლება ითქვას, ამ ამოცანას ჟურნალისტებმა

სუსტად გაართვეს თავი, ვინაიდან მათ მიერ დასმულ კითხვებს აკლდა არგუმენტაცია, ფაქტებით გამყარება. ნაცვლად ამისა, ჟურნალისტები ცდილობდნენ რესპონდენტების “გამოტეხვას” დაჟინებული კითხვებით.

მაგალითად, 5 ოქტომბერს „ქართულ ოცნების“ წარმომადგენლებს ჟურნალისტმა ნათია ტრაპაიძემ კითხვა ისეთი ფორმულირებით დაუსვა, რომ ფაქტად წარმოაჩინა, რომ ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით აკავებენ - “რატომ არ აღიარებთ, რომ გყავთ პოლიტიკური ნიშნით დაკავებული ადამიანები?” ამის დასადასტურებლად იქვე აღნიშნა, რომ “როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ინსტიტუტები საკუთარ ანგარიშებში ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ზოგიერთი პატიმრის საქმეში იკვეთება პოლიტიკური ინტერესი.”

მას შემდეგ, რაც კახა კალაძემ კითხვის დაკონკრეტება მოითხოვა, ჟურნალისტმა მაგალითად დაასახელა გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი და ბაჩო ახალია, რასაც "ქართული ოცნების" მხრიდან მკვეთრი რეაქცია მოჰყვა იმის დასამტკიცებლად, რომ ბაჩო ახალიას მიმართ პოლიტიკურად მოტივირებული ქმედება არ ყოფილა. ასეთ დროს უმჯობესი იყო ჟურნალისტს საკუთარი კითხვა გაემყარებინა ანგარიშებიდან ამონარიდებით, სხვა არსებული მტკიცებულებებით და ნაკლები საშუალება დაეტოვებინა რესპონდენტის კრიტიკისთვის.

5 ოქტომბრის გადაცემა გამოირჩეოდა იმითაც, რომ რესპონდენტებმა და ჟურნალისტებმა ერთმანეთის მიმართ შეურაცხმყოფელი გამონათქვამები გამოიყენეს. გადაცემა თითქმის 4 საათს გაგრძელდა, მაგრამ ასეთი ხანგრძლივი დისკუსია ისე დასრულდა, რომ ამომრჩეველმა ახალი და დამატებითი თითქმის ვერ გაიგო.

შაბათის კურიერი

გადაცემა მიმდინარე აქტუალურ თემებზე სასაუბროდ პირდაპირ ეთერში იწვევდა სტუმრებს, ძირითადად კვალიფიციურ სუბიექტებს. წამყვანი ჟურნალისტი უმეტეს შემთხვევაში იყო მომზადებული – სტუმრებს ახსენებდა წარსულ დაპირებებს, მოჰყავდა ციტატები მათი გამოსვლებიდან. გადაცემა აქტიური და დინამიკური იყო. როცა რესპონდენტები სხვა კანდიდატების შეურაცხყოფას იწყებდნენ და სხვა საკითხებზე გადადიოდნენ, წამყვანი ცდილობდა მათ სადისკუსიო თემასთან დაბრუნებას, რესპონდენტებს კითხვებისგან თავის არიდების საშუალებას არ აძლევდა, თუმცა იყო გამონაკლისი შემთხვევებიც.

აღსანიშნავია ისიც, რომ 15 ოქტომბერს, როდესაც საზოგადოების ცალკეული ჯგუფები ერთი პარტიის მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების საფრთხეებზე შეშფოთებას გამოთქვამდნენ, ელენე ხომტარია (ნაციონალური მოძრაობიდან) იყო ერთადერთი საარჩევნო სუბიექტი, რომელიც ეთერში ჩართეს და მისცეს საშუალება მიემართა ამომრჩევლისთვის, რაც შესაძლოა განხილული იყოს, როგორც არასამართლიანი მოპყრობა სხვა სუბიექტების მიმართ.

იმედი

ტელეკომპანია "იმედის" ეთერში მონიტორები ჯერ აკვირდებოდნენ ორ გადაცემას – ტოქშოუ „პოლიტიკა“ და „ქრონიკის სტუდია“, აგვისტოს დასაწყისში ისინი დაიხურა, დაიწყო ახალი გადაცემა „ღია ეთერი“, რომელიც ასევე მოხვდა მონიტორინგში.

პოლიტიკა

მონიტორინგის პერიოდში პოლიტიკური პარტიის წევრებთან საარჩევნო პროგრამა არ განუხილავთ. გადაცემაში მონაწილე რამდენიმე სტუმარს რიგრიგობით რთავდნენ ეთერში და ძირითადად მიმდინარე ამბებს, ან სხვათა განცხადებებს აფასებდნენ. ერთ სტუმართან შეიძლება რამდენიმე მიმდინარე თემა ყოფილიყო

განხილული. საბოლოოდ ძნელი იყო გადაცემის ფოკუსის გარკვევა. შესაბამისად, კითხვებიც და პასუხებიც იყო ძალიან ზედაპირული.

მაგალითად, 29 ივლისს წამყვანმა ცალკე-ცალკე ისაუბრა 8 ერთმანეთისგან განსხვავებული სფეროს წარმომადგენელთან სხვადასხვა თემაზე. დასმული კითხვებიც ზოგადი ხასიათის იყო. გადაცემაში პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის სტუმრობისას, საკანონმდებლო ორგანოს ახალი დასრულებული ჰქონდა ოთხწლიანი მუშაობა. მიუხედავად ამისა, არ დასმულა არცერთი შეკითხვა პარლამენტის საქმიანობის შესახებ, არც კანონშემოქმედებაზე, არც პარლამენტართა გაცდენებზე, არც პრემიებზე, არც მიღწევებზე, არც პოლიტიკური დანაპირების შესრულებაზე, არც ახალ პროგრამასა და დაპირებებზე, არც თუნდაც იმაზე, როგორ დაიცვა რესპონდენტმა საბურთალოს მცხოვრებთა ინტერესები (უსუფაშვილი საბურთალოს მაჟორიტარი კანდიდატი იყო). ნაცვლად ამისა, წამყვანი დაინტერესდა, თუ რატომ იყო უსუფაშვილის განცხადებები ბუნდოვანი, ენდობოდა თუ არა კვლევებს, რაზე ესაუბრა პრემიერ მინისტრს და აშ.

ქრონიკის სტუდია

„ქრონიკის სტუდიას“ და „პოლიტიკას“ თითქმის იდენტური ფორმატი ჰქონდათ, ამასთან ორივე ტოქშოუში ხშირად ერთი და იგივე თემა განიხილებოდა. „ქრონიკის სტუდიასაც“ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები სტუმრობდნენ. მათ სათანადო დრო ეძლეოდათ კითხვებზე პასუხების გასაცემად, მაგრამ ისინი ერთმანეთის პირისპირ არ ისხდნენ და დებატები არ იმართებოდა. სტუმრებს წამყვანის კითხვებზე პასუხის გაცემა ცალ-ცალკე უხდებოდათ.

როგორც „ქრონიკის სტუდიაში“, ისე „პოლიტიკაში“ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს უხდებოდათ პასუხის გაცემა კითხვებზე მიმდინარე მოვლენების შესახებ, რომლებიც ხშირად მათ კომპეტენციას არ განეკუთვნებოდა. წამყვანს არ დაუსვამს საარჩევნო პროგრამასთან დაკავშირებული კითხვები.

იყო შემთხვევა, როდესაც ეთერში მოჰყავდათ შეუსაბამო სტუმრები, რომლებსაც მიმდინარე საკითხების შესახებ მცირე ინფორმაცია ჰქონდათ. მაგალითად, 30 ივლისის გადაცემაში უმრავლესობის წევრთან გედევან ფოფხაძესთან საუბარი შეეხებოდა სტრასბურგის სასამართლოში ნანა მჭედლიძის ევა გოცირიძით ჩანაცვლების საკითხს, რაც მთავრობის გადაწყვეტილება იყო. დაახლოებით ათწუთიან ინტერვიუში გედევან ფოფხაძემ სამ კითხვაზე პასუხი დაიწყო სიტყვებით „არ ვიცი“ და მაინც ეთერში 10 წუთის განმავლობაში იძულებული იყო გაეცა პასუხი კითხვებზე, რაც არ იცოდა.

ღია ეთერი

„ღია ეთერის“ სამი გადაცემა მიემდგვნა კონკრეტული საარჩევნო ოლქების (მთაწმინდა, ისანი, გორი) მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს შორის გამართულ დებატებს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ჟურნალისტი იყო მოუმზადებელი, შეკითხვები იყო ძალიან ზოგადი, ისინი არ ემსახურებოდა კანდიდატების ან მათი პროგრამების უკეთ გაცნობას, არ ყოფილა მათ შორის თემატური დებატები. შესაბამისად, მაყურებელმა ვერ მიიღო პრობლემატურ საკითხებზე კანდიდატების ხედვები, ვერ გაეცნო მათ პროგრამებს და ვერ შეაფასა მათი რეალურობა.

რამდენიმე გადაცემაში ჟურნალისტმა შემოგვთავაზა ინტერვიუები პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან (კახა კალაძე, ნინო ბურჯანაძე, პაატა ბურჭულაძე), თუმცა ამ შემთხვევაშიც რესპონდენტებს მიეცათ იმის შესაძლებლობა, რომ დაუბრკოლებლად გაეგრეცელებინათ მხოლოდ მათთვის სასურველი ინფორმაცია, ვინაიდან ჟურნალისტის მხრიდან არ დასმულა დამაზუსტებელი კითხვები, არ მომხდარა დოკუმენტებით გამყარებული ფაქტების ჩვენება და ა.შ. საარჩევნო პროგრამებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხზე კანდიდატის ხედვის ჩვენების ნაცვლად, წამყვანი

ხშირად სვამდა კითხვებს, რომლებიც ერთგვარ პროგნოზს მოითხოვდა რესპონდენტისგან – რა შანსები გაქვთ? რამდენ მანდატს მოიპოვებთ? თუ დამარცხდით რას იზამთ? რატომ ვერ გაიმარჯვეთ პირველივე ტურში?

გადაცემაში არაერთი დისკუსია მიემდგნა “მოსალოდნელ დესტაბილიზაციას”. 30 სექტემბერს როგორც სტუდიაში მყოფი რესპონდენტები, ასევე ინტერაქტივი მიუთითებდნენ, რომ ასეთი საფრთხე არ არსებობდა, თუმცა, წამყვანი მთელი 1,5 საათი მაინც ამ თემას განიხილავდა.

აღსანიშნავია, რომ ამავე ეთერში თამარ ჩუგოშვილს, “ქართული ოცნების” წევრს, წამყვანმა ჰკითხა „შთაბეჭდილება რჩება, რომ რევოლუციურ სცენარსა და დესტაბილიზაციაზე მუდმივი აპელირებით სახელისუფლებო პარტიამ წინასაარჩევნო დებატებიდან თითქმის განდევნა საგნობრივი დისკუსია და დებატები“ - ეს მაშინ, როდესაც ამას თავადაც შეუწყო ხელი და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს შორის დებატების ნაცვლად არაერთი საათი “მოსალოდნელ დესტაბილიზაციას” და “რევოლუციურ სცენარს” დაუთმო.

ტოქშოლში მეორდებოდა ახალ ამბებში გასული ინფორმაცია ისე, რომ აუდიტორია დამატებითს ვერაფერს ისმენდა.

GDS

ტელეკომპანია „GDS“-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემა “2030“-ის იმ ნაწილს, სადაც სტუმრებთან ერთად ტოქშოლს ფორმატში განიხილავენ სხვადასხვა თემას. აგრეთვე გადაცემას „59 წამი“, რომელიც ყოველ კვირას 21:00 საათზე გადიოდა ეთერში.

2030

გადაცემის მონიტორინგისას გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა, მათ შორის კრიტიკული კითხვების ნაკლებობა, განსაკუთრებით ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ, ასევე მოწვეული სტუმრების და მათ მიმართ დასმული კითხვების არარელევანტურობა. სტუმართა დიდი ნაწილი „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი იყო. გადაცემაში მონაწილეობა არ მიუღიათ მთავარი ოპოზიციური პარტიის, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს, მონიტორინგის მეორე პერიოდში წამყვანი აღნიშნავდა, რომ მათი ეთერში არ ყოფნის მიზეზი ბოიკოტი იყო.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს საშუალება ეძლეოდათ ფაქტობრივად მონოლოგის რეჟიმში ესაუბრათ და საუბარი წაეყვანათ სასურველი კუთხით. სხვა სტუმრებისგან განსხვავებული იყო „2030“-ის წამყვანის საუბარი „რესპუბლიკური პარტიის“ მაჟორიტარობის კანდიდატთან თამარ კორძაიასთან (16.09) და „ეროვნული ფორუმის“ ლიდერთან გუბაზ საინიკიძესთან,(19.09), რომელთაც ფაქტობრივად არ ასრულებინებდა მოსაზრებებს, აძლევდა დამატებით შეკითხვებს.

სექტემბრის თვეში, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა რეგიონებში დაიწყო ჟურნალისტებთან შეხვედრა და პრესკონფერენციების მოწეობა, გადაცემა ბიძინა ივანიშვილის განცხადებების განხილვას ეთმობოდა. ამავე პერიოდში წამყვანი აქტიურად განიხილავდა „მოსალოდნელი დესტაბილიზაციის“ თემასაც, რომელიც, გაურკვეველი დარჩა, თუ ექვების გარდა რას ეფუძნებოდა. იგი ასევე კითხვებით ცდილობდა თბილისში მომხდარი მკვლელობები ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებინა, მაგალითად 8 სექტემბერს კახი კალაძეს ჰკითხა:

“ბოლო დღეების განმავლობაში გახშირდა კრიმინალური შემთხვევები ვგულისხმობ ორ მკვლელობას, ერთი დაჭრა. საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში კრიმინალის მაჩვენებელი გაიზარდა, მეორე ნაწილი კი მომხდარს მართულ პროცესს უწოდებს, რამდენად შეიძლება ეს პროცესი იყოს მართული, თქვენ როგორ ფიქრობთ?”

“2030“-ის სტუმრების ბლოკში ხშირად ისმოდა არაფრის მომცემი კითხვები, მაგალითად 11 ივლისს გაია ვოლსკისთან ინტერვიუ წამყვანმა დაიწყო კითხვით თუ რატომ დაიწყო „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარების

წარდგენა მიანცდამინც იმერეთიდან? სტუმარმა მიუთითა, რომ ამ კითხვის დასმა ნებისმიერი სხვა რეგიონის შერჩევის შემთხვევაშიც შეიძლებოდა.

„ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ რესპონდენტების მიერ გამოთქმულ ბრალდებებს წამყვანი ფაქტად იღებდა და არ სთხოვდა დასაბუთებას, მაგალითად 21 ოქტომბერს მოწვეულმა სტუმარმა ალექსანდრე ახალკაცმა განაცხადა რომ სანდრა რულოვს ციხეში შეჰქონდა წამლები, რომელსაც “პატიმრებს ასმევდნენ, ანგრევდნენ ფსიქიკურად და ყელს იჭრიდნენ, თავებს იჩეხავდნენ”. მისივე თქმით, სასჯელაღსრულების ყოფილმა მინისტრმა, ხათუნა კალმახელიძემ მისი წამება დაუკვეთა. ჟურნალისტმა, ნაცვლად იმისა, რომ მტკიცებულებები მოეთხოვა ამ მძიმე ბრალდების დასაბუთებლად, ჰკითხა: - “რატომ? მიზეზი რა იყო?”

წამყვანმა ერთერთი კითხვის დასმისას მოიშველია გოგა ხანდრავას ფილმი „ჰეროკრატია“ და თქვა, რომ ახალკაცის ისტორიაზე დაფუძნებული ის ეპიზოდი, სადაც პატიმრებს გვამებზე აბამენ. შემდეგ კი იკითხა: „რა იყო მიზეზი ანუ, რას ამბობდნენ რისთვის შეყავდით მორგში? რატომ ხდებოდა ისე, რომ ამ პატიმრებს შემდეგ აბამდნენ გვამებზე?“

ამგვარად დასმული შეკითხვებით, ჟურნალისტს რესპონდენტის ნათქვამში ეჭვი არ შეუტანია, მიუხედავად იმისა, რომ ეთერში არანაირი მტკიცებულება წარმოდგენილი არ ყოფილა.

59 წამი

გადაცემა მკაცრად სტრუქტურირებული იყო, პარტიების წარმომადგენლები და მაჟორიტარი კანდიდატები სხვადასხვა თემაზე იყვნენ მიწვეული. წამყვანი რიგრიგობით უსვამდა შეკითხვას, რისთვისაც რესპონდენტებს 59 წამი ჰქონდათ გამოყოფილი, რაც თანაბარ პირობებში ამყოფებდა კანდიდატებს. გადაცემაში ბოიკოტის გამო არ მონაწილეობდა “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”.

ფორმატიდან გამომდინარე, სტუმრები ფაქტობრივად ვერ შედიოდნენ დიალოგში, ვერ ვხედავდით დებატებს, კამათის, ოპონირების ცოცხალ პროცესს. წამყვანის კითხვებიც წინასწარ განსაზღვრული იყო და არ გამომდინარეობდა პასუხებიდან. მაგალითად, 18 სექტემბერს ერთერთმა სტუმარმა, გიორგი მჭედლიძემ („პატრიოტთა ალიანსი“) განაცხადა, რომ რეგიონში უსაფრთხოების დასაცავად ყველა ზომა უნდა გამოიყენონ, თუმცა წამყვანი მას არ ჩაეკითხა კონკრეტულად რა ზომების მიღება მიაჩნდა გამოსავლად. ერთი წუთის განმავლობაში სტუმარი მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ გარკვეული ზომების მიღება აუცილებელია. მან ასევე უპასუხოდ დატოვა კითხვა თუ როგორ მოაგვარებს წყალთან დაკავშირებულ პრობლემებს. რესპონდენტმა უბრალოდ დაადასტურა და თქვა, რომ “პრობლემა უფრო მეტია ვიდრე წყალი”, წამყვანს დამაზუსტებელი კითხვა არ ჰქონია. მხოლოდ წინასწარ მომზადებულ კითხვებზე პასუხი, დაკონკრეტების გარეშე, ვერ დაეხმარებოდა მაყურებელს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში.

მაესტრო

ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ ტოქშოუებს „მაესტროს ფაქტორი“ და „დამის კონტაქტი“. მათი ეთერში გასვლის პერიოდულობა მონიტორინგის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა, ბოლოს კი დაიხურა.

მაესტროს ფაქტორი

„მაესტროს ფაქტორი“ არ იყო ფოკუსირებული ერთ კონკრეტულ თემაზე და ზედაპირულ მსჯელობას სთავაზობდა აუდიტორიას სხვადასხვა საკითხზე. ხშირ შემთხვევაში წამყვანი რამდენიმე თემის შესახებ ყველა სტუმარს უსვამდა ერთნაირ კითხვას (მაგ. როგორია თქვენი პოზიცია?).

სამონიტორინგო პერიოდში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები გაცილებით ხშირად სტუმრობდნენ გადაცემას, მაგალითად, 1 ივლისიდან 30 აგვისტომდე პერიოდში, „მაესტროს ფაქტორს“ 25 წარმომადგენელი სტუმრობდა მაშინ, როდესაც სხვა პარტიას ათზე მეტჯერ არ მიუღია მონაწილეობა.

წამყვანი "ქართული ოცნების" მიმართ ავლენდა მიკერძოებას, უთმობდა ფაქტობრივად ტრიბუნას სასაუბროდ. არ იყო კრიტიკული მთავრობის მიმართაც. ხშირად სვამდა საკმაოდ არალოგიკურ და ზედაპირულ კითხვებს, ზოგჯერ კი ავლენდა საკითხის არცოდნას. 5 ივლისის გადაცემაში წამყვანმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს, ნოდარ ჯავახიშვილს ჰკითხა: „საინტერესოა გზების დაგება?“ „გაქვთ სურვილი, რომ არჩევნების შემდეგ გააგრძელოთ ეს საქმიანობა?“ მან ასევე იკითხა „ეს მითია, რომ სააკაშვილის პერიოდში რომ გზები, გზები... არის საზოგადოებაში აზრი, რომ იმ დროს იგებოდა გზები“. რესპონდენტიც დაეთანხმა და ილაპარაკა იმაზე თუ როგორ ამბობდა სააკაშვილი, რომ მთიან აჭარაში საუკეთესო თოვლია. გარდა იმისა, რომ კითხვის ფორმულირებაშივე ჩანდა მიკერძოება, წამყვანს რესპონდენტისთვის დასაბუთება არ მოუთხოვია. გაუგებარი დარჩა რატომ არის მითი გზების დაგების შესახებ და რა კავშირშია ის თოვლის შესახებ განცხადებასთან. ამასთან არაფერი უკითხავს გასაიდუმლოებულ ტენდერებთან დაკავშირებით, რაც დაანონსებული იყო.

9 სექტემბერის გადაცემა, წამყვანის თქმით, პროგრამულ დებატებს უნდა დათმობოდა, მაგრამ ეკონომიკურ ხედვებზე გადაცემის პირველ და მეორე ბლოკში ისაუბრეს, მესამე ბლოკი კი მთლიანად „ქართული ოცნების“ ახალ კლიპს დაეთმო. ამ პარტიის სამი წარმომადგენელი (ე.წ. "ახალი სახეები") სტუდიაში ამ რგოლს აფასებდა. მათი წარდგენისას წამყვანმა თქვა რომ “პოლიტიკისთვის ეს [სტუმრები] არის მნიშვნელოვანი შენაძენი”. წამყვანს არ დაუმალავს თავისი დადებითი დამოკიდებულება ვიდეო რგოლთან დაკავშირებითაც.

გადაცემაში იგრძნობოდა უარყოფითი დამოკიდებულება „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. აბსოლუტურად დაუბალანსებელი იყო 15 ივლისის გადაცემა, რომელიც ბიზნესმენებისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობის დროს ქონების წართმევას შეეხებოდა, ეთერში ისხდნენ მხოლოდ ის ბიზნესმენები, რომლებიც დაზარალებულად აცხადებდნენ თავს და არ ჩანდნენ იმ პირთა წარმომადგენლები, ვისაც ბიზნესმენებზე ზეწოლა და ქონების წართმევა ბრალდებოდა. მათი პოზიცია არც ყურნალისტების მიერ იყო წარმოდგენილი და ამასთანავე არ ჩანდა წამყვანების მცდელობა მოეპოვებინათ მეორე მხარის კომენტარები.

გადაცემა ხშირად უთმობდა ტრიბუნას პრორუსული ორიენტაციის მქონე პოლიტიკოსებს, ისმოდა ანტიდასავლური განცხადებები და სკეპტიციზმი ნატოსადმი მათ შორის წამყვანის მხრიდანაც. 16 სექტემბერს პარტიების საგარეო კურსთან დაკავშირებით ხედვებზე საუბრისას წამყვანი ავითარებდა მოსაზრებას, რომ „ნატოში ვერ გავწევრიანდებით თუ არ აღდგა ტერიტორიული მთლიანობა“ სტუმრები კი ცდილობენ დაერწმუნებინათ წამყვანი, რომ რასაც ის ამბობს, მცდარია და ეს არის რუსული პროპაგანდისტული გზავნილები.

ღამის კონტაქტი

„ღამის კონტაქტის“ სტუმრებს შორისაც „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები სჭარბობდნენ. მაგალითად 15 სექტემბერი - 2 ნოემბრის პერიოდში ამ პარტიის 16 წარმომადგენელი სტუმრობდა გადაცემას, სხვა პარტიებიდან კი 9-ზე მეტი სტუმარი არ ყოფილა ეთერში.

გადაცემის ერთი ბლოკი მიეძღვნა მაჟორიტარ კანდიდატებს, თუმცა გაუგებარი დარჩა რა კრიტერიუმებით შეარჩიეს როგორც ოლქები – გლდანის (6.09), ფოთის (5.09), ზესტაფონის (20.09) და პარტიები, რომელთა კანდიდატებიც სტუდიაში მიიწვიეს სასაუბროდ.

მაჟორიტარებთან სასაუბრო თემა არ იყო ფოკუსირებული და განიხილებოდა ზოგადი პრობლემები. ფაქტობრივად, გადაცემა იყო თავისუფალი ტრიბუნა პოლიტიკოსებისთვის, სადაც მათ ხედვების პრეზენტაცია შეეძლოთ. “რას ეტყოდით ამომრჩეველს“, „ რა გაქვთ სათქმელი“, „რას უპასუხებდით ოპონენტს?“ - ძირითადად ასეთი კითხვები ისმოდა.

პარტიების საარჩევნო ხედვების განხილვისას წამყვანი პასიური იყო, ფაქტობრივად, არ სვამდა კითხვებს და სტუმარს ოპონენტების ბრალდებებზე პასუხის გაცემის საშუალებას არ აძლევდა. რამდენიმე რესპონდენტს დაუსვა იდენტური კითხვა თუ რა იქნებოდა მათთვის „მაქსიმუმი ამ არჩევნებზე“

წამყვანს გაუჭირდა დებატების მართვაც, მაგალითად, ვერ მართა ცეზარ ჩოჩელის და დიმიტრი ხუნდაძის (26.08), აგრეთვე, ოთარ აბესაძის და გია ჯაფარიძის (30.08) დებატები, სადაც წამყვანი იყო ძალიან პასიური და კითხვებს ძირითადად სტუმრები უსვამდნენ ერთმანეთს.

იმის მიუხედავად, რომ ხშირად ერთი და იგივე რესპონდენტები იდენტურ განცხადებებს აკეთებენ ყოველ გადაცემაში, ჟურნალისტების მხრიდან ჩანდა ნაკლები ოპონირება და ინფორმირებულობა. მაგალითად, ნინო ბურჯანაძე ყველა გადაცემაში სტუმრობისას იმეორებდა, რომ არჩევნები გაყალბდა, რომ მან დაწერა უამრავი საჩივარი, რითაც ითხოვდა უზნების გაუქმებას და არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა. წამყვანებს გადაცემის მომზადებამდე შეეძლოთ ენახათ ეს საჩივრები თავად ცესკოს ვებგვერდზე და ეჩვენებინათ მაყურებლისთვის, თუ რას ეყრდნობოდა პარტიის არგუმენტაცია, რამდენად იყო უზნების გადათვლისთვის რეალური საფუძვლები და ამგვარად არ მიეცათ რესპონდენტისთვის მხოლოდ მისთვის სასურველი ინფორმაციის ტირაჟირების შესაძლებლობა.

პირველი

ტელეკომპანია “პირველის” ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემას „რვიანი“, რომელიც ყოველ სამუშაო დღეს ეთერში 20:00 საათზე გადიოდა.

რვიანი

„რვიანში“ წარმოდგენილი იყო პოლიტიკურ პარტიათა მრავალფეროვნება. მომზადდა გადაცემები, რომელიც ერთ კონკრეტულ მიმართულებაზე პარტიათა ხედვებს წარმოაჩენდა. წამყვანის მიერ დასმულ კითხვებში არ გამოვლენილა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ სუბიექტური დამოკიდებულება.

პარტიათა წარმომადგენლებს შორის დისკუსია და დებატები ნაკლებად იმართებოდა და ძირითადად ცალცალკე სტუმრობდნენ გადაცემას. იმ შემთხვევაში, როდესაც რამდენიმე რესპონდენტი ერთდროულად იჯდა სტუდიაში, იყო შემთხვევები, როცა დებატები პოლიტიკური კრიტიკის საზღვრებს სცდებოდა და გადადიოდა პირად შეურაცხყოფაში, ასეთ დროს ყველა რესპონდენტი ერთდროულად ყვიროდა და მაყურებელს ფაქტობრივად არაფერი ესმოდა. წამყვანი კი, მცდელობის მიუხედავად, ვერ ახერხებდა პროცესის მართვას. 4 აგვისტოს სტუდიაში ვითარება უმართავი გახდა და სტუმრებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ერთმანეთს.

ზოგჯერ წამყვანი მცდარი ინფორმაციის გავრცელების საშუალებას ძლევდა რესპონდენტებს - „პატრიოტთა ალიანსის“ წევრი ირმა ინაშვილი (11.07), აგრეთვე „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრი ნინო ბურჯანაძე (12.08) მკვეთრად ანტიდასავლურ მოსაზრებებს ავრცელებდნენ, რაზეც ჟურნალისტს არ ჰქონია სათანადო რეაგირება, მაგალითად, არ დაუპირისპირა ის არგუმენტები, რომ სწორედ დასავლეთთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგია დემოკრატიული პრინციპების დანერგვა საქართველოში. ფაქტობრივად, ჟურნალისტი არც ერთ საკითხზე არ ჩაკითხვია და მხოლოდ ზედაპირული შეფასებებით შემოიფარგლა.

გადაცემაში ისმოდა ქსენოფობიური და ჰომოფობიური გამონათქვამებიც. 31 აგვისტოს რესპონდენტმა გურამ ფალავანდიშვილმა ("დემოკრატიული მოძრაობა") არაერთი ამგვარი გამონათქვამი გამოიყენა, რაზეც წამყვანმა არ მიუთითა შესაბამისად. იმის ნაცვლად, რომ ჟურნალისტს დაესვა კონტრშეკითხვა, თუ რა არგუმენტებს ფლობდა რესპონდენტი, როცა საუბრობდა მაგალითად ამერიკის მხრიდან საქართველოს „გარყვანაზე“ და გამოეპარა რეალობა, რაც არ შეესაბამებოდა რესპონდენტის მონათხრობს, ჟურნალისტმა ასეთი შეკითხვით მიმართა მეორე სტუმარს, იაგო ხვიჩიას (გირჩი): "რა იქნება თქვენი საპირწონე არგუმენტები ამ

შემთხვევაში ცუდსა და უარეს მტერს შორის, ასეთი განსაზღვრება შემოგვთავაზა ბატონმა გურამმა, ავირჩიოთ უფრო უკეთესი მტერი". შევითხვის ასეთი ფორმულირებით ჟურნალისტი "მტრის" იარლიყს აკრავს საქართველოს მეგობარ ქვეყანას, აშშ-ს. "ბოდიშს ვუხდით აუდიტორიას, თუკი ამ ეთერში გაჟღერდა რაიმე ქსენოფობიური ან ჰომოფობიური" - ამ განცხადებით დაასრულა ჟურნალისტმა გადაცემა, რაც არ ნიშნავს ჟურნალისტის მხრიდან მსგავსი განცხადებებისაგან გამოქვანას, ვინაიდან მან სათუოდ გახადა ის, რომ ნამდვილად ჰქონდა ასეთ განცხადებებს ადგილი ერთ-ერთი მოწვეული სტუმრის მხრიდან.

იყო შემთხვევა, როდესაც გაუგებარი დარჩა, თუ მოწვეული სტუმრები რა კავშირში იყვნენ თემასთან. მაგალითად 6 სექტემბერს გადაცემის პირველი ნაწილი მიეძღვნა და ირაკლი ოქრუაშვილისა და ქიბარ ხალვაშს შორის დადებულ გარიგებას, რაც „რუსთავი 2“-ის მფლობელობას ეხებოდა. ამ თემაზე სასაუბროდ მოწვეულნი იყვნენ მანანა ნაჭყებია (ახალი მემარჯვენეები), სევდია უგრეხელიძე (ენმ), ნანა კაკაბაძე (ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის), ნიკოლოზ მჟავანაძე (უფლებადამცველთა გაერთიანება). მათი კავშირი სადისკუსიო თემასთან ბუნდოვანი დარჩა.

კავკასია

“კავკასიის” ეთერში მონიტორიები აკვირდებოდნენ ტოქშოუს „ბარიერი“, (რომელიც კვირაში ოთხჯერ, 21:15 საათზე გადიოდა.)

ბარიერი

გადაცემაში ისმოდა მოსაზრებების მრავალფეროვნება, წარმოდგენილნი იყვნენ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები. რომელიმე სტუმარის ეთერში არ მისვლის შესახებ წამყვანი ამცნობდა აუდიტორიას. წამყვანები იყვნენ მიუკერძოებლები, მაგრამ სტუმრებს მწვავე და კრიტიკული კითხვების ნაცვლად უსვამდნენ ისეთ კითხვებს, როგორცაა: - რა პრობლემები აწუხებს ადგილობრივ მოსახლეობას? რას გააკეთებთ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში? როგორ შეაფასებთ საარჩევნო გარემოს?

წამყვანები ძალიან იშვიათად იყენებდნენ ციტატებს პოლიტიკოსთა გამოსვლებიდან. არ იყვნენ სათანადოდ მომზადებულები. არ იცნობდნენ სუბიექტების საარჩევნო პროგრამებს. ხშირად სადისკუსიო საკითხებზე შეუსაბამო სტუმრები საუბრობდნენ – საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები და არა ის პირები, რომლებსაც შერჩეულ თემაზე კომპეტენტურად შეეძლოთ საუბარი.

25 ივლისს გადაცემაში გამოიყენეს სიმულვილის ენა. სტუმარმა გურამ ფალავანდიშვილმა LGBT თემს მიაყენა შეურაცხყოფა. წამყვანმა ის შეაჩერა და კორექტულობისაკენ მოუწოდა, თუმცა არ აღუნიშნავს, რომ სტუმარი სიმულვილის ენას იყენებდა. საბოლოოდ გადაცემაში სტუმრებს შორის შეხლა-შემოხლა მოხდა. ერთმანეთს მიაყენეს შეურაცხყოფა. ჟურნალისტმა კი ვერ მოახერხა დისკუსიის სათანადოდ მართვა.

„ბარიერში“ რამდენჯერმე მოეწყო დებატები ერთ საარჩევნო ოლქში წარდგენილ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს შორის. მაგ. გლდანის მე-20 (22.09) ნაძალადევის მე-19 (20.09), ისნის მე-9 (14.09) და ისნის მე-10 საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები მოიწვიეს. რა ნიშნით შეარჩიეს ის საარჩევნო ოლქები, საიდანაც დეპუტატობის კანდიდატები მოიწვიეს, გაურკვეველი დარჩა. წამყვანებს ამის შესახებ განცხადება არ გაუკეთებიათ.

გადაცემაში ძირითადად სტუმრები დომინირებდნენ და წამყვანის ნაცვლად ისინი წარმართავდნენ საუბარს.

ტაბულა

ტელეკომპანია „ტაბულას“ ეთერში დაკვირვება მიმდინარეობდა ტოქშოუზე „თეორემა“, რომელიც ყოველ ორშაბათს და ხუთშაბათს გადიოდა ეთერში.

თეორემა

გადაცემა ცდილობდა გაენალიზებინა საარჩევნო პერიოდში მომხდარი ამბები, თუმცა ნაკლებად კეთდებოდა აქცენტი უშუალოდ საარჩევნო პროგრამებზე. წამყვანები ძირითადად მომზადებულები იყვნენ თუმცა, აღსანიშნავია, რომ სექტემბრის თვეში იმ ბლოკში, სადაც პარტიების წარმომადგენლები კონკრეტულ თემებზე (ჯანდაცვა, ეკონომიკა) საუბრობდნენ, კამათი და დისკუსია არ გამართულა, ისინი მხოლოდ წარადგენდნენ საკუთარ ხედვებს. მაგალითად, 26 სექტემბრის გადაცემაში, სადაც ჯანდაცვაზე საუბრობდნენ, ჟურნალისტი სვამდა ზოგად კითხვებს, თუ რას გულისხმობდა ჯანდაცვის მათი პროგრამა და ოპონირებას არ უწევდა სტუმრებს. შესაბამისად, მაცურებლისთვის გაუგებარი დარჩა, რომელი პროგრამა ჯობდა ან რომელი უფრო რეალური იყო.

გადაცემაში მხოლოდ რამდენიმე პარტიის წარმომადგენელი მონაწილეობდა. წამყვანმა საზოგადოებას ამცნო, რომ „ქართულმა ოცნებამ“ „თეორემაში“ მისვლაზე უარი განაცხადა. ამ პარტიის წარმომადგენლის სტუდიაში არ ყოფნის შემთხვევაში წამყვანი არ ცდილობდა მათი პოზიციის წარმოჩენას, მით უფრო, რომ ბევრი ბრალდება ისმოდა მმართველი გუნდის მიმართ.

ობიექტივი

„ობიექტივის“ გადაცემა „ღამის სტუდია“, რომელიც დაკვირვების ქვეშ იყო, ყოველდღე 22:30 საათიდან გადიოდა ეთერში.

ღამის სტუდია

ძნელია გადაცემის თემის გამოკვეთა, იმდენად ბევრ თემაზე მიმდინარეობს საუბარი. იყო შემთხვევა, როდესაც საერთოდ არ ჰყავდათ სტუმარი, წამყვანი კითხულობდა გარკვეულ ინფორმაციას და სტუდიაში მოქალაქეთა ზარებს პასუხობდა, ან მხოლოდ თვითონ საუბრობდა. გადაცემა ფაქტობრივად სააგიტაციო ტრიბუნაა „პატრიოტთა ალიანსისთვის“, სადაც მათ დიდი ქრონომეტრაჟით ეძლეოდათ ნებისმიერ თემაზე საუბრის შესაძლებლობა. გადაცემის წამყვანები „პატრიოტთა ალიანსის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები გახდნენ, დატოვეს არხი, პირველ ტურში დამარცხების შემდეგ კი კვლავ ეთერს დაუბრუნდნენ.

„ღამის სტუდიის“ სტუმრები და წამყვანები ხშირად თანამოაზრეები იყვნენ და მათ შორის მეგობრული საუბარი იმართებოდა. გადაცემის წამყვანთა ნაწილი საკუთარ მიკერძოებას „პატრიოტთა ალიანსის“ მიმართ არც მალავდა. მაგალითად, 6 ოქტომბერს წამყვანი პირდაპირ მოუწოდებდა მაცურებელს, რომ 8 ოქტომბერს ხმა მიეცათ „პატრიოტთა ალიანსისთვის“.

წამყვანებს მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდათ „ნაციონალურ მოძრაობის“ და „რესპუბლიკური პარტიის“ მიმართ. „ნაციონალური მოძრაობას“ შემდეგი სიტყვებით მოიხსენიებდნენ: „მოსიარულე ბოროტება“, „სექტანტები“, „ქართველთყაპიები“, „ქართველთჟამიები“, „ბოროტი ძალა“, „ნაცსექტა“, „მკვლელების და მწვალებლების სექტა“, და ა.შ..

სამონიტორინგო პერიოდის დაწყებისას ძლიერი იყო ანტიდასავლური განწყობები. არჩევნების მოახლოებასთან ერთად კი გაძლიერდა ანტითურქული ნარატივი, ამასთან თუ მონიტორინგის დასაწყისში ამგვარ მოსაზრებებს თავად წამყვანები გამოთქვამდნენ, მონიტორინგის ბოლო პერიოდში უფრო მეტად რესპონდენტები საუბრობდნენ.

აჭარა

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ეთერში დაკვირვების ქვეშ იყო ორი ტოქშოუ - „პირისპირ“ და „ფაქტორი“. გადაცემა „პირისპირ“ დაიხურა მას შემდეგ, რაც მისი წამყვანი „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში მოხვდა. „ფაქტორის“ ქრონომეტრაჟი და პერიოდულობა კი ხშირად იცვლებოდა, რაც დამაბნეველი იყო მაყურებლისთვის.

ფაქტორი

არასაარჩევნო „ფაქტორის“ მთავარი პრობლემა ძირითადად იყო ის, რომ წამყვანი არ იყო კრიტიკული და მომზადებული, სვამდა ზოგად კითხვებს. მაგალითად, 29 ივლისს ტურიზმზე საუბრისას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის წარმომადგენელს, მამუკა ბერძენიშვილს აჭარაში ტურისტების შესახებ ჰკითხა - „როგორია აქტივობა? თუ გაქვთ რაიმე სტატისტიკა?“ ეს მონაცემები შემოქმედებით გუნდს შეეძლო გადაცემის მომზადებამდე მოეძიებინა და რესპონდენტთან ამ მონაცემებზე დაყრდნობით გაეგრძელებინა საუბარი.

საარჩევნო გადაცემაში კი არჩევნებში მონაწილე სუბიექტები საკუთარი პროგრამის პრეზენტაციას აკეთებდნენ. დაცული იყო პარტიათა მრავალფეროვნება და მათ საკუთარი ხედვების გასაცნობად დიდი დრო ეთმობოდათ. თუმცა, გადაცემა ფაქტობრივად ტრიბუნას აძლევდა პარტიებს, არ ისმოდა კონტრკითხვები და არ ჰქონდა ამომრჩეველს საშუალება შეეფასებინა რამდენად რეალურ დაპირებებს გასცემდნენ კანდიდატები. წამყვანი მიმართულებას აძლევდა გადაცემას, არ შედიოდა პოლემიკაში პარტიის წარმომადგენლებთან. თუმცა, აღსანიშნავია, რომ წამყვანი სტუმრებს ოპონენტების შეურაცხყოფის საშუალებას არ აძლევდა.

პირისპირ

გადაცემა "პირისპირ" მაყურებელს სხვადასხვა სტუმართან ინტერვიუს სთავაზობდა. წამყვანი მეტნაკლებად მომზადებული იყო, მაგრამ არ იყენებდა დამატებით მასალას, ვიდეოკადრებს, ციტატებს კონტრარგუმენტებისთვის. საუბარს არ ჰქონდა ფოკუსი. ხშირი იყო თემიდან თემაზე გადასვლა და შემდეგ დაბრუნება. ხშირად საუბარი იწყებოდა ყოველგვარი შესავლის გარეშე. წამყვანი აუდიტორიას არ აწვდიდა ინფორმაციას სტუმრის შესახებ. საუბრისას ძირითად აქცენტს მიმდინარე საკითხებზე აკეთებდა. მაგალითად, 24 აგვისტოს მას სტუმრად ჰყავდა "თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი ირაკლი ალასანია, თუმცა საარჩევნო ხედვებზე არ ასაუბრა. როდესაც რესპონდენტმა ბაზრის რეგულირების შესახებ საკუთარ ხედვებზე დაიწყო საუბარი, წამყვანმა შეაწყვეტინა საუბარი იმ მიზეზით, რომ გადაცემა უფრო "პოლიტიკას" ეხებოდა, რაც თურმე გულისხმობდა იმას, თუ რეიტინგებში ვის რამდენი პროცენტი ჰქონდა, ვინ ვისთან იყო ალიანსში და ვინ ვისი სატელიტი გახლდათ.

TV 25

„ტელეარხი 25“-ის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ ტოქშოუს „დიალოგი“, რომელიც სექტემბრიდან კვირაში ორჯერ გადიოდა ეთერში.

დიალოგი

ეთერში იწვევდნენ საარჩევნო სუბიექტებს აჭარის რეგიონიდან. „დიალოგი“ ამომრჩეველს საშუალებას აძლევდა კარგად გაეცნო ისინი და წარმოდგენა შეექმნა მათ დაპირებებსა და თუ შესაძლებლობებზე.

აღსანიშნავია, რომ აჭარის უმაღლეს საბჭოში მოსახვედრად მეორე ტურში მონაწილე კანდიდატებიდან შეთავაზების მიუხედავად არც ერთ დებატში მონაწილეობა არ მიუღია „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს, რის შესახებაც წამყვანმა არაერთხელ ამცნო საზოგადოებას. ფაქტობრივად დებატები არ შედგა და წამყვანს ინტერვიუს ფორმატში მიუხედავად გადაცემის წყევანა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთან.

წამყვანი თითქმის ყველა გადაცემაში ძალიან კარგად იყო მომზადებული. სვამდა ლოგიკურ და საკმაოდ კრიტიკულ კითხვებს. ახერხებდა სტუდიაში სიტუაციის მართვას და არ აძლევდა საშუალებას სტუმრებს, შეურაცხყოფა მიეყენებინათ ოპონენტებისთვის. ჟურნალისტი წარმომადგენდა ფაქტებს, მოჰყავდა ციტატები და ა.შ. ოპონირებასაც უწევდა სტუმრებს. იყო მიუკერძოებელი. კარგად მართავდა ეთერს. ითხოვდა, რომ ბუნდოვანი დეტალები განემარტათ მაყურებლებისთვის.

რეკომენდაციები

- წინასაარჩევნო პერიოდში მაუწყებელმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს საარჩევნო პროგრამების განხილვას, კანდიდატების ხედვების წარმოჩენას და უმჯობესია მაყურებელს შესთავაზოს საინფორმაციო გამოშვებისგან განსხვავებული ანალიზი და ინფორმაცია.
- თითოეული კანდიდატისთვის თანაბარი საეთერო დროის დათმობა არ ნიშნავს საარჩევნო თემატიკის კვალიფიციურ გაშუქებას, ვინაიდან ეს არ ემსახურება მაყურებლის უკეთესად ინფორმირებას და ძირითადად ხელს უწყობს კანდიდატების მესიჯების, მათ შორის, არარეალისტური დაპირებების ტირაჟირებას. უმჯობესია, მაუწყებელმა საზოგადოებას აჩვენოს რამდენად რეალურია დაპირებები, ხედვები და დაეხმაროს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში.
- როდესაც რომელიმე რესპონდენტი, რომლის მიმართაც კითხვები არსებობს, უარს ამბობს გადაცემაში მონაწილეობაზე წამყვანმა ამის შესახებ უნდა ამცნოს საზოგადოებას. საჭიროების შემთხვევაში თავად შეეცადოს მათი პოზიციების წარმოჩენას, ბრალდებების საპასუხოდ დასვას კონტრკითხვები და გაუწიოს ოპონირება სტუმარს.
- წამყვანი უფრო მეტად მომზადებული უნდა იყოს ისეთ რესპონდენტებთან სასაუბროდ, ხშირად ერთსა და იმავე შეცდომაში შემყვან გზავნილებს ავრცელებენ. ჟურნალისტი უნდა შეეცადოს ყოველ ჯერზე შეუსწოროს რესპონდენტს ფაქტობრივი შეცდომები და მაყურებელს ზუსტი ინფორმაცია მიაწოდოს.
- რესპონდენტის მხრიდან სიმულვილის ენის გამოყენების შემთხვევაში, წამყვანი უნდა გაემიჯნოს მათ და მიუთითოს რესპონდენტს, რომ ამგვარი ლექსიკა მიუღებელია.
- გადაცემის შემოქმედებითი გუნდი უნდა ეცადოს, რომ ერთმანეთის პირისპირ სადისკუსიოდ არ დასვას ისეთი რესპონდენტები, რომლებს შორისაც მოსალოდნელია კონფლიქტი. ამით თავიდან აიცილებს სტუმრებს შორის სავარაუდო ფიზიკურ თუ სიტყვიერ დაპირისპირებას.



INTERNEWS
GEORGIA

რადიოარხების მონიტორინგი

20 მაისი - 2 ნოემბერი, 2016

„ინტერნიუსი – საქართველომ“, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის, „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“, ფარგლებში რადიოარხების მონიტორინგი განახორციელა. მონიტორინგი 2016 წლის 20 მაისს დაიწყო და 2 ნოემბრის ჩათვლით გაგრძელდა. იგი 12 რადიომუწყებლის სადამოს საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგს მოიცავდა, ესენია: „რადიო 1“ (საზოგადოებრივი მუწყებელი), „იმედი“, „ფორტუნა“, „თავისუფლება“, „პალიტრა“, „პირველი რადიო“, „ქალაქი“, „მაესტრო“, „ჰერეთი“ (ქ. ლაგოდეხი), „რიონი“ (ქ. ქუთაისი), „ათინათი“ (ქ. ზუგდიდი) და „აჭარა“ (ქ. ბათუმი).

ძირითადი მიგნებები

- ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და მთავრობას დაეთმო;
- პარლამენტში შესულ მესამე პოლიტიკურ გუნდს, „პატრიოტთა ალიანსი - გაერთიანებულ ოპოზიციას“ მცირე დრო დაეთმო და რადიომუწყებლების უმეტესობამ ის ნეიტრალურად გააშუქა;
- 2012-2014 წლებთან შედარებით, ოპოზიციური, მათ შორის არასაპარლამენტო, პარტიებისთვის დათმობილი დრო გაიზარდა. არ დაფიქსირებულა შემთხვევა, რომ რომელიმე რადიომუწყებელს საერთოდ არ გაეშუქებინა ისეთი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც სხვა არხებზე შუქდებოდა;
- პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამებსა თუ ქვეყნის განვითარების ხედვებზე სიღრმისეული სიუჟეტები არ მომზადებულა. მსმენელი, ძირითადად, პოლიტიკოსების მოსახლეობასთან შეხვედრების დროს გაკეთებულ, ზოგადი ხასიათის, დაპირებებს ისმენდა;
- მცირე დრო დაეთმოთ დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატებს და მსმენელს მათი პარტიული კუთვნილების გარდა სხვა ინფორმაცია ნაკლებად მიეწოდებოდა. მაჟორიტარობის დამოუკიდებელ კანდიდატებს დრო არ დათმობიათ;
- რადიომუწყებლებმა არჩევნების დღეებში (8 და 30 ოქტომბერი) აქტიურად იმუშავეს: გააშუქეს დარღვევები, პოლიტიკოსების, ცესკოს, დამკვირვებლებისა და არასამთავრობო სექტორის პოზიციები;
- რადიომუწყებლებს შორის კონკურენცია ნაკლებად იგრძნობოდა: ჟურნალისტები ანალიტიკურ, სიღრმისეულ ან ექსკლუზიურ (საავტორო) სიუჟეტებს იშვიათად ამზადებდნენ. სხვადასხვა რადიომუწყებლის ახალი ამბების ტექსტები ერთმანეთს ხშირად ემთხვეოდა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით პარტიების წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებისას შეინიშნებოდა;
- ჟურნალისტები პოლიტიკოსების დაწესებულ დღის წესრიგს მიჰყვებოდნენ, კრიტიკულ კითხვებს ნაკლებად სვამდნენ, არ იგრძნობოდა მცდელობა, თავად აღმოეჩინათ პრობლემა და პოლიტიკური დისკუსიის საგნად ექციათ;
- ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით ახალ ამბები არ მომზადებულა, თუმცა ჟურნალისტები პოლიტიკოსთა განცხადებების გადამოწმებასა და ფაქტებზე დაფუძნებული მედიაპროდუქტის შექმნას ნაკლებად ცდილობდნენ;
- რადიომუწყებლების უმეტესობა მცირე დროს უთმობდა რეგიონებში მიმდინარე მოვლენების, სოციალური საკითხებისა და უმცირესობების პრობლემების გაშუქებას;
- რადიომუწყებლები მიუკერძოებლად მუშაობდნენ, ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დარღვევის, ხმით / მუსიკით მანიპულირებისა და სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

"რადიო 1" (საზოგადოებრივი მაუწყებელი)

„რადიო 1“ აქტიურად აშუქებდა პოლიტიკურ მოვლენებსა და არჩევნების როგორც პირველი, ასევე მეორე ტურის დროს ქვეყანაში განვითარებულ პროცესებს. საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში რომელიმე პოლიტიკური გუნდის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება არ შეინიშნებოდა. ჟურნალისტები ეთიკური სტანდარტების დაცვით მუშაობდნენ და სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ. წინა წლების მსგავსად, კვლავაც მთავარი პრობლემა იყო ჟურნალისტების მხრიდან კრიტიკული კითხვების სიმცირე და ნაკლები პროაქტიულობა,


„რადიო 1-ის“ საინფორმაციო გამოშვებები მოკლე, მშრალი და ზედაპირული იყო. მოლოდინი, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი სხვებზე მეტად პროაქტიული იქნებოდა და გააშუქებდა ისეთ თემებს, რომლებიც სხვა რადიომაუწყებლების ეთერში არ ხვდებოდა, არ გამართლდა.

ჟურნალისტები რეგიონებში მიმდინარე მოვლენებს და სოციალურ საკითხებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, არ ისმოდა უმცირესობების და ამა თუ იმ მოწყვლადი ჯგუფის ხმა, რაც მსმენელს ამ საკითხებზე პოლიტიკური პარტიების შეხედულებების უფრო სიღრმისეულად გაცნობის საშუალებას მისცემდა.

მონიტორინგის სუბიექტებს 13 საათი და 26 წუთი დაეთმოთ, საიდანაც რესპონდენტების პირდაპირ საუბარზე მხოლოდ 3% მოდიოდა. ყველაზე ხშირად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (17%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (15%) გაშუქდნენ. ყველაზე დადებით კონტექსტში - პრემიერ-მინისტრი (35%) და მთავრობა (20%). წინა წლების მსგავსად, პრობლემად დარჩა მოვლენების ზედაპირული და ანალიზს მოკლებული გაშუქება, რაზეც 80%-იანი ნეიტრალური ტონიც მეტყველებს.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ახალი ამბების გამოშვებებში ჟურნალისტებმა პარტიების წინასაარჩევნო აქტივობების მიმოხილვა დაიწყეს, შუქდებოდა პარტიების რეგიონული შეხვედრებიც. რადიოარხი არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების აქტივობებსაც აშუქებდა. წინასაარჩევნო კამპანიაზე მოკლე და მშრალი სიუჟეტები მზადდებოდა. „რადიო 1“ პოლიტიკოსთა განცხადებების ციტირებით შემოიფარგლებოდა. ჟურნალისტები პოლიტიკოსების მოსახლეობასთან შეხვედრების გაშუქებისას მხოლოდ მათ დაპირებებს აჟღერებდნენ. არ მომზადებულა სიუჟეტი, სადაც საარჩევნო პროგრამები სიღრმისეულად იქნებოდა განხილული, ან ჟურნალისტი შეაჯამებდა, თუ რა ხედვები აქვთ პოლიტიკურ გუნდებს ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების მოსაგვარებლად.

დიაგრამა 1



„რადიო 1“ არც ერთი პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებული არ ყოფილა, მაგრამ, გამოვლენილი პრობლემების მოგვარების გარეშე, მხოლოდ ეს ფაქტი მსმენელის ინფორმირებულ არჩევანს ხელს ვერ შეუწყობდა.

რადიო „თავისუფლება“

რადიო „თავისუფლება“ ანალიტიკურ და სიღრმისეულ სიუჟეტებს ამზადებდა. ჟურნალისტები ექსკლუზიურ სიუჟეტებზე მუშაობდნენ და აშუქებდნენ ისეთ თემებს (ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, გენდერი, სოციალური საკითხები), რომლებიც სხვა რადიომაუწყებლების ეთერში არ ხვდებოდა. არჩევნების მოახლოებასთან ერთად გაიზარდა საარჩევნო თემატიკაზე მომზადებული სიუჟეტების რიცხვი: გაშუქდა რეგიონებში არსებული საარჩევნო გარემო და პრობლემები.

რადიო „თავისუფლება“, წინა წლების მსგავსად, სიღრმისეულ და ანალიტიკურ საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა. მათ მონიტორინგის სუბიექტებს 20 საათი და 6 წუთი დაუთმეს, საიდანაც ყველაზე მეტი დროით მთავრობა (24%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (12%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (11%) გაშუქდნენ. მთლიანი დროის 28% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა, რისი საშუალებაც სხვადასხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებს თითქმის თანაბრად ეძლეოდათ.


რადიომაუწყებელი ტონთა სიჭრელითაც გამოირჩეოდა, რაც საკითხების მრავალფეროვანმა და სხვადასხვა რაკურსით გაშუქებამ გამოიწვია.

რადიოარხების უმეტესობისგან განსხვავებით, ჟურნალისტებმა პოლიტიკოსებს ეთერის წინასაარჩევნო სააგენტაციო ტრიბუნად გამოყენების საშუალება არ მისცეს, რაც ჟურნალისტების მწვავე კითხვებით, ანალიზით, ფაქტების მოძიებითა და არასამთავრობო სექტორის, სპეციალისტების, არჩევნების დამკვირვებლების და რიგითი მოქალაქეების ჩართულობით მოხერხდა.

მნიშვნელოვანი ყურადღება რეგიონებში მიმდინარე მოვლენებს ეთმობოდა და ამ მხრივ, ხშირად უფრო მეტი სიუჟეტი მზადდებოდა, ვიდრე რეგიონული რადიომაუწყებლების ეთერში. არხმა დიდი ყურადღება დაუთმო საარჩევნო გარემოს მიმოხილვასა და უშუალოდ არჩევნების დღის მოვლენების გაშუქებას, თუმცა პარტიების საარჩევნო პროგრამების შესახებ სიღრმისეული სიუჟეტები არც რადიო „თავისუფლებას“ მოუმზადებია.

რადიომაუწყებელი დაბალანსებული და მიუკერძოებელი იყო. სხვა რადიომაუწყებლების უმეტესობასთან შედარებით, ყოველდღიურად ნაკლები რაოდენობის ახალი ამბები შუქდებოდა, თუმცა შერჩეული დღის მთავარი თემები სიღრმისეულად და ამომწურავად განიხილებოდა, რაც ამომრჩევლის ინფორმირებულობას უფრო მეტად უწყობდა ხელს, ვიდრე მრავალი ზედაპირული ახალი ამბავი ერთად.

დიაგრამა 2



„პირველი რადიო“

„პირველი რადიოს“ საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკური პროცესები აქტიურად, თუმცა ზედაპირულად და ანალიზის გარეშე შუქდებოდა. ცალკეული ახალი ამბები დაუბალანსებელი იყო. ჟურნალისტები დამატებითი ინფორმაციის მოძიებას არ ცდილობდნენ. რადიომაუწყებლის ეთერში ექსკლუზიური ახალი ამბები არ გასულა. პოლიტიკური პარტიების აქტივობებს დიდი დრო ეთმობოდა, თუმცა საარჩევნო პროგრამების განხილვა მოსახლეობასთან შეხვედრების დროს გაჟღერებული დაპირებების გაშუქებით შემოიფარგლებოდა.

რადიომაუწყებელმა მონიტორინგის სუბიექტებს 25 საათი და 26 წუთი დაუთმო. ყველაზე დიდი დროით გაშუქდნენ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (19%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (16%) და მთავრობა (14%). სუბიექტებს პირდაპირი საუბრისთვის დრო თითქმის თანაბრად (საშუალოდ, 52%) ეძლეოდათ.


„პირველ რადიოზე“ პოლიტიკური პარტიების გაშუქებას დიდი დრო ეთმობოდა, თუმცა საარჩევნო პროგრამებთან დაკავშირებული სიღრმისეული სიუჟეტები არ მომზადებულა. რადიომაუწყებლის ყურადღების მიღმა რეგიონებში მიმდინარე მოვლენები და სოციალური თუ უმცირესობების პრობლემებიც აღმოჩნდა.

ახალი ამბები, ძირითადად, პოლიტიკოსების განცხადებებისა და ოპონენტთა პასუხების გაშუქებით შემოიფარგლებოდა. ცალკეული სიუჟეტები დაუბალანსებელი იყო და მმართველ გუნდს უარყოფით კონტექსტში წარმოაჩენდა. ოპოზიციის წარმომადგენლები ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ, თუმცა ამავე თემაზე მათი საპასუხო კომენტარები ხშირად არ შუქდებოდა. მაგალითად, მკვეთრად უარყოფითად გაშუქდნენ ბიძინა ივანიშვილი (57%), ადგილობრივი მთავრობა (45%) და კოალიცია „ქართული ოცნება“ (68%).

დაფიქსირდა საინფორმაციო გამოშვებების დროის დაუბალანსებლად გადანაწილების შემთხვევები. კერძოდ, რამდენიმე (22, 23, 24, 25 ივნისი, 13 ივლისი, 6, 8 სექტემბერი) საშუალოდ 12 წუთიანი გადაცემის 8 წუთი ერთ ახალ ამბავს დაეთმო: სამეგრელოში, სოფელ კორცხელში № 53 საარჩევნო უბანთან მომხდარი დაპირისპირება, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას ბრიფინგები.

მთლიანობაში, „პირველი რადიოს“ საინფორმაციო გამოშვებებში დაცული იყო ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები, თუმცა სიუჟეტების დიდი ნაწილი დაუბალანსებელი იყო. ჟურნალისტების მეტი პროაქტიულობა და ისეთი თემების მიგნება, რომლებზეც პოლიტიკოსები პრესკონფერენციებზე არ საუბრობდნენ, გადაცემებს უფრო ანალიტიკურსა და ინფორმატიულს გახდიდა.

დიაგრამა 3



რადიო „ქალაქი“


რადიო „ქალაქი“ მოკლე საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა, სადაც დღის მთავარ თემებზე საინფორმაციო სააგენტოს სტილის ახალი ამბები შეუქდებოდა. გამოშვებებში ანალიტიკური სიუჟეტები არ გადიოდა და ჟურნალისტები არ ცდილობდნენ იმაზე მეტი ინფორმაციის მოძიებას, ვიდრე პოლიტიკოსები თავად საუბრობდნენ.

რადიომაუწყებელმა მონიტორინგის სუბიექტებს 7 საათი და 32 წუთი დაუთმო. ყველაზე დიდი დროით მთავრობა (17%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (15%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (14%) გაშუქდნენ. რესპონდენტებს პირდაპირი საუბრის საშუალება არ ჰქონდათ, მათთვის დათმობილი დროის, საშუალოდ, 80% ირიბ გაშუქებაზე მოდიოდა. ნეიტრალური ტონის სიჭარბე მშრალი და ჟურნალისტების კრიტიკულ კითხვებს მოკლებული გაშუქებით აიხსნება. ამ დასკვნას თვისებრივი მონაცემებიც ამყარებს: მონიტორინგის პერიოდის მანძილზე არც ერთი ანალიტიკური სიუჟეტი არ მომზადებულა, ხოლო ცალკეული სიუჟეტები ხშირად მხოლოდ ერთ წყაროს ეყრდნობოდა. ამასთან, ჟურნალისტები პოლიტიკოსების განცხადებებს ისე აშუქებდნენ, რომ რესპონდენტებს საპასუხო მწვავე კითხვებზე პასუხის გაცემა არ უწყევდათ. თუმცა, ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ და ეთიკის სტანდარტებიც დაცული იყო.

რადიომაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებებში პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამები სიღრმისეულად არ მიმოუხილავთ. საარჩევნო ინფორმაცია უმეტესად პოლიტიკოსების მოსახლეობასთან შეხვედრებს შეეხებოდა. მონიტორინგის დასაწყისში რადიოარხი პარტიების წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებას უფრო დიდ დროს უთმობდა, ვიდრე შემდგომ პერიოდებში.

რადიო „ქალაქზე“ ახალი ამბების მოკლე და ზედაპირული გაშუქება ამომრჩევლის ინფორმირებულობას ხელს ნაკლებად უწყობდა. მოკლე საინფორმაციო გამოშვებების ფორმატიდან გამომდინარე, შესაძლოა, ანალიტიკური სიუჟეტების მომზადება ვერ ხერხდებოდა, თუმცა ცალკეული სიუჟეტების დაბალანსება და სპეციალისტებისა და სამოქალაქო სექტორის მოსაზრებების გაშუქება მსმენელს დასკვნების გამოტანაში მეტად დაეხმარებოდა.

დიაგრამა 4



რადიო „პალიტრა“


რადიო „პალიტრა“ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს ვრცლად და დაბალანსებულად აშუქებდა. საინფორმაციო გამოშვებები თემების მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, ჟურნალისტები დამატებითი ინფორმაციის მოძიებაზეც მუშაობდნენ. თუმცა, ეს ნაკლებად ეხებოდა წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების პროცესს, რომელიც ისეთივე ზედაპირული იყო, როგორც სხვა რადიომაუწყებლების შემთხვევაში.

რადიო „პალიტრაზე“ მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილმა დრომ 22 საათი და 5 წუთი შეადგინა. აქედან, ყველაზე მეტი დრო მთავრობის (24%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (17%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (12%) გაშუქებაზე მოდიოდა. მონიტორინგის სუბიექტებს პირდაპირი საუბრისთვის დროის, საშუალოდ, 37% დაეთმოთ. დადებით ტონში ოპოზიციური პარტიები თითქმის არ გაშუქებულან, რადგან მათ ფოკუსი უფრო მეტად ხელისუფლების კრიტიკაზე ჰქონდათ. ამის საპირისპიროდ, მმართველი პოლიტიკური პარტიები კრიტიკას საკუთარ დამსახურებაზე საუბრით პასუხობდნენ, ამიტომაც დადებითი ტონი სწორედ ხელისუფლების წარმომადგენლებზე მოდიოდა.

მონიტორინგის დასაწყისში, საინფორმაციო გამოშვებები წინასაარჩევნო კამპანიის სიღრმისეული გაშუქებით არ გამოირჩეოდა. პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამებთან დაკავშირებით იმაზე მეტი ინფორმაცია, რაზეც პოლიტიკოსები მოსახლეობასთან შეხვედრების დროს საუბრობდნენ, არ გაჟღერებულა. არჩევნების მოახლოებასთან ერთად მოიმატა პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების შესახებ მომზადებული სიუჟეტების რიცხვმა, სადაც მსმენელს საშუალება ჰქონდა, პარტიების განათლების, ჯანდაცვისა და ეკონომიკის პროგრამებს გაცნობოდა. სიუჟეტებში წარმოდგენილი იყო, როგორც პოლიტიკოსების, ასევე პოლიტოლოგებისა და არასამთავრობო სექტორის შეფასებებიც.

რადიომაუწყებელი დაბალანსებული სიუჟეტებით გამოირჩეოდა. ჟურნალისტები პროაქტიულად მუშაობდნენ, დამოუკიდებლად ეძებდნენ თემებსა და ექსკლუზიურ სიუჟეტებსაც ამზადებდნენ.

დიაგრამა 5



რადიო „ფორტუნა“

რადიო „ფორტუნა“ მოვლენებს მოკლედ და დაუბალანსებლად აშუქებდა. საინფორმაციო გამოშვებების დიდი ნაწილი სტუმართან ინტერვიუს ეკავა, სადაც აქტუალურ თემებს განიხილავდნენ, თუმცა ამის ფონზე ახალი ამბების მომზადებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამასთან, მოწვეული სტუმრები ხშირად მმართველ პარტიას აკრიტიკებდნენ, ისე, რომ ამ უკანასკნელს საპასუხო კომენტარის გაკეთების საშუალება არ ეძლეოდა.


რადიომაუწყებელმა მონიტორინგის სუბიექტებს 7 საათი და 25 წუთი დაუთმო. დროის 20% „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოზე“ საუბრობდნენ, 18% - მთავრობაზე, 14% - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაზე“. ყველაზე უარყოფითად მმართველი პარტია გაშუქდა (34%). ეს განსაკუთრებით სექტემბრის თვეს ეხება, როდესაც მას დროის 66% უარყოფით ტონში დაუგროვდა. ბალანსის პრობლემა მკვეთრად გამოიკვეთა, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, რომ პარტია „ქართულ ოცნებასა“ და მთავრობას პირდაპირი საუბრისთვის

დროის მხოლოდ 15-15% დაეთმოთ, ხოლო მომდევნო ხშირად გაშუქებულ სუბიექტებს - 40%-ზე მეტი. ყველაფერი ერთად რადიომალწყებლის მიუკერძოებელ სარედაქციო პოლიტიკასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნებს აჩენდა.

ჟურნალისტებმა წინასაარჩევნო კამპანიაც ზედაპირულად გააშუქეს. ამ თემაზე ახალი ამბები იშვიათად მზადდებოდა. მართალია, მოწვეულ სტუმართან ერთად წინასაარჩევნო პროგრამები და საარჩევნო გარემო რამდენჯერმე მიმოიხილეს, მაგრამ მხოლოდ ეს ამომრჩევლის ინფორმირებული გადაწყვეტილების ხელშესაწყობად საკმარისი არ იყო.

გასული წლების მონიტორინგის შედეგების მსგავსად, მთავარ პრობლემად წყაროთა სიმწირე, ჟურნალისტების ნაკლები პროაქტიულობა და ბალანსის დაცვა გამოიკვეთა.

დიაგრამა 6



რადიო „იმედი“

რადიო „იმედი“ პოლიტიკურ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა, თუმცა ახალ ამბებში დისბალანსი მმართველი გუნდის სასარგებლოდ იხრებოდა. ჟურნალისტები კრიტიკულ კითხვებს არ სვამდნენ და დამატებითი ინფორმაციის მოძიებასაც ნაკლებად ცდილობდნენ. შესაბამისად, საინფორმაციო გამოშვებები ზედაპირული იყო და მსმენელს არგუმენტირებული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას არ აძლევდა.


რადიომალწყებელმა მონიტორინგის სუბიექტებს 16 საათი დაუთმო, საიდანაც 17-17% მთავრობა და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ შუქდებოდნენ, შემდეგ კი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 13%-ით. მმართველი პარტიასა და სამთავრობო სტრუქტურებს დროის დიდი ნაწილი დადებით ტონში დაეთმოთ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემთხვევაში კი უარყოფითი ტონი სჭარბობდა. ეს ტენდენცია ყველა საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა, თუმცა არჩევნების მოახლოებასთან ერთად სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდა. 15 წუთიანი საინფორმაციო გამოშვებები 5 წუთამდე შემცირდა, სიუჟეტები კიდევ უფრო დაუბალანსებელი გახდა და მმართველი პარტიის დადებითი ტონის ზრდასთან ერთად (22%-დან 37%-მდე), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ უარყოფითი ტონი მკვეთრად გაიზარდა (17%-დან 59%-მდე). სექტემბრიდან არჩევნების პირველ ტურამდე აღნიშნულ ოპოზიციურ პარტიას პირდაპირი საუბრისთვის დრო თითქმის არ დათმობია, ხოლო სხვა სუბიექტების ხმა ხშირად ისმოდა (საშუალოდ, 40%). ამგვარად, სარედაქციო პოლიტიკის მიუკერძოებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ იყო.

რადიომაუწყებელი წინასაარჩევნო კამპანიის სიღრმისეული განხილვითაც არ გამოირჩეოდა. საარჩევნო პროგრამებთან დაკავშირებით მწირი ინფორმაცია ვრცელდებოდა და წინასაარჩევნო გარემოც ზედაპირულად შუქდებოდა.

პირველი ტურის შემდეგ სიტუაცია შედარებით გამოსწორდა და ერთ წყაროზე დაყრდნობით მომზადებული ახალი ამბების რიცხვი შემცირდა. არჩევნების დღეებში ჟურნალისტებმა სავარაუდო დარღვევებიც აქტიურად გააშუქეს.

წინა წლების მონიტორინგის შედეგებთან შედარებით, სიტუაცია გაუარესებული იყო. ჟურნალისტებს გონივრული ბალანსის დაცვა უჭირდათ, პროაქტიულობა აკლდათ და ერთფეროვანი თემების გაშუქებით შემოიფარგლებოდნენ.

დიაგრამა 7



რადიო „მაესტრო“

რადიო „მაესტრო“ ყველაზე ხანგრძლივ საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა და ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. მიუხედავად ამისა, რადიომაუწყებელის ეთერში ანალიზისა და კრიტიკული კითხვების მწვავე დეფიციტი იგრძნობოდა. თუმცა, ჟურნალისტები მოვლენებს მიუკერძოებლად აშუქებდნენ და არც ერთი პოლიტიკური გუნდის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდნენ.


რადიომაუწყებელმა მონიტორინგის სუბიექტებს 33 საათზე მეტი დრო დაუთმო, რომლის 22% „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ აშუქებდა, 16% - „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და 14% - მთავრობას. გარდა ამისა, 10 წუთზე მეტი დრო კიდევ 11 პოლიტიკურ პარტიას დაეთმო, თუმცა წინასაარჩევნო კამპანია მაინც მშრალად და ზედაპირულად გაშუქდა. პარტიების საარჩევნო პროგრამების ნაცვლად, სიუჟეტები პოლიტიკოსთა ზოგადი ხასიათის განცხადებების ციტირებითა და მათი მოსახლეობასთან შეხვედრების მოკლე მიმოხილვით შემოიფარგლებოდა. თითქმის არ გაუშუქებიათ დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები.

პირველ და მეორე საანგარიშო პერიოდებში წყაროთა სიმწირეც შეინიშნებოდა, თუმცა არჩევნების მოახლოებასთან ერთად სიუჟეტები უფრო დაბალანსდა. რადიომაუწყებელმა უშუალოდ არჩევნების დღეებზეც

აქტიურად გააშუქა, რა დროსაც გამოვლენილ დარღვევებზე, ცესკოს, პოლიტიკოსებისა და არასამთავრობო სექტორის შეფასებებიც გაჟღერდა. ჯამში, მკვეთრად დადებით ან უარყოფით კონტექსტში არც ერთი სუბიექტი არ გაუშუქებიათ. პოლიტიკურ გუნდებს კი პირდაპირი საუბრისთვის თითქმის თანაბარი დრო ეთმობოდათ (საშუალოდ, 43%).

გასული წლების მონიტორინგის შედეგებთან შედარებით, გაუმჯობესება იგრძნობა, რაც სიუჟეტების მეტად დაბალანსებასა და რესპონდენტთა პირდაპირი საუბრის წილის ზრდაში გამოიხატა. თუმცა, ანალიტიკას მოკლებული სიუჟეტები, რეგიონებსა თუ სხვადასხვა უმცირესობების თემატიკაზე ნაკლები ყურადღების გამახვილება და ექსკლუზიური მასალების მოუმზადებლობა, კვლავაც მწვავე პრობლემებად დარჩა.

დიაგრამა 8



რადიო „ჰერეთი“ (ქ. ლაგოდები)


რადიო „ჰერეთი“ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. ჟურნალისტები თავისი პროაქტიულობით, როგორც რეგიონული ასევე ცენტრალური მედიასაშუალებების უმეტესობისგან გამოირჩეოდნენ. ისინი კვირაში რამდენიმე ექსკლუზიურ სიუჟეტს ამზადებდნენ, სადაც კრიტიკულ კითხვებს სვამდნენ და რესპონდენტთა განცხადებების გადამოწმებას ცდილობდნენ. თუმცა, იგივეს ვერ ვიტყვით წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებაზე, რომელიც ისეთივე ზედაპირული იყო, როგორც სხვა რადიომაუწყებლების შემთხვევაში.

მონიტორინგის სუბიექტებს 26 საათი დაეთმოთ. ამ დროის 18% „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოზე“ მოდიოდა, 15% - „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“, ხოლო 14% - მთავრობაზე. სუბიექტების უმეტესობას დროის მნიშვნელოვანი ნაწილი უარყოფით ტონში დაუგროვდა, რაც ჟურნალისტების კრიტიკული დამოკიდებულებით უნდა აიხსნას, ხოლო ამავე სუბიექტების დადებით ტონში გაშუქება - სიუჟეტების დაბალანსებით, რადგან მხარეებს საკუთარი პოზიციის წარმოჩენის საშუალება ეძლეოდათ. ამასთან, დროის, საშუალოდ, 47% პირდაპირ საუბარზე მოდიოდა.

მართალია, ცენტრალური ახალი ამბები მაინც ზედაპირულად შუქდებოდა, მაგრამ ადგილობრივი ახალი ამბების ფოკუსი პოლიტიკოსთა ზოგადი განცხადებების ნაცვლად, კონკრეტულ სოციალურ და ეკონომიკურ თემებზე კეთდებოდა. თუმცა, სასურველი იქნებოდა, რომ მსგავსი სიუჟეტების წილი კიდევ უფრო გაზრდილიყო და წინასაარჩევნო კამპანიის შემთხვევაშიც ჟურნალისტებს თემები სიღრმისეულად გაეშალათ.

რადიომაუწყებელი მიუკერძოებლად და ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დაცვით მუშაობდა. წინა წლებთან შედარებით საინფორმაციო გამოშვებების ხარისხი გაუმჯობესებული იყო. მის ეთერში შესაძლებელი იყო ისეთი ინფორმაციის მოსმენა, რომელიც სხვა რადიომაუწყებლების ეთერში არ შუქდებოდა. თუმცა, წინასაარჩევნო კამპანიისა და პოლიტიკოსთა დაპირებების მშრალი გაშუქება კვლავაც პრობლემად დარჩა.

დიაგრამა 9




რადიო „ათინათი“ (ქ. ზუგდიდი)

რადიო „ათინათის“ მოკლე საინფორმაციო გამოშვებები ძირითადად რეგიონში მიმდინარე მოვლენებს ეხებოდა. ჟურნალისტები აშუქებდნენ როგორც პოლიტიკურ, ასევე კულტურულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს. თუმცა, მოვლენების მშრალი და ზედაპირული გაშუქება მწვავე პრობლემად დარჩა.

რადიო „ათინათის“ საინფორმაციო გამოშვებებში მონიტორინგის სუბიექტებს 3 საათი და 36 წუთი დაეთმოთ. ამ დროის 18% მთავრობაზე, 16-16% „ერთიან ნაციონალ მოძრაობასა და „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოზე“, ხოლო 14% ადგილობრივ მთავრობაზე მოდიოდა. წამყვანი რესპონდენტების განცხადებებს ციტირებდა და პირდაპირ საუბარზე დროის მხოლოდ 10% მოდიოდა.

რადიო „ათინათის“ ეთერში სიუჟეტები სოციალურ პრობლემებზეც გადიოდა, პოლიტიკური პარტიების და მაჟორიტარი დეპუტატობის წინასაარჩევნო აქტივობებიც აქტიურად შუქდებოდა, თუმცა პროაქტიულობის ნაკლებობა იგრძნობოდა. მცირე ქრონომეტრაჟიდან გამომდინარე, შესაძლოა რადიომაუწყებელი ანალიტიკური სიუჟეტების მომზადებას ვერ ახერხებდა, მაგრამ ინფორმაციის სხვა წყაროსთან გადამოწმებითა და დამატებითი მასალების მოძიებით ჟურნალისტებს საშუალება ექნებოდათ მოვლენები უფრო მრავალფეროვნად გაეშუქებინათ.

ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ და ეთიკის სტანდარტებსაც იცავდნენ. თუმცა, მშრალი და ზედაპირული გამოშვებები მსმენელს ამა თუ იმ საკითხის შესახებ არგუმენტირებული აზრის ჩამოყალიბების საშუალებას ვერ მისცემდა. მნიშვნელოვანია, რეგიონულმა რადიომაუწყებელმა, რომელსაც მცირე ქრონომეტრაჟის საინფორმაციო გამოშვებები აქვს, რეგიონში მიმდინარე მოვლენების გაშუქებას მეტი დრო დაუთმოს და სიუჟეტებში ბალანსის დაცვითა და დამატებითი მასალების მოძიებით მსმენელს მრავალმხრივი და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს.



რადიო „რიონი“ (ქ. ქუთაისი)

რადიო „რიონი“ როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ სიახლეებს აქტიურად აშუქებდა. გადაცემებში საკმაოდ დიდი დრო პოლიტიკურ საკითხებს ეთმობოდა, თუმცა კრიტიკული კითხვების ნაკლებობა და პოლიტიკოსთა განცხადებების მიმართ ნაკლები სკეპტიციზმის გამოჩენა პრობლემად დარჩა.


რადიო „რიონმა“ მონიტორინგის სუბიექტებს 14 საათი და 41 წუთი დაუთმო. აქედან, დროის 16% „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოზე“, 15% „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“, 14% მთავრობაზე, ხოლო 12% ადგილობრივ მთავრობაზე მოდიოდა. სუბიექტების უმრავლესობის პირდაპირი საუბარი დროის, საშუალოდ, 25%-ს მოიცავდა, თუმცა ადგილობრივი მთავრობის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 50% იყო. შესაბამისად, ეს სუბიექტი მკვეთრად დადებით კონტექსტში წარმოჩინდა.

რადიომაუწყებლის მთავარი პრობლემა მოვლენების ზედაპირული და ანალიზს მოკლებული გაშუქება იყო. ჟურნალისტები რესპონდენტებისგან კომენტარების მიღებას აქტიურად ცდილობდნენ, თუმცა მათი კითხვები ნაკლებად მწვავე იყო და პოლიტიკოსებს საშუალება ეძლეოდათ საკუთარი თავი დადებით კონტექსტში წარმოეჩინათ. ეს ტონთა დისბალანსშიც აისახა - დადებითი ტონის მაჩვენებელი თითქმის ყველა სუბიექტის შემთხვევაში სჭარბობდა.

განსაკუთრებული პრობლემა ადგილობრივი ხელისუფლების გაშუქება იყო. მონიტორინგის დასაწყისში ჟურნალისტები დიდ დროს უთმობდნენ ქუთაისის მერს. მასთან ინტერვიუები არა მხოლოდ პოლიტიკურ საკითხებზე, არამედ კულტურული და სპორტული შეხვედრების გაშუქების დროსაც გადიოდა. ამიტომ, მათ დროის 52% დადებით კონტექსტში დაუფროვდათ.

რადიომაუწყებელი წინასაარჩევნო კამპანიას აქტიურად აშუქებდა. ახალი ამბები პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო აქტივობებს და იმერეთში დასახელებული დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატებს შეეხებოდა.

„რიონის“ ჟურნალისტები გაცილებით უფრო აქტიურები იყვნენ, ვიდრე სხვა რადიომაუწყებლების უმეტესობაში, რაც მათ მიერ კომენტარების ჩაწერაში და მრავალი ღონისძიების გაშუქებაში გამოიხატებოდა. მაგრამ, კრიტიკული კითხვების და ანალიტიკური სიუჟეტების ნაკლებობა ამ რადიოარხის მთავარ პრობლემადაც გამოიკვეთა.



რადიო „აჭარა“ (ქ. ბათუმი)

რადიო „აჭარა“ ვრცელ საინფორმაციო გამოშვებებს ამზადებდა, სადაც აჭარის და ცენტრალურ ახალ ამბებს გადმოსცემდნენ. მიუხედავად ხანგრძლივობისა რადიომაუწყებელი მოვლენებს ისევე მოკლედ და ზედაპირულად აშუქებდა, როგორც მცირე ქრონომეტრაჟის საინფორმაციო გადაცემების მქონე რადიოარხები. შესაბამისად, გამოშვებების მთავარი პრობლემა სიღრმისეული სიუჟეტების ნაკლებობა იყო.


საინფორმაციო გამოშვებებში ყურადღება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განვითარებულ მოვლენებზე მახვილდებოდა. ჟურნალისტები აშუქებდნენ როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ, ეკონომიკურ, თუ კულტურულ მოვლენებს. მონიტორინგის სუბიექტებს 19 საათი და 27 წუთი დაეთმო. ამ დროის 26% აჭარის მთავრობას, 15% „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, 13% „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ დაუგროვდათ. დროის 10-10% ადგილობრივი მთავრობისა და მთავრობის გაშუქებას დაეთმო. სუბიექტებისთვის დათმობილი დროიდან პირდაპირ საუბარზე, საშუალოდ, 34% მოდიოდა და ამ მხრივ პოლიტიკურ გუნდებს შორის დისბალანსი არ ყოფილა. რადიომაუწყებელი მოკლე სიუჟეტებს ამზადებდა. ჟურნალისტების მცდელობა, რომ დამატებითი მასალები მოეპოვინათ და მწვავე კითხვები დაესვათ, ნაკლებად იგრძნობოდა. ამავეზე მიუთითებს დიაგრამაზე გამოსახული დადებითი ტონიც, რომელიც განსაკუთრებით მაღალი აჭარის მთავრობისა (43%) და ადგილობრივი მთავრობის (35%) შემთხვევებში დაფიქსირდა. მმართველი გუნდის წევრების კომენტარები არა მხოლოდ პოლიტიკურ და ეკონომიკურ, არამედ კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებთან დაკავშირებითაც ხშირად ჟღერდებოდა. ხელისუფლების დადებითად გაშუქების ტენდენცია არჩევნების პირველი ტურის ბოლომდე გაგრძელდა, მეორე ტურისთვის კი სიტუაცია შედარებით გამოსწორდა.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად გაიზარდა ოპოზიციური პარტიების აქტივობების გაშუქება. თუმცა, პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების შესახებ სიუჟეტები არ მომზადებულა.

წინა წლების მსგავსად, რადიომაუწყებელზე დაცული იყო ეთიკის სტანდარტებიც, თუმცა ჟურნალისტების ნაკლები პროაქტიულობა და კრიტიკული კითხვების სიმწირე კვლავაც ხარვეზად დარჩა. რადიომაუწყებლის ხანგრძლივი საინფორმაციო გამოშვებები საშუალებას იძლევა, რომ მოვლენები სხვადასხვა რაკურსით გააშუქონ და ნაკლები პასუხგაუცემელი კითხვები დატოვონ, რადგან საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ არსებობს

მოლოდინი, რომ ის მრავალფეროვან თემებს გააშუქებს, დასვამს კრიტიკულ კითხვებს და დღის წესრიგში დააყენებს ისეთ პრობლემებს, რომლებიც კერძო რადიომაუწყებლების ეთერში შეიძლება არც მოხვდეს.

დიაგრამა 12



რეკომენდაციები

2012-2014 წლების მონიტორინგის შედეგების მსგავსად 2016 წლის მონიტორინგმაც ცხადყო, რომ რადიო არ არის პოლარიზებული მედიასეგმენტი და რადიომაუწყებლების უმეტესობა არც ერთი პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავს. ეს კარგი წინაპირობაა იმისთვის, რომ რადიომაუწყებლები მსმენელის ინფორმირებულ არჩევანს ხელს მნიშვნელოვნად შეუწყობენ. თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

- მეტ პროაქტიულობას გამოიჩინენ და დამატებითი თემების გაშუქებას შეეცდებიან;
- მეტ სკეპტიციზმს გამოიჩინენ, დასვამენ არგუმენტირებულ მწვავე კითხვებს და პოლიტიკოსებს შესაძლებლობას არ მისცემენ ეთერი საკუთარი პიარისთვის გამოიყენონ;
- მეტ ყურადღებას დაუთმობენ სოციალურ და უმცირესობების პრობლემებს და ამ საკითხებთან დაკავშირებით პასუხისმგებელი პირებისა და პოლიტიკოსების პოზიციებს წარმოაჩინენ;
- მეტ დროს დაუთმობენ არასამთავრობო სექტორისა და სპეციალისტების შეფასებებს, რაც მოვლენების სიღრმისეული ანალიზის საშუალებას გაზრდის;
- მეტ ყურადღებას მიაქცევენ რეგიონებში მიმდინარე პროცესებს და არ შემოიფარგლებიან მხოლოდ იმ შემთხვევების გაშუქებით, რომელიც ცენტრალურ ამბებს უკავშირდება;
- მეტ ყურადღებას მიაქცევენ პარტიების პოლიტიკურ ხედვებსა და პროგრამებს და მოსახლეობასთან შეხვედრების ზედაპირული გაშუქებით არ შემოიფარგლებიან;
- თავიდან აირიდებენ ან კრიტიკულ დამოკიდებულებას გამოიჩინენ პოლიტიკოსების ისეთ ღონისძიებებზე (სპორტული, კულტურული, რელიგიური, საგანმანათლებლო) გაშუქებისას, რომელიც ამ უკანასკნელს პირდაპირ ნაკლებად უკავშირდება და მკვეთრად პოზიტიურად წარმოაჩენს.



ბექდური მედიის მონიტორინგი

20 მაისი - 2 ნოემბერი, 2016

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა“ (CDI) ჩაატარა მედიამონიტორინგი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში. მონიტორინგი განხორციელდა 2016 წლის 20 მაისიდან 2 ნოემბრის ჩათვლით და მოიცვა 7 გამოცემა: „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „ასავალ-დასავალი“, „ალია“, „გურია news“, ქრონიკა +“ და „კვირის პალიტრა“.

ძირითადი მიგნებები

- პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე მეტი გაშუქება „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ დაეთმო;
- საკმაოდ აქტიურად შუქდებოდა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის საქმიანობა;
- მონიტორინგისთვის შერჩეული 7 გამოცემიდან 6-ში მეტ-ნაკლებად ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაშუქებისას;
- მხოლოდ ერთ გამოცემაში („ქრონიკა +“) ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები მმართველი გუნდისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის გაშუქებისას;
- ორ გამოცემაში („ალია“ და „ასავალ-დასავალი“) გამოვლინდა უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებელი როგორც მმართველი გუნდის, ასევე საპარლამენტო ოპოზიციის გაშუქებისას. ამ გამოცემებში დადებითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი პროცენტული მაჩვენებელი არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა;
- ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები გვხვდებოდა გამოცემებში „ალია“, „ქრონიკა +“ და „ასავალ-დასავალი“;
- ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების განსაკუთრებულად მძიმე შემთხვევები სისტემატურად გვხვდებოდა გამოცემებში „ასავალ-დასავალი“ და „ალია“;
- დაუზუსტებელი ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევები გვხვდებოდა გაზეთებში „ახალი თაობა“, „ქრონიკა +“, „ალია“ და „ასავალ-დასავალი“;
- არჩევნების მეორე ტურის გაშუქებისას საკმაოდ პასიურად შუქდებოდნენ მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატები;
- გამოცემები ნაკლებად დროს უთმობდნენ მეორე ტურის კანდიდატებს და ძირითადად პოლიტიკურ პარტიებს აშუქებდნენ. გამონაკლისი შემთხვევა დაფიქსირდა გაზეთ „ალიაში“, სადაც პარტიის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ მაჟორიტარობის კანდიდატი უჩვეულოდ დადებითად წარმოჩინდა;
- ბექდურ მედიაში ნაკლებად გვხვდებოდა არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებული პროცედურების გაშუქება;
- არჩევნების შედეგების გაშუქებისას შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის ხშირი გამოყენებით გამოირჩეოდნენ „ალია“ და „ასავალ-დასავალი“.

რეზონანსი


მონიტორინგის პერიოდში „რეზონანსი“ საკმაოდ ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებდა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. თუმცა, გამოცემაში შედარებით ჭარბობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის კრიტიკა. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები „რეზონანსში“ არ გამოვლენილა. გამოცემაში ფასიანი სტატიები სათანადოდ არ არის გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან.

„რეზონანსში“ ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (24%), მთავრობისა (16%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (13%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა მიხეილ სააკაშვილის (46%), ადგილობრივი თვითმმართველობების (26%), ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (25%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (20%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი პარტიას „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ (9%) ერგო.

აღსანიშნავია, რომ „რეზონანსში“ გვხვდება კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული მასალები, რომლებიც მკაფიოდ არ არის გამიჯნული სარედაქციო სტატიებისგან. ასეთი ტიპის მასალები ძირითადად ჩასმულია ჩარჩოში, ხოლო გაზეთის ბოლო გვერდზე საკმაოდ წვრილი შიფტით არის წარმოდგენილი განმარტება, რომ ჩარჩოში ჩასმული სტატიები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და გაზეთის რედაქცია პასუხს არ აგებს სარეკლამო სტატიებში მოყვანილ ფაქტებზე. უმჯობესია, რომ გაზეთმა მკაფიოდ, მკითხველისთვის გასაგებად მიუთითოს ყველა სტატია, რომელიც მომზადებულია კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „რეზონანსმა“ აქტიურად და მიუკერძოებლად გააშუქა როგორც წინასაარჩევნო პერიოდი, ასევე არჩევნების პროცესი და შედეგები. გაზეთში ფასიანი სტატიები სათანადოდ არ იყო გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან.

დიაგრამა 1



ალია

მონიტორინგის პერიოდში „ალიაში“ ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები პრაქტიკულად ყველა პოლიტიკური სუბიექტის გაშუქებისას. გამოცემაში სისტემატურად გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. „ალიას“ ჟურნალისტები ხშირად იყენებდნენ უკიდურესად შეურაცხმყოფელ ტემინოლოგიას პოლიტიკოსთა გაშუქებისას.


„ალიამ“ ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსა“ (20%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (16%) საქმიანობა გააშუქა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა როგორც „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსა“ (71%) და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (64%), ასევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (68%) და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (78%) გაშუქებისას. უარყოფითი ტონის მაღალი მაჩვენებლები ეგრო პრემიერ-მინისტრს (64%), ბლოკს „სახელმწიფო ხალხისთვის“ (58%) და მთავრობას (53%). დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი „ქართული დასის“ (11%) გაშუქებისას გამოვლინდა.

„ალიას“ ჟურნალისტები ხშირად იყენებენ უკიდურესად შეურაცხყოფელ ტერმინოლოგიას პოლიტიკოსების გაშუქებისას; მაგალითად: „თქვენ იცით, ხადურს თავზე თმა რატომ არ აქვს?! ვაზელინით ისეა გაპოხილი, რომ მის სკალპზე თმის ღერი აღარ ხარობს...“ („ქართულმა ოცნებამ“ შენ მოგატყუა“, 15-21 აგვისტო, გვ. 9); „ექვციც არ შეგეპაროთ, რომ ეს შემადგენლობა, თუკი, რა თქმა უნდა, გავა, უსუფოვის სამპროცენტეიანი პარლამენტის მიერ დაწყებულ ყველა ანტიქართულ საქმეს პირწმინდად დაასრულებს, - დააკანონებს ერთსქესიანთა ქორწინებას, ინცესტს, პედოფილიას და ყველა იმ გარყვნილებას, რაც დღეს დასავლეთში სუფევს...“ („შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ“, 1-7 აგვისტო, გვ.12).

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პერიოდში „ალიაში“ გამოქვეყნდა სამი სტატია მაჟორიტარ კანდიდატთა შესახებ, სადაც ჟურნალისტი უჩვეულოდ დადებითად ახასიათებდა აღნიშნულ კანდიდატებს; მაგალითად: „ცეზარ ჩოჩელის გაცნობისთანავე ტურბულენტურ ზონაში ხვდები, ის არის არაორდინალური პიროვნება, დიდი ენერჯის მატარებელი. კაცი, რომელიც თავისი ცხოვრებით ჰგავს მითოლოგიურ ცეცხლოვან ფრინველს - ფენიქსს, რომელსაც აქვს თვითწვის უნარი. რამდენჯერაც დაიფერფლა, იმდენჯერ ფერფლისგან აღსდგა.“ („იშრომა, იბრძოლა, გასამართლდა, გამართლდა და გაიმარჯვა!“, 12-18 სექტემბერი, გვ. 8); „მიზანდასახული, რისკიანი, დინამიკური, გაბედული, ოპტიმისტი, რომელიც ყველა სიძნელეში განვითარებისა და წინსვლის ახალ შესაძლებლობას ხედავს, არის მაქსიმალისტი, საქმეში ბოლომდე იხარჯება და მუდმივად კარს უღებს ცვლილებებს.“ („გოჩა ენუქიძე: „ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ და მთას დაგუბრუნებთ სიცოცხლეს!“, 19-25 სექტემბერი, გვ. 6).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ალიაში“ სისტემატურად ირღვეოდა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. გაზეთი გამოირჩევა უკიდურესად შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის ხშირი გამოყენებით პოლიტიკოსთა გაშუქებისას.

დიაგრამა 2




კვირის პალიტრა

მონიტორინგის პერიოდში „კვირის პალიტრაში“ ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაშუქებისას. თუმცა, აღნიშნული კრიტიკა ძირითადად გვხვდებოდა რესპონდენტთა განცხადებებში და არა ჟურნალისტთა ტექსტებში. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა.

„კვირის პალიტრაში“ ყველაზე აქტიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (18%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (17%) და მთავრობის (16%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა მიხეილ სააკაშვილის (54%), ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (49%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (41%), ადგილობრივი თვითმმართველობებისა (37%) და „რესპუბლიკური პარტიის“ (31%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები კი პრემიერ-მინისტრსა (6%) და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილს (6%) ერგო.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „კვირის პალიტრაში“ შეინიშნებოდა შედარებით უარყოფითი განწყობა საპალამენტო ოპოზიციისა და ექს-პრეზიდენტის მიმართ. გაზეთში დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

დიაგრამა 3



ასავალ-დასავალი

მონიტორინგის პერიოდში „ასავალ-დასავალი“ გამოირჩეოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევებით. გაზეთის ჟურნალისტები სისტემატურად იყენებდნენ უკიდურესად შეურაცხყოფელ ტერმინოლოგიას პოლიტიკოსთა გაშუქებისას. „ასავალ-დასავალში“ შეინიშნებოდა უკიდურესად უარყოფითი განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის, „რესპუბლიკური პარტიის“, ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ და საქართველოს პრეზიდენტის მიმართ.


„ასავალ-დასავალში“ ყველაზე აქტიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (26%), მიხეილ სააკაშვილისა (16%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (10%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (83%),

მიხეილ სააკაშვილისა (82%) და „რესპუბლიკური პარტიის“ (65%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები კი პარტია „ცენტრისტებს“ (11%), ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილსა (7%) და „დემოკრატიულ მოძრაობა - ერთიან საქართველოს“ (6%) ერგო.

„ასავალ-დასავალის“ ყველა ნომერში გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტების უხეში დარღვევის შემთხვევები. ჟურნალისტები სისტემატურად იყენებდნენ უკიდურესად მძიმე შეურაცხყოფელ ტერმინოლოგიას, განსაკუთრებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის, „რესპუბლიკური პარტიის“ და საქართველოს პრეზიდენტის გაშუქებისას, რომელსაც „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტი „გასაბერ კაცს“ უწოდებს (მაგალითად, სტატიაში „არა გეი-ქორწინებას!!!“, 15-21 აგვისტო, გვ. 1). „ასავალ-დასავალში“ სისტემატურად გვხვდებოდა ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობა; მაგალითად: „გიორგი მარგველაშვილს სწორედ „ჩერგოლეიშვილი და კომპანია“ მოუწოდებენ, არ დანიშნოს რეფერენდუმი! მათ უკან კი მთელი საერთაშორისო გეი-მაფია დგას!“ („ბატონო პრეზიდენტო, აირჩიეთ: საქართველო ან ჩერგოსტანი!“, 8-14 აგვისტო, გვ. 7).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ასავალ-დასავალში“ სისტემატურად ირღვეოდა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. გაზეთი გამოირჩევა მოვლენების ცალმხრივი და არაობიექტური გაშუქებით.

დიაგრამა 4



ახალი თაობა

მონიტორინგის პერიოდში „ახალ თაობაში“ ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაშუქებისას. თუმცა, აღნიშნული კრიტიკა ძირითადად გვხვდებოდა რესპონდენტთა განცხადებებში და არა ჟურნალისტთა ტექსტებში. „ახალ თაობაში“ რამდენჯერმე შეგვხვდა დაუზუსტებელი ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევა.


„ახალ თაობაში“ ყველაზე აქტიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (18%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსა“ (16%) და მთავრობის (10%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა მიხეილ სააკაშვილის (39%), ადგილობრივი თვითმმართველობებისა (38%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (32%) გაშუქებისას. დადებითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

მონიტორინგის პერიოდში „ახალ თაობაში“ არაერთხელ შეგვხვდა დაუზუსტებელი ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევა; მაგალითად: „ამბობენ, რომ სუფრას ძირითად ლეიტმოტივად ღარიბაშვილისგან მესიის შექმნის იდეა გასდევდა...“; „წყაროს ცნობით, ამის შესახებ საუბარი რესტორანში გამართულ სუფრაზეც ისმოდა.“ („ღარიბაშვილი პოლიტიკაში ბრუნდება?“, 19 ივლისი, გვ.4); „დაუზუსტებელი ინფორმაციით, სია შედგენილი იყო, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა შემდგენლებს თავზე გადაახია.“; „გავრცელებული ინფორმაციით, სიაში შეიყვანენი ეროვნული ფორუმის აწ უკვე ყოფილ წევრს...“; „გავრცელებული ინფორმაციით, სიაში საიმედო ადგილას იქნება ზაქარია ქუცნაშვილი...“; „გავრცელებული ინფორმაციით, მაჟორიტარებთან დაკავშირებით „ქართული ოცნება“ რესპუბლიკელებთანაც აწარმოებდა მოლაპარაკებას.“ („სიის მიღმა დარჩენილი მეოცნებეები სკანდალური განცხადებით იმუქრებიან“, 12 ივლისი, გვ.3).

აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის მეორე პერიოდში (11 ივლისი - 30 აგვისტო) „ახალი თაობის“ რვა ნომერში შეგვხვდა საკმაოდ ვრცელი ინტერვიუები ერთ კონკრეტულ პირთან, „ჩვენი სამშობლოს“ წევრ ზვიად ჩიტიშვილთან. აღნიშნული რესპონდენტი გამოირჩეოდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მწვავე კრიტიკით (მაგალითად, „ნაცმოძრაობის აკრძალვის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება იწყება“, 13 ივლისი, გვ. 4; „საკაშვილის ფიტულებს ყველა რეგიონში დაწვავთ“, 1 აგვისტო, გვ. 5).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ახალ თაობაში“ შეინიშნებოდა შედარებით უარყოფითი განწყობა საპარლამენტო ოპოზიციისა და ექს-პრეზიდენტის მიმართ. მონიტორინგის პერიოდში არაერთხელ შეგვხვდა დაუზუსტებელი ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევა.

დიაგრამა 4



გურია news


მონიტორინგის პერიოდში „გურია news“-ში მცირედით ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები ადგილობრივი ხელისუფლებისა და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ გაშუქებისას. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა. გაზეთში ხშირად გვხვდებოდა ფასიანი, სარეკლამო სტატიები.

„გურია news“-ში ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (21%), ადგილობრივი ხელისუფლებისა (15%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (10%) საქმიანობა გაშუქდა.

უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (18%), „რესპუბლიკური პარტიისა“ (11%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (11%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები კი „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოსა“ (14%) და ადგილობრივ ხელისუფლებას (11%) ერგო.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „გურია news“-ში მცირედით ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები მმართველი გუნდის, ხოლო უარყოფითი ტონის მაჩვენებლები საპარლამენტო ოპოზიციისა და ექს-პრეზიდენტის გაშუქებისას. თუმცა, აღნიშნული კრიტიკა გვხვდებოდა რესპონდენტთა განცხადებებში და არა ჟურნალისტთა ტექსტებში. გაზეთში დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

დიაგრამა 5



ქრონიკა +

მონიტორინგის პერიოდში „ქრონიკა +“-ში ცხადად შეინიშნებოდა უარყოფითი განწყობა მმართველი გუნდისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მიმართ. აღნიშნული სუბიექტების გაშუქებისას ხშირად ირღვეოდა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. „ქრონიკა +“-ში არაერთხელ შეგვხვდა გადაუმოწმებელი ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევა.

„ქრონიკა +“-ში ყველაზე აქტიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (18%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსა“ (16%) და მთავრობის (15%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა მთავრობის (52%), ადგილობრივი თვითმმართველობების (46%), ბიძინა ივანიშვილისა (43%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (32%) გაშუქებისას. დადებითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.


მონიტორინგის პერიოდში „ქრონიკა +“-ში გვხვდებოდა ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება სახვადასხვა სუბიექტის, განსაკუთრებით მმართველი გუნდის წარმომადგენლების გაშუქებისას. აღსანიშნავია, რომ „ქრონიკა +“-ის თითქმის ყველა ნომერში სტატიები დაეთმო ერთი კონკრეტული პირის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის, იოსებ გოგაშვილის კრიტიკას. აღნიშნული სუბიექტის კრიტიკისას ხშირად გვხვდებოდა შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენება ჟურნალისტის მხრიდან; მაგალითად, სტატიებში „სოსო მეტსახელად

„ანტიკოტა“ (28/მაისი/2016, გვ. 7), „იოსებ, სპეცჯგუფები გადაგიყოლებს შენ“ (5/ივლისი/2016, გვ. 7), „სოსოს სიზმარი“ (27 სექტემბერი, გვ.7), „ქვეყანა სადაც „ანტიკოტა“ არჩვენებს გვიტარებს...“ (4 ოქტომბერი, გვ.7), „ქვეყნის კრიზისსაც სოსო ჰქვია!“ (18 ოქტომბერი, გვ.7).

მონიტორინგის პერიოდში ჟურნალისტის მხრიდან დიად გამოხატული დადებითი განწყობა გამოვლინდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, ლევან ვაშლომიძის გაშუქებისას. სტატიაში „ბათუმში სკამები ამოიხნიქება, ანუ მიმას ტესტი N1“ (5/ივლისი/2016 გვ.15) ჟურნალისტი წერს: „მათ ფონზე ლევან ვაშლომიძე მართლაც საკმაოდ აკადემიურად და თავდაჯერებულად გამოიყურება, ამომრჩეველს კი, როგორც ჩანს, ჩაზნექილი სკამები კი არა, ხელისუფლებაში სწორედ ასეთი - თავდაჯერებული და შენების შემძლე ადამიანები მოენატრა“.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ქრონიკა +“-ში შეინიშნება უარყოფითი განწყობა მმართველი გუნდის მიმართ. ხშირად გვხვდება ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები.

დიაგრამა 6



დასკვნა

მონიტორინგის პერიოდში შერჩეული გამოცემები ყველაზე აქტიურად მმართველი გუნდისა და საპარლამენტო ოპოზიციის საქმიანობას აშუქებდნენ. სხვა პოლიტიკური პარტიების განსაკუთრებულად აქტიური გაშუქება არც ერთ გამოცემაში არ გამოვლენილა. მონიტორინგისთვის შერჩეულ შვიდივე გაზეთში მეტ-ნაკლებად შეინიშნებოდა დადებითი თუ უარყოფითი განწყობა სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მიმართ. სამ გამოცემაში გვხვდებოდა შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები ჟურნალისტთა მხრიდან. გვხვდებოდა ინფორმაციის საეჭვო წყაროებზე დაყრდნობით მომზადებული სტატიებისა და ჟურნალისტთა მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობის შემთხვევები.

არჩევნების მეორე ტურის პერიოდში გამოცემები ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ მაჟორიტარ კანდიდატებს და ძირითადად კვლავ პოლიტიკურ პარტიებს აშუქებდნენ.

არჩევნების შედეგების გაშუქებისას შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას იყენებდნენ „ალიას“ და „ასავალ-დასავალს“ ჟურნალისტები. პრესაში ნაკლებად შუქდებოდა არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებული პროცედურები.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საარჩევნო პერიოდში ქართული პრესის ძირითად გამოწვევებს წარმოადგენდა ჟურნალისტთა მხრიდან სუბიექტური დამოკიდებულება სხვადასხვა პოლიტიკური ძალის მიმართ, შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების სიხშირე პოლიტიკოსთა გაშუქებისას, დაუსაბუთებელი მსჯელობა და მოვლენების ცალმხრივი გაშუქება.

რეკომენდაციები

- წინასაარჩევნო პერიოდში პრესამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს პოლიტიკური პარტიების კონკრეტული საარჩევნო პროგრამების გაშუქებასა და ანალიზს;
- სასურველია, რომ გამოცემებმა ცალკეულ სტატიებში წარმოადგინონ განსხვავებული მოსაზრებები. განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტული პიროვნების მიმართ მძიმე ბრალდება ისმის;
- ჟურნალისტებმა საკუთარი მოსაზრებებისა თუ შეფასებების გაკეთება უნდა მოახერხონ შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენების გარეშე;
- ჟურნალისტის მსჯელობა და დასკვნები უნდა ეფუძნებოდეს ინფორმაციის სანდო წყაროს და ჯეროვნად გადამოწმებულ ფაქტებს. განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც კონკრეტული პიროვნების მიმართ მძიმე ბრალდება ისმის;
- კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები მკაფიოდ უნდა იყოს გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან.

ონლაინ მედიის მონიტორინგი

20 მაისი - 2 ნოემბერი, 2016

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა“ ჩაატარა მედიამონიტორინგი ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში. მონიტორინგი განხორციელდა 2016 წლის 20 მაისიდან 2 ნოემბრის ჩათვლით და მოიცვა 17 ონლაინ გამოცემა: allnews.ge, ambebi.ge, droni.ge, etanews.ge, info9.ge, interpressnews.ge, marshalpress.ge, netgazeti.ge, newposts.ge, news.ge, palitratv.ge, pirveli.com.ge, presa.ge, reportiori.ge, tabula.ge, civil.ge, და dfwatch.net.

ძირითადი მიგნებები

- ონლაინ მედიაში ყველაზე აქტიურად შუქდებოდა პოლიტიკური პარტიები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;
- მონიტორინგისთვის შერჩეული 16 ვებგვერდიდან 10-ზე მეტ-ნაკლებად ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ხოლო 3 ვებგვერდზე ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები მმართველი გუნდის გაშუქებისას;
- 8 ვებგვერდზე ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები მმართველი გუნდის გაშუქებისას. მონიტორინგისთვის შერჩეულ არც ერთ ვებგვერდზე არ გამოვლენილა დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებისას;
- ონლაინ მედიაში შეინიშნება კრიტიკული ანალიზის ნაკლებობა. საკმაოდ იშვიათად გვხვდება ჟურნალისტთა მსჯელობა და საკითხების სიღრმისეული ანალიზი. ვებგვერდები, უმეტეს შემთხვევებში, მხოლოდ პოლიტიკოსთა განცხადებებსა და სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენელთა საქმიანობას აშუქებენ;
- ვებგვერდების უმეტესობა მეტ-ნაკლებად იცავს ჟურნალისტურ სტანდარტებსა და ეთიკის ნორმებს. თითქმის არ გვხვდება ჟურნალისტთა მხრიდან შეურაცხმყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები;
- ონლაინ მედიის სერიოზულ გამოწვევად რჩება სარედაქციო მასალებისა და კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების არასათანადოდ გამიჯვნა;
- მონიტორინგის პერიოდში სისტემატურად გვხვდებოდა შემთხვევები, როდესაც ვებგვერდები სათანადო მითითების გარეშე აქვეყნებდნენ სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ვებგვერდზე განთავსებულ სტატიებს;
- არჩევნების მეორე ტურის პერიოდში ონლაინ მედიაში ნაკლები ყურადღება ეთმობოდა კონკრეტულ კანდიდატებს და ძირითადი აქცენტი კვლავ პოლიტიკურ პარტიებზე კეთდებოდა;
- მეორე ტურის პერიოდში დამოუკიდებელი მაჟორიტარი კანდიდატის (ცეზარ ჩოჩელის) ღია მხარდაჭერა, ხოლო მისი მოწინააღმდეგის (დიმიტრი ხუნდაძის) დისკრიმინაციის მცდელობა ცალსახად შეინიშნებოდა ვებგვერდებზე droni.ge და presa.ge.


მონიტორინგის პერიოდში allnews.ge-ზე შეინიშნებოდა დადებითი განწყობა მმართველი გუნდის, ხოლო შედარებით უარყოფითი განწყობა საპარლამენტო ოპოზიციის მიმართ. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები ვებგვერდზე არ გამოვლენილა.

allnews.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (22%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (17%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (13%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა პარტია „ცენტრისტების“ (58%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (23%), ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (23%) და „ლეიბორისტული პარტიის“ (21%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი პრემიერ-მინისტრს (34%) ერგო.

საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მიმართ ვებგვერდზე შეინიშნებოდა დადებითი განწყობა როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი ანალიზის შედეგად. allnews.ge განსაკუთრებულად აქტიურად აშუქებდა აღნიშნული პარტიის წინასაარჩევნო დაპირებებს; მაგალითად: „დაპირებები, რომლის შესრულებას „ქართული ოცნება“ მომავალი 4 წლის განმავლობაში გვპირდება“ (9 სექტემბერი); „მომდევნო 4 წლის განმავლობაში დაგეგმილია 50 საავტომობილო გვირაბის მშენებლობა“ (17 სექტემბერი).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში allnews.ge-ზე შეინიშნებოდა შედარებით დადებითი განწყობა მმართველი გუნდის მიმართ.

დიაგრამა 1



მონიტორინგის პერიოდში ambebi.ge-ზე შედარებით ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაშუქებისას. ვებგვერდზე შეგვხვდა რამდენიმე სტატია, რომლებშიც დარღვეული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.


ambebi.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (24%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსა“ (18%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (16%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა „ცენტრისტების“ (61%), ადგილობრივი თვითმმართველობების (26%), მიხეილ სააკაშვილისა (25%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (19%) გაშუქებისას. დადებითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

ambebi.ge ვრცლად აშუქებდა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წინასაარჩევნო დაპირებებს (მაგალითად, სტატიაში: „რას შეცვლის „ქართული ოცნება“ თუ კვლავ ხელისუფლებაში დარჩება - მმართველი გუნდის 6 მთავარი დაპირება“, 9 სექტემბერი). აღსანიშნავია, რომ სხვა პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო დაპირებებს ვებგვერდი ნაკლებ გაშუქებას უთმობდა.

მონიტორინგის პერიოდში ambebi.ge-ზე შეგვხვდა სტატია, რომელშიც უკიდურესად უარყოფითად იყო წარმოჩენილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. სტატიაში „ნაციონალური მოძრაობის“ ნეკროლოგი“ (1 ნოემბერი) ავტორი იყენებდა შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას აღნიშნული პარტიის გაშუქებისას. აღსანიშნავია, რომ სტატიას მითითებული ჰქონდა, რომ მომზადებული იყო ambebi.ge-ს მიერ. ასევე, ambebi.ge-ზე გამოქვეყნდა სარეკლამო სტატია („როგორ წაართვა კუხერაშვილმა „სენტა პეტროლიუმი“ მფლობელებს - დეტალები გახმაურებული საქმის სასამართლო პროცესიდან“, 19 მაისი), რომელშიც ასევე უხეშად იყო დარღვეული ჟურნალისტური ეთიკის ნორმები. აღნიშნულ სტატიას მითითებული ჰქონდა, რომ წარმოადგენდა სარეკლამო სტატიას და არა რედაქციის ნამუშევარს, თუმცა მედიასაშუალებამ უნდა უზრუნველყოს, რომ მის ვებგვერდზე განთავსებული მასალა შეესაბამებოდეს ჟურნალისტურ სტანდარტებსა და ეთიკის ნორმებს.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ambebi.ge-ზე შეინიშნებოდა უარყოფითი განწყობა საპარლამენტო ოპოზიციის მიმართ. ვებგვერდზე შეგვხვდა რამდენიმე სტატია, რომელშიც დარღვეული იყო ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

დიაგრამა 2




მონიტორინგის პერიოდში civil.ge-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ვებგვერდზე მაღალ დონეზეა დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. civil.ge გამოირჩევა საკითხების სიღრმისეული ანალიზით და ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნებით ცალკეულ სტატიებში.

civil.ge-ზე ყველაზე აქტიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (18%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (16%), პრემიერ-მინისტრისა (14%) და მთავრობის (11%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილისა (35%) და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (22%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი პრემიერ-მინისტრს (13%) ერგო.

civil.ge აქტიურად აშუქებდა არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს. ვებგვერდი მკითხველს სთავაზობდა დეტალურ ინფორმაციას საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით (მაგალითად, სტატიებში „CEC Summarizes Proportional, Majoritarian MP election Results“ (24 ოქტომბერი), ან „Preliminary Runoff Results Give Big Lead to GDDG“ (31 ოქტომბერი).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ civil.ge აქტიურად და მიუკერძოებლად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.

დიაგრამა 3




dfwatch.net

მონიტორინგის პერიოდში dfwatch.net-ზე მცირედით ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები საპარლამენტო ოპოზიციისა და ექს-პრეზიდენტის გაშუქებისას. თუმცა, აღნიშნული კრიტიკა გვხვდებოდა რესპონდენტთა განცხადებებში და არა ჟურნალისტთა ტექსტებში. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები ვებგვერდზე არ გამოვლენილა.

dfwatch.net-ზე ყველაზე აქტიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (15%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსა“ (15%) და მთავრობის (14%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა მიხეილ სააკაშვილის (36%), ადგილობრივი თვითმმართველობების (34%), ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (30%), „ცენტრისტების“ (26%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (20%) და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (20%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი პრემიერ-მინისტრს (16%) ერგო.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ dfwatch.net ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ვებგვერდზე დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

დიაგრამა 4



droni.ge

მონიტორინგის პერიოდში droni.ge-ზე ცალსახად შეინიშნებოდა უაღრესად დადებითი განწყობა მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატის, ცეზარ ჩოჩელის, ხოლო უკიდურესად უარყოფითი განწყობა არჩევნების მეორე ტურში მისი მოწინააღმდეგის, დიმიტრი ხუნდაძის გაშუქებისას. აღნიშნული სუბიექტების გაშუქებისას ირღვეოდა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. სტატიების დიდი ნაწილი droni.ge-ზე რეკლამის ნიშნით ქვეყნდებოდა.


droni.ge-ზე ყველაზე აქტიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (20%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსა“ (13%) და აჭარის მთავრობის (10%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილისა (48%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (34%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი ცეზარ ჩოჩელს (40%) ერგო.

მონიტორინგის პერიოდში droni.ge-ზე შეგვხვდა არაერთი სტატია, სადაც უხეშად ირღვეოდა ჟურნალისტური ეთიკის ნორმები. მაგალითად, 22 ივნისს გამოქვეყნდა საკმაოდ ვრცელი სტატია („კეზერაშვილის წართმეული მილიონები და აღუდგენელი სამართლიანობა - „სენტა ჯგუფის“ საქმის განხილვა გრძელდება“), რომელშიც ცალმხრივად იყო წარმოდგენილი საკმაოდ მძიმე ბრალდებები ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ. დაუსაბუთებელი მსჯელობა გხვდებოდა ჟურნალისტის ტექსტებშიც.

droni.ge-ზე ცხადად შეინიშნებოდა მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატის, ცეზარ ჩოჩელის, მხარდაჭერა. მონიტორინგის პერიოდში შეგვხვდა არაერთი სტატია, სადაც აღნიშნული კანდიდატი უაღრესად დადებითად, ხოლო მისი მოწინააღმდეგე კი უკიდურესად უარყოფითად იყო წარმოჩენილი. აღნიშნულ სტატიებში გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები (მაგალითად, სტატიებში „ცეზარ ჩოჩელის გამარჯვებით ჩვენ - ხალხი გავიმარჯვებთ“ - დიდი შეხვედრა წეროვანში“, 3 ოქტომბერი; „პოლიტიკური ალიყური ხუნდაძეს: რაში გაიცვალა „ქართული ოცნების“ პარტიული ხმები მცხეთაში?“, 26 ოქტომბერი).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ droni.ge ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევით აშუქებდა როგორც წინასაარჩევნო, ასევე არჩევნების მეორე ტურის პროცესს. ვებგვერდზე ცხადად შეინიშნებოდა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატის, დიმიტრი ხუნდაძის დისკრედიტაციის მცდელობა.

დიაგრამა 5



etanews.ge

მონიტორინგის პერიოდში etanews.ge-ზე ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები მმართველი გუნდის, ხოლო უარყოფითი ტონის მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებისას. ვებგვერდზე შეგვხვდა არაერთი სტატია, რომლებიც არ იყო მომზადებული რედაქციის მიერ, თუმცა მითითებული არ ჰქონია თუ საიდან იყო აღნიშნული სტატიები მოპოვებული.


etanews.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (29%), ადგილობრივი თვითმმართველობებისა (22%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (13%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა „ლეიბორისტული პარტიის“ (52%), ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (52%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (39%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები კი ადგილობრივ თვითმმართველობებს (51%), „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ (34%) და მთავრობას (32%) ერიგო.

მონიტორინგის პერიოდში etanews.ge-ზე შეგვხვდა რამდენიმე სტატია, რომლებიც, სავარაუდოდ, არ იყო რედაქციის მიერ მომზადებული, თუმცა მითითებული არ ჰქონია თუ საიდან იყო აღნიშნული სტატიები მოპოვებული. მაგალითად, 27 ივლისს interpersnews.ge-ზე და etanews.ge-ზე ერთდროულად გამოქვეყნდა იდენტური სტატია

ბორჯომში ტროტუარების მოწყობის დასრულებასთან დაკავშირებით. interpressnews.ge-ზე სტატიას მითითებული ჰქონდა, რომ ის მომზადებული იყო კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში, ხოლო etanews.ge-ზე განთავსებულ სტატიას მსგავსი მინიშნება არ ჰქონია. 29 აგვისტოს მონიტორინგისთვის შერჩეულმა ექვსმა ვებგვერდმა გამოაქვეყნა სტატია თავდაცვის მინისტრის ავღანეთში ვიზიტის შესახებ. მათგან ოთხს ეს ინფორმაცია პრაქტიკულად უცვლელად ჰქონდა აღებული თავდაცვის სამინისტროს ვებგვერდიდან, ხოლო interpressnews.ge-ს და etanews.ge-ს - მცირე ცვლილებით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი ვებგვერდის ეს სტატია აბსოლუტურად იდენტურია, სათაურების ჩათვლით. ამ ორი ვებგვერდიდან არც ერთს არ ჰქონდა მითითებული აღნიშნული სტატია რედაქციის მიერ იყო მომზადებული თუ რაიმე სხვა წყაროდან მოპოვებული.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ etanews.ge-ზე კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები არ არის გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან. ვებგვერდზე შეინიშნება დადებითი განწყობა მმართველი გუნდის მიმართ.

დიაგრამა 6



info9.ge

მონიტორინგის პერიოდში info9.ge-ზე ცხადად შეინიშნებოდა დადებითი განწყობა მმართველი გუნდის, ხოლო უარყოფითი განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ. ვებგვერდზე ხშირად გვხვდებოდა სტატიები, რომლებიც არ იყო რედაქციის მიერ მომზადებული, თუმცა მითითებული არ ჰქონდა თუ საიდან იყო აღნიშნული მასალა მოპოვებული.

info9.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (33%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსა“ (17%) და პრემიერ-მინისტრის (10%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა მიხეილ სააკაშვილის (63%), „ლეიბორისტული პარტიის“ (55%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (48%) და ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (38%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები კი ადგილობრივ თვითმმართველობებს (42%), აჭარის მთავრობას (29%), „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ (27%), მთავრობასა (27%) და პრემიერ-მინისტრს (23%) ერგო.


მონიტორინგის პერიოდში info9.ge-ზე არაერთხელ გამოქვეყნდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ვებგვერდებზე განთავსებული მასალა, რომლებსაც მითითებული არ ჰქონდა თუ საიდან იყო მოპოვებული. მაგალითად, info9.ge ერთ-ერთია იმ ხუთი ვებგვერდიდან, რომლებმაც 12 ოქტომბერს უცვლელად გამოაქვეყნეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია შსს მინისტრის მიერ გორში სახანძრო-სამაშველო სამსახურის განახლებული შენობის გახსნის შესახებ. ამ ხუთი ვებგვერდიდან არც ერთს არ მიუთითებია, რომ მალასა სამინისტროს ვებგვერდიდან აიღო. აღსანიშნავია, რომ იგივე სტატია გამოაქვეყნა interpressnews.ge-მ, რომელსაც მითითებული ჰქონდა, რომ აღნიშნული სტატია მომზადებული იყო კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში.

მსგავსი მაგალითი გამოვლინდა ნაძალადევის რაიონში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის შესახებ მომზადებულ სტატიაშიც. აღნიშნული სტატია იდენტური ტექსტითა და სათაურით გამოაქვეყნეს ვებგვერდებმა info9.ge, pirveli.com.ge, newposts.ge და interpressnews.ge. მხოლოდ interpressnews.ge-ს ჰქონდა მითითებული, რომ აღნიშნული სტატია მომზადებული იყო კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში.

მონიტორინგის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ info9.ge-ზე სარედაქციო მასალები არ არის გამიჯნული კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიებისგან. ვებგვერდზე შეინიშნება დადებითი განწყობა მმართველი გუნდის, ხოლო უარყოფითი განწყობა საპარლამენტო ოპოზიციისა და ექს-პრეზიდენტის მიმართ.

დიაგრამა 7



interpressnews.ge

მონიტორინგის პერიოდში interpressnews.ge-ზე შედარებით ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები მმართველი გუნდის, ხოლო უარყოფითი ტონის მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გაშუქებისას. ვებგვერდზე არაერთხელ შეგვხვდა სტატია, რომელიც არ იყო რედაქციის მიერ მომზადებული, თუმცა მითითებული არ ჰქონდა თუ საიდან იყო აღნიშნული მასალები მოპოვებული.

interpressnews.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (27%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსა“ (16%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (9%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა მიხეილ სააკაშვილის (46%), „ცენტრისტების“ (45%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (32%) და „ქართული პარტიის“ (32%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები კი ადგილობრივ თვითმმართველობებს (32%), „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოსა“ (23%) და მთავრობას (21%) ერგო.


მონიტორინგის პერიოდში interpressnews.ge-ზე შეგვხვდა რამდენიმე სტატია (მაგალითად, „ვალერი გელაშვილი მოსახლეობასთან შეხვედრებს აგრძელებს“, 24 ოქტომბერი; „ზაზა გაბუნია თემქასა და სანზონაში შეხვედრებს აგრძელებს“, 24 ოქტომბერი; „ვალერი გელაშვილი და სოზარ სუბარი ხაშურში მცხოვრებ დევნილებს შეხვდნენ“, 25 ოქტომბერი), რომლებიც იდენტური ტექსტით გამოქვეყნდა ვებგვერდზე presa.ge. აღსანიშნავია, რომ presa.ge-ზე ეს სტატიები გამოქვეყნდა რეკლამის ნიშნით, ხოლო interpressnews.ge-ზე აღნიშნულ სტატიებს მსგავსი მინიშნება არ ჰქონიათ.

აღსანიშნავია, რომ interpressnews.ge ერთ-ერთია მონიტორინგისთვის შერჩეული 5 ვებგვერდიდან, რომელმაც უცვლელად გამოქვეყნა 2016 წლის 5 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული მასალა ძალოვანი უწყების თანამშრომლების მიერ ქველმოქმედების მიზნით სისხლის გაღების შესახებ. ამ ხუთი ვებგვერდიდან არც ერთს არ მიუთითებია, რომ მალასა მოვოპებული იყო სამინისტროს ვებგვერდიდან.

interpressnews.ge ხშირ შემთხვევებში უთითებს კომერციული ხელშეკრულებების ფარგლებში მომზადებულ სტატიებს. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მითითება არ არის ნებისმიერი მკითხველისთვის მარტივად გასაგები, რადგან მითითებები შესრულებულია ლათინური სიმბოლოებით (სიმბოლო „NS“ რომელთან კურსორის მიახლოების შედეგად იწერება „News from Subscriber“). უმჯობესია იქნება, რომ ვებგვერდმა მსგავს სტატიებს დაურთოს ისეთი მინიშნებები, რომლებიც უფრო მარტივად გასაგები იქნება მკითხველისთვის.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ interpressnews.ge-ზე კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები სათანადოდ არ არის გამიჯნული სარედაქციო მასალებისგან. ვებგვერდზე ჭარბობს დადებითი ტონის მაჩვენებლები მმართველი გუნდის გაშუქებისას.

დიაგრამა 8



marshalpress.ge

მონიტორინგის პერიოდში marshalpress.ge-ზე ცხადად შეინიშნებოდა დადებითი განწყობა მმართველი გუნდისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის, ხოლო უკიდურესად უარყოფითი განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ. ვებგვერდზე გვხვდებოდა ჟურნალისტური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები. marshalpress.ge-ზე შეგვხვდა არაერთი სტატია, რომლებიც არ

იყო მომზადებული რედაქციის მიერ, თუმცა არ ჰქონდა მითითებული თუ საიდან იყო აღნიშნული სტატიები მოპოვებული.


marshalpress.ge-ზე ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (19%), მთავრობისა (18%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (14%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა მიხეილ სააკაშვილის (74%), „ლეიბორისტული პარტიის“ (72%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (71%), „ცენტრისტებისა“ (71%) და ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (61%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები კი ადგილობრივ თვითმმართველობებს (50%), პრემიერ-მინისტრს (34%), მთავრობასა (33%) და ბიძინა ივანიშვილს (31%) ერგო.

marshalpress.ge-ს სტატიებში გვხვდებოდა დაუსაბუთებელი მსჯელობა და შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები. აღნიშნული დარღვევები ძირითადად გვხვდებოდა საპარლამენტო ოპოზიციის, ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის, პაატა ბურჭულაძისა და პრეზიდენტის გაშუქებისას (მაგალითად, სტატიებში: „მარგველაშვილი რეფერენდუმის ჩატარებას არ აპირებს - პრეზიდენტმა ხალხის აზრი დაიკიდა“, 9 აგვისტო; „იავნანას“ ფონდიდან ნაყიდი ძვირადღირებული ჯიპები და დაკარგული 5 მილიონი“, 25 ივლისი).

marshalpress.ge ერთ-ერთია იმ ხუთი ვებგვერდიდან, რომლებმაც მონიტორინგის პერიოდში უცვლელად გამოაქვეყნეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია აჭარის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ქველმოქმედების მიზნით სისხლის გაღების შესახებ. ამ ხუთი ვებგვერდიდან არც ერთს არ მიუთითებია, რომ მალასა მოვობებული იყო სამინისტროს ვებგვერდიდან. აღსანიშნავია, რომ იგივე სტატია გამოაქვეყნა interpressnews.ge-მ, რომელსაც მითითებული ჰქონდა, რომ აღნიშნული სტატია მომზადებული იყო კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ marshalpress.ge-ზე ცხადად შეინიშნება უარყოფითი განწყობა საპარლამენტო ოპოზიციისა და ექს-პრეზიდენტის, ხოლო დადებითი განწყობა მმართველი გუნდის მიმართ. ვებგვერდზე არ არის გამოქვეყნებული სარედაქციო მასალები კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიებისგან.

დიაგრამა 9



netgazeti.ge


მონიტორინგის პერიოდში netgazeti.ge-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ვებგვერდი მაღალ დონეზე იცავს ჟურნალისტურ სტანდარტებსა და ეთიკის ნორმებს. აღსანიშნავია, რომ netgazeti.ge მკაფიოდ მიჯნავს კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებულ სტატიებს სარედაქციო მასალებისგან.

netgazeti.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (19%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსა“ (14%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (13%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა „ცენტრისტების“ (31%), ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (23%), ადგილობრივი თვითმმართველობების (22%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (22%) და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის (21%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი პრემიერ-მინისტრს (18%) ერგო.

მონიტორინგის პერიოდში netgazeti.ge მკითხველს სთავაზობდა დეტალურ ინფორმაციას საარჩევნო პროცედურების შესახებ. ვებგვერდმა აქტიურად გააშუქა როგორც საპარლამენტო არჩევნების დღე, ასევე არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებული საკითხები (მაგალითად: „არჩევნების მეორე ტურის შედეგები [ინფორგრაფიკა]“, 31 ოქტომბერი).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ netgazeti.ge-მ აქტიურად და მიუკერძოებლად გააშუქა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. ვებგვერდი გამოირჩევა საკითხების სიღრმისეული ანალიზითა და ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნებით ცალკეულ სტატიებში.

დიაგრამა 10



newposts.ge

მონიტორინგის პერიოდში newposts.ge-ზე ჭარბობდა დადებითი ტონის მაჩვენებლები მმართველი გუნდის გაშუქებისას. ვებგვერდზე ხშირად გვხვდებოდა სტატიები, რომლებიც არ იყო რედაქციის მიერ მომზადებული, თუმცა მითითებული არ ჰქონდა თუ საიდან იყო აღნიშნული მასალები მოპოვებული.

newposts.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (28%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსა“ (15%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (12%) საქმიანობა გაშუქდა. დადებითი ტონის მაღალი პროცენტული


მაჩვენებლები გამოვლინდა პრემიერ-მინისტრის (31%), ადგილობრივი თვითმმართველობების (30%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (28%) და მთავრობის (20%) გაშუქებისას. უარყოფითი ტონის განსაკუთრებულად მაღალი მაჩვენებლები მონიტორინგის არც ერთი სუბიექტის გაშუქებისას არ გამოვლენილა.

მონიტორინგის პერიოდში newposts.ge-ზე არაერთხელ გამოქვეყნდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ვებგვერდებზე განთავსებული მასალა, რომლებსაც მითითებული არ ჰქონდა თუ საიდან იყო მოპოვებული. მაგალითად, newposts.ge ერთ-ერთია იმ ხუთი ვებგვერდიდან, რომლებმაც 12 ოქტომბერს უცვლელად გამოაქვეყნეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია შსს მინისტრის მიერ გორში სახანძრო-სამაშველო სამსახურის განახლებული შენობის გახსნის შესახებ. ამ ხუთი ვებგვერდიდან არც ერთს არ მიუთითებია, რომ მალასა მოვოპებული იყო სამინისტროს ვებგვერდიდან. აღსანიშნავია, რომ იგივე სტატია გამოაქვეყნა interpressnews.ge-მ, რომელსაც მითითებული ჰქონდა, რომ აღნიშნული სტატია მომზადებული იყო კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში.

მსგავსი მაგალითი გამოვლინდა ნაძალადევის რაიონში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის შესახებ მომზადებულ სტატიაშიც. აღნიშნული სტატია იდენტური ტექსტითა და სათაურით გამოაქვეყნეს ვებგვერდებმა info9.ge, pirveli.com.ge, newposts.ge და interpressnews.ge. მხოლოდ interpressnews.ge-ს ჰქონდა მითითებული, რომ აღნიშნული სტატია მომზადებული იყო კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ newposts.ge-ზე სარედაქციო მასალები არ არის გამიჯნული კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიებისგან. ვებგვერდზე შეინიშნება დადებითი განწყობა მმართველი გუნდის მიმართ.

დიაგრამა 11



news.ge


მონიტორინგის პერიოდში news.ge-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები ვებგვერდზე არ გამოვლენილა.

news.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (22%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (17%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (12%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული

მაჩვენებლები გამოვლინდა ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილისა (51%) და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (41%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები კი პრემიერ-მინისტრსა (27%) და აჭარის მთავრობას (21%) ერგო.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ news.ge-მ აქტიურად და მიუკერძოებლად გააშუქა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. ვებგვერდზე დაცულია ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები.

დიაგრამა 12




palitratv.ge

მონიტორინგის პერიოდში palitratv.ge-ზე არ შეინიშნებოდა დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ, თუმცა ვებგვერდზე მცირედით ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გაშუქებისას. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები არ გამოვლენილა.

palitratv.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობის (23%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (16%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (12%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (23%) და ადგილობრივი თვითმმართველობების (19%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი პრემიერ-მინისტრს (15%) ერგო.

მონიტორინგის პერიოდში palitratv.ge-ზე გვხვდებოდა სპეციალური, ვებგვერდის მიერ მომზადებული, პოლიტიკური ხასიათის პროგრამები და ასევე, ამონარიდები სხვადასხვა პროგრამიდან. აღნიშნული პროგრამებსა და ამონარიდებში რესპონდენტთა შერჩევისას დაცული იყო ბალანსი და გვხვდებოდა როგორც მმართველი პარტიის, ასევე საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელთა საკმაოდ ხანგრძლივი გამოსვლები.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ palitratv.ge-მ აქტიურად და მიუკერძოებლად გააშუქა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. ვებგვერდზე შედარებით ჭარბობდა საპარლამენტო ოპოზიციის კრიტიკა.



pirveli.com.ge

მონიტორინგის პერიოდში pirveli.com.ge-ზე ცხადად შეინიშნებოდა დადებითი განწყობა მმართველი გუნდის, ხოლო უარყოფითი განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ. ვებგვერდზე ხშირად გვხვდებოდა სტატიები, რომლებიც არ იყო რედაქციის მიერ მომზადებული, თუმცა მითითებული არ ჰქონდა თუ საიდან იყო აღნიშნული მასალები მოპოვებული.

pirveli.com.ge-ზე ყველაზე აქტიურად მთავრობისა (29%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (21%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა მიხეილ სააკაშვილის (72%), „ლეიბორისტული პარტიის“ (69%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ (64%) და ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (48%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები კი ადგილობრივ თვითმმართველობებს (46%), აჭარის მთავრობას (44%), საქართველოს მთავრობას (30%) და „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ (24%) ერგო.


მონიტორინგის პერიოდში pirveli.com.ge-ზე არაერთხელ გამოქვეყნდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ვებგვერდებზე განთავსებული მასალა, რომლებსაც მითითებული არ ჰქონდა თუ საიდან იყო მოპოვებული. მაგალითად, pirveli.com.ge ერთ-ერთია იმ ხუთი ვებგვერდიდან, რომლებმაც მონიტორინგის მოცემულ პერიოდში უცვლელად გამოაქვეყნეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია აჭარის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ქველმოქმედების მიზნით სისხლის გაღების შესახებ. ამ ხუთი ვებგვერდიდან არც ერთს არ მიუთითებია, რომ მალასა მოვოპებული იყო სამინისტროს ვებგვერდიდან. აღსანიშნავია, რომ იგივე სტატია გამოაქვეყნა interpressnews.ge-მ, რომელსაც მითითებული ჰქონდა, რომ აღნიშნული სტატია მომზადებული იყო კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში.

მსგავსი მაგალითი გამოვლინდა ნაძალადევის რაიონში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის შესახებ მომზადებულ სტატიაშიც. აღნიშნული სტატია იდენტური ტექსტითა და სათაურით გამოაქვეყნეს ვებგვერდებმა pirveli.com.ge, newposts.ge, info9.ge და interpressnews.ge. მხოლოდ interpressnews.ge-ს ჰქონდა მითითებული, რომ აღნიშნული სტატია მომზადებული იყო კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ pirveli.com.ge-ზე სარედაქციო მასალები არ არის გამიჯნული კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიებისგან. ვებგვერდზე

შეინიშნება დადებითი განწყობა მმართველი გუნდის, ხოლო უარყოფითი განწყობა საპარლამენტო ოპოზიციისა და ექს-პრეზიდენტის მიმართ.

დიაგრამა 14



presa.ge

მონიტორინგის პერიოდში presage-ზე ცხადად შეინიშნებოდა უარყოფითი განწყობა მმართველი გუნდისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მიმართ. აღნიშნული სუბიექტების გაშუქებისას ხშირად ირღვეოდა ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები. presage-ზე ცალსახად შეინიშნებოდა უაღრესად დადებითი განწყობა მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატის, ცეზარ ჩოჩელის, ხოლო უკიდურესად უარყოფითი განწყობა არჩევნების მეორე ტურში მისი მოწინააღმდეგის, დიმიტრი ხუნდაძის გაშუქებისას.

presa.ge-ზე ყველაზე აქტიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (18%), მთავრობისა (16%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (13%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა ადგილობრივი თვითმმართველობების (43%), „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსა“ (40%) და ბიძინა ივანიშვილის (39%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი ცეზარ ჩოჩელს (35%) ერგო.


თვისებრივი დაკვირვების შედეგად presage-ზე გამოვლინდა უარყოფითი განწყობა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ გაშუქებისას. 22 სექტემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში „ოლქების ნაწილი, სადაც „ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები არჩევნებს აგებენ“ ჟურნალისტი მსჯელობს მმართველი პარტიის სხვადასხვა ოლქში სავარაუდო მარცხის შესახებ, თუმცა ეს მსჯელობა სათანადო არგუმენტებით არ არის გამყარებული და გაუგებარია, თუ რა მონაცემებზე დაყრდნობით მსჯელობს ჟურნალისტი. სტატიაში „რა პროვოკაციებს გეგმავენ მცხეთის მუნიციპალიტეტში?“ (20 სექტემბერი) ჟურნალისტი საუბრობს მმართველი პარტიის წარმომადგენელთა მიერ მცხეთის მუნიციპალიტეტში პროვოკაციების მოწყობის გეგმის შესახებ, თუმცა სტატიაში არ არის წარმოდგენილი ფაქტები, რომ ასეთი გეგმა არსებობს; ჟურნალისტი წერს: „თუ გამარჯვებას ვერ ახერხებ, არჩევნები უნდა გააყალბო - ალბათ სწორედ ამ დევზით იხელმძღვანელებს მცხეთის გამგეობის მაღალჩინოსნებმა, როცა მორიგი პროვოკაციის მოწყობა დაგეგმეს“.

presa.ge-ზე ცხადად შეინიშნებოდა მაჟორიტარობის დამოუკიდებელი კანდიდატის, ცეზარ ჩოჩელის, მხარდაჭერა. მონიტორინგის პერიოდში შეგვხვდა არაერთი სტატია, სადაც აღნიშნული კანდიდატი უაღრესად დადებითად,

ხოლო მისი მოწინააღმდეგე კი უკიდურესად უარყოფითად იყო წარმოჩენილი. აღნიშნულ სტატიებში გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები (მაგალითად, სტატიებში „ჩემი ოჯახი და ნათესავები, ყველანი, ვისაც ვიცნობ და აქ ცხოვრობს, ცეზარ ჩოჩელს ვირჩევთ... ცეზარ ჩოჩელი ჯობია“, 26 სექტემბერი; „ჩვენ, ატასობით ადამიანი მხარს ვუჭერთ „ქართულ ოცნებას“ როგორც პარტიას, მაგრამ არ ვუჭერთ მხარს „ქართული ოცნების“ კანდიდატს დიმიტრი ხუნდაძეს“, 3 ოქტომბერი).

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ presa.ge ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევით აშუქებდა როგორც წინასაარჩევნო, ასევე არჩევნების მეორე ტურის პროცესს. ვებგვერდზე ცხადად შეინიშნებოდა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატის, დიმიტრი ხუნდაძის დისკრედიტაციის მცდელობა.

დიაგრამა 15



reportiori.ge

მონიტორინგის პერიოდში reportiori.ge-ზე ცხადად შეინიშნებოდა დადებითი განწყობა მმართველი გუნდისა და ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილის, ხოლო უკიდურესად უარყოფითი განწყობა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიმართ. ვებგვერდზე გვხვდებოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევები. reportiori.ge-ზე გვხვდებოდა სტატიები, რომლებიც არ იყო რედაქციის მიერ მომზადებული, თუმცა მითითებული არ ჰქონდა თუ საიდან იყო აღნიშნული მასალები მოპოვებული.

reportiori.ge-ზე ყველაზე აქტიურად „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (24%), მთავრობისა (17%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (17%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის უკიდურესად მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა მიხეილ სააკაშვილის (89%), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (85%), „ლეიბორისტული პარტიისა“ (84%) და ბლოკის „სახელმწიფო ხალხისთვის“ (79%) გაშუქებისას. დადებითი ტონის მაღალი მაჩვენებლები კი ბიძინა ივანიშვილს (44%), „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოსა“ (36%) და მთავრობას (30%) ერგო.


მონიტორინგის პერიოდში reportiori.ge განსაკუთრებულად აქტიურად აშუქებდა „ქართული ოცნება - დემოკრატიული“ საქართველოს წინასაარჩევნო დაპირებებს. რიგ შემთხვევებში სტატიების სათაურებში აღნიშნული დაპირებები წარმოდგენილი იყო როგორც ფაქტები, მითითების გარეშე, რომ ეს ციტატები

წარმოადგენდა პოლიტიკური პარტიის საარჩევნო პროგრამის ნაწილს; მაგალითად: „ქართული ოცნება“ 200 ათას ახალ სამუშაო ადგილს შექმნის“ (9 სექტემბერი); „ქართული ოცნება“ მნიშვნელოვან მიწის რეფორმებს გაატარებს“ (9 სექტემბერი); „ხელისუფლება გააგრძელებს დევნილთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ეფექტიან პოლიტიკას“ (11 სექტემბერი); „არნახული ცვლილებები საქართველოს ინფრასტრუქტურაში - სად აშენდება ახალი გზები, ხიდები და გვირაბები მომდევნო 4 წელიწადში (17 სექტემბერი).

მონიტორინგის პერიოდში reportiori.ge-ზე არაერთხელ გამოქვეყნდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ვებგვერდებზე განთავსებული მასალა, რომლებსაც მითითებული არ ჰქონდა თუ საიდან იყო მოპოვებული. მაგალითად, reportiori.ge ერთ-ერთია იმ ხუთი ვებგვერდიდან, რომლებმაც 12 ოქტომბერს უცვლელად გამოაქვეყნეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია შსს მინისტრის მიერ გორში სახანძრო-სამაშველო სამსახურის განახლებული შენობის გახსნის შესახებ. ამ ხუთი ვებგვერდიდან არც ერთს არ მიუთითებია, რომ მალასა მოვოპებული იყო სამინისტროს ვებგვერდიდან. აღსანიშნავია, რომ იგივე სტატია გამოაქვეყნა interpressnews.ge-მ, რომელსაც მითითებული ჰქონდა, რომ აღნიშნული სტატია მომზადებული იყო კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ reportiori.ge-ზე ცხადად შეინიშნებოდა დადებითი განწყობა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მიმართ. ვებგვერდზე ხშირად ირღვეოდა ჟურნალისტური ეთიკის ნორმები.

დიაგრამა 16



tabula.ge


მონიტორინგის პერიოდში tabula.ge-ზე შედარებით ჭარბობდა უარყოფითი ტონის მაჩვენებლები მმართველი გუნდის გაშუქებისას. თუმცა, აღნიშნული კრიტიკა გვხვდებოდა რესპონდენტთა განცხადებებში და არა ჟურნალისტთა ტექსტებში. ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები ვებგვერდზე არ გამოვლენილა.

tabula.ge-ზე ყველაზე აქტიურად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (20%), მთავრობისა (19%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (17%) საქმიანობა გაშუქდა. უარყოფითი ტონის მაღალი პროცენტული მაჩვენებლები გამოვლინდა „ცენტრისტების“ (68%), ადგილობრივი თვითმმართველობების (45%), ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის (35%), მთავრობის (30%), ექს-პრემიერ ბიძინა ივანიშვილისა (28%) და

„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ (26%) გაშუქებისას. დადებითი ტონის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი პრემიერ-მინისტრს (26%) ერგო.

მონიტორინგის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ tabula.ge-მ აქტიურად და მიუკერძოებლად გააშუქა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. თუმცა, ვებგვერდზე შედარებით ჭარბობდა მმართველი გუნდის კრიტიკა.

დიაგრამა 17



დასკვნა

ქართულ ონლაინ მედიაში შეინიშნება კრიტიკული ანალიზის ნაკლებობა. ვებგვერდების დიდი ნაწილი უკომენტაროდ აქვეყნებს სხვადასხვა პოლიტიკოსის განცხადებებსა და სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობას. იშვიათად გვხვდება საკითხების სიღრმისეული გაშუქება და ანალიზი. ასევე, საკმაოდ იშვიათია ცალკეულ სტატიებში განსხვავებული მოსაზრებებისა და შეხედულებების წარმოდგენა. უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები საკმაოდ იშვიათად გვხვდება.

ონლაინ მედიის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს სარედაქციო მასალებისა და კომერციული ხელშეკრულებების ფარგლებში მომზადებული სტატიების არასათანადო გამოიჯვნა. მონიტორინგის პერიოდში სისტემატურად გვხვდებოდა შემთხვევები, როდესაც ვებგვერდები სათანადო მითითების გარეშე აქვეყნებდნენ სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ვებგვერდზე განთავსებულ სტატიებს.

ონლაინ მედიაში საკმაოდ აქტიურად გაშუქდა როგორც პარტიების წინასაარჩევნო საქმიანობა, ასევე არჩევნების დღე და ხმების დათვლის პროცესი. უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ ონლაინ მედიაში შედარებით იმატა სიღრმისეული სტატიების რაოდენობამ, ვინაიდან ვებგვერდების ნაწილი აქტიურად აშუქებდა მომავალი პარლამენტის დაკომპლექტებასთან დაკავშირებულ პროცედურებს.

რეკომენდაციები

- სასურველია, რომ ონლაინ გამოცემებმა მკითხველს უფრო ხშირად შესთავაზონ საკითხების სიღრმისეული ანალიზი;
- ჟურნალისტები უნდა შეეცადონ, რომ ცალკეულ სტატიებში მკითხველს შესთავაზონ ინფორმაციის წყაროთა და მოსაზრებათა მრავალფეროვნება, რათა სტატიაში წარმოდგენილი მოსაზრებები არ იყოს ცალმხრივი და მკითხველს მიეცეს საშუალება, გაეცნოს განსხვავებულ მოსაზრებებს ამა თუ იმ საკითხზე და თავად გამოიტანოს დასკვნები;
- სასურველია, რომ ჟურნალისტები უფრო კრიტიკულად მიუდგნენ პოლიტიკოსთა განცხადებებს და მათი გამონათქვამების უკომენტაროდ გაშუქების ნაცვლად, მეტი ყურადღება დაუთმონ ფაქტების გადამოწმებასა და ანალიზს;
- ონლაინ მედიასაშუალებებმა უნდა მიუთითონ ინფორმაციის წყაროთა ვინაობა. განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ინფორმაცია შეიცავს მძიმე ბრალდებას რომელიმე პოლიტიკოსისა თუ სახელმწიფო უწყების მიმართ;
- სასურველია, რომ ონლაინ გამოცემები მოერიდონ სტატიების სათაურებად ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ გამოთქმული მძიმე ბრალდების შერჩევას, თუ სტატიაში მეორე მხარის განმარტება არ არის წარმოდგენილი;
- ონლაინ მედიის წარმომადგენლები ვალდებული არიან, რომ გააკონტროლონ თუ რამდენად არის დაცული ჟურნალისტური სტანდარტები და ეთიკის ნორმები იმ სარეკლამო სტატიებში, რომლებიც მათ ვებგვერდებზე თავსდება;
- აუცილებელია, რომ მედიასაშუალებამ გარკვევით მიუთითოს თუ მის ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატია არ წარმოდაგენს რედაქციის ნამუშევარს;
- ონლაინ მედიასაშუალებებმა მკაფიოდ უნდა გამოიჩინონ კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები სარედაქციო მასალებისგან.

დანართი 1

მონიტორინგის სუბიექტები:

1. პრეზიდენტი;
2. პრემიერ-მინისტრი;
3. პარლამენტის თავმჯდომარე;
4. მთავრობა (მინისტრები, სამინისტროები, რწმუნებულები);
5. დამოუკიდებელი დეპუტატები (პარლამენტის წევრები);
6. ადგილობრივი ხელისუფლება (თვითმმართველობები, გამგებლები, მერები);
7. აჭარის ა.რ. მთავრობა;
8. ცენტრალური საარჩევნო კომისია;
9. აჭარის ა.რ. უმაღლესი საარჩევნო კომისია;
10. ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო;
11. საარჩევნო ბლოკი ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;
12. მიხეილ სააკაშვილი;
13. ბიძინა ივანიშვილი;
14. საქართველოს რესპუბლიკური პარტია;
15. ირაკლი ალასანია – თავისუფალი დემოკრატები;
16. საარჩევნო ბლოკი პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისთვის;
17. შალვა ნათელაშვილი – ლეიბორისტული პარტია;
18. საარჩევნო ბლოკი დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – პატრიოტთა ალიანსი, გაერთიანებული ოპოზიცია;
19. საარჩევნო ბლოკი ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა;
20. ეროვნული ფორუმი;
21. საარჩევნო ბლოკი კახა ძაგანია, სოსო შატბერაშვილი, პაატა ჯიბლაძე, არჩილ ბენიძე – მემარცხენე ალიანსი;
22. საარჩევნო ბლოკი თოფაძე, მრეწველები – ჩვენი სამშობლო;
23. ჯონდი ბადათურია – ქართული დასი;
24. თამაზ მეჭიაური – ერთიანი საქართველოსთვის;
25. დავით თევზაძე – საქართველოს მშვიდობისათვის;
26. სახალხო ხელისუფლება;
27. საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია;
28. ქართული იდეა;
29. დამოუკიდებელი მაჟორიტარი კანდიდატები;
30. კოალიცია ქართული ოცნება;
31. გირჩი;
32. ახალი საქართველო;
33. ნეიტრალური საქართველო;
34. პარტია სახელმწიფო ხალხისთვის;
35. კონსერვატორები;
36. ემსახურე საქართველოს;
37. ბლოკი – ვაშაძე, ჯაფარიძე, ახალი არჩევანი;
38. საქართველოს გზა;
39. თავისუფალი საქართველო;
40. ახალი მემარჯვენეები;
41. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია;
42. სოციალ-დემოკრატები;
43. ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა;
44. ევროპელი დემოკრატები;
45. ბედნიერი საქართველო;
46. მწვანეთა პარტია;
47. თეთრები;
48. ქართული პარტია;
49. ხალხის პარტია;
50. რეფორმატორები;
51. იმედი;
52. ცენტრისტები;
53. სამოქალაქო ალიანსი თავისუფლებისათვის;



დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com